პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ამიერკავკასიის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასისა იფასება 10% სააკლაკო ფასიანი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 25 თებერვალი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 47 (2090)

საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის თავი

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

ჩვენი ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების მეშვიდე წლისთავზე საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების მეთერთმეტე წელს საერთოდ და მეშვიდე წლის თავზე საქართველოში კერძოდ ჩვენ წინაშე დგანან მეტად რთული ამოცანები. არსებითად ეს იგივე ამოცანებია, რომლებიც ჩვენ გვქონდა გადასაჭრელად წინა წლების განმავლობაში.

იმათ გადასაჭრელად ჩვენ ვმუშაობდით წინა წლებშიაც და ვიმუშავებთ კიდევ მომავალშიაც. ესაა ამოცანები ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა, ჩვენი კოოპერაციის ზრდისა და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის შესახებ,—ე. ი. საერთოდ **ამოცანა სოციალისტური აღმშენებლობის და სოციალიზმის შენების შესახებ ჩვენ ქვეყანაში,**—ამოცანა, რომლის სავსებით გადაჭრა არა თუ ერთი ან ორი წლის, არამედ ერთი და ორი ათეული წლების საქმეა.

ჩვენ უკვე განვლილი გვაქვს ამ გზაზე რამოდენიმე მანძილი, შეიძლება ითქვას მთელი ეტაპი. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში შეუწყვეტელი მუშაობის წყალობით ჩვენ არა თუ აღვადგინეთ სახალხო მეურნეობა ომამდე არსებულ დონემდე, არამედ ეს დონე უკვე გადალახულია. რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ამ მხრით ჩვენი წინსვლა წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო დიდია. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ გავიხსენოთ აქ ის მიზეზები, რომლებიც აფერხებდენ და აძნელებდენ ჩვენ მუშაობას. უმთავრესი მიზეზები იყო:

1) **ფინანსიური უსახსრობა.** ჩვენ გვაკლდა არა თუ ძირითადი, არამედ საბრუნავი თანხაც. ამ თანხების შოვნა გაძნელებული იყო, ჩვენი წარმოება ან სრულებით არაფერს იძლეოდა, ან თუ იძლეოდა, მეტად უმნიშვნელო რასმეს. ამ მხრით საქმე გამოკეთდა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მით, რომ ჩვენ ვღებულობთ საკმარისად დიდ თანხებს საკავშირო წყაროებიდან. ამგვარად ამ უკანასკნელ დროს ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ახლა საკითხი დგას ამ სახსრების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

2) **უგეგმობა და უსისტემობა.** ყველამ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ყველა ჩვენი ორგანოები მუშაობდენ სრულიად უგეგმოდ და უსისტემოდ, ვისაც რა სურდა, იმას აკეთებდა. ამას შედეგად ის მოყვებოდა, რომ ბევრი დაწყებული საქმე უნდა შეჩერებულიყო უსახსრობის მიზეზით ან სრულებით უნდა გაუქმებულიყო. ამნაირად იკარგებოდა როგორც ენერგია, შრომა და ჯაფა, ისე ფინანსიური სახსარიც. უგეგმობის და უსისტემობის დამახასიათებელი იყო აგრეთვე მწყობრი და შეთანხმებული მუშაობის უქონლობა. ყოველივე ეს ჩვენ მეტად ძვირად დაგვიჯდა (მაგ., ჩათახის ქარხანა და ბევრი კიდევ სხვა).

3) **ორგანიზაციული ხასიათის ნაკლულევანებები.** დიდი დრო წაგვართვა ჩვენ სამეურნეო ორგანოების და ორგანიზაციების მიზანშეწონილად ჩამოყალიბებამ. ჩვენ ძლიერ ხშირად გვიხდებოდა ჩვენი სამეურნეო ორგანოების დაშლა და გადაკეთება, სანამ მათ მივანიჭებდით შესაფერ ფორმას და ჩავრიცხავდით ამა თუ იმ სისტემაში. რა თქმა უნდა, ამით ფერხდებოდა და ბრკოლდებოდა ამა თუ იმ სამეურნეო დარგის ზრდა-განვითარება.

4) **მცოდნე და გამოცდილი ტეხნიკურ ძალების და საქმის კარგი ორგანიზატორების ნაკლებობა** და ზოგიერთ შემთხვევაში სრული უყოლობა. ამ გარემოებამაც ძლიერ შეაფერხა და დააბრკოლა ჩვენი აღმშენებლობა. მოიგონეთ, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ადამიანურ მასალას ამხ. ლენინი. ჩვენ გვყავდა და ხშირად საქმის მოთავეებად და ორგანიზატორებად უვიცი პირნი, რომელთაც, საუბედუროდ, არ ესმოდათ, რომ იმათ საქმის, რომლის ორგანიზატორები ისინი იყვნენ, არა გაეგებოდათ რა, და რომლებიც იმავე დროს სრულებით საჭიროდ არ სთვლიდენ, რომ საქმე შეესწავლათ. ესენი შეიძლება ითქვას კეთილსინიდისიერად ჩადიოდენ შეცდომებს, რაც ხელისუფლებას ძვირად უჯდებოდა. მაგრამ ამათ გვერდით იყვენ ისეთები, რომლებიც ბოროტად სარგებლობდენ თავის მდგომარეობით, რომლებმაც იცოდენ თუ არა იცოდენ საქმე, სულერთია მაინც აჭიანურებდენ მუშაობას ან პირდაპირ აფუჭებდენ მას. დარწმუნებული იმაში, რომ ხელისუფლება ამას ვერ გაიგებდა, და მართლაც, ხელისუფლება ამას ვერ ამჩნევდა, ყოველ შემთხვევაში დროზე ვერ ტყობილობდა, რომ მიეღო შესაფერი ზომები. დღეს ის დაბრკოლებანი, რომლებიც გამომდინარეობენ პასუხისმგებელ პირების მოუმზადებლობიდან ან პირდაპირ უვიცობიდან, თუ სავსებით არა, უმეტეს ნაწილად მაინც აცილებულია თავიდან.

იყო სხვა მიზეზებიც. რომლებიც აბრკოლებდენ ჩვენ აღმშენებლობას განვლილი შვიდი წლის განმავლობაში, რაზედაც აქ აღარ შევჩერდები.

თუ გნებავთ, უმთავრესი სიძნელე, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით აღმშენებლობის საქმეში, მდგომარეობდა იმაში, რომ იმ საქმის წინამძღოლობა, რომელსაც წინედ მეთაურობდენ მუშათა კლასის მტრები და მყლეფელები, ამიერიდან **ვიკისრეთ ჩვენ, მუშებმა და გლეხებმა.** სხვა დანარჩენი სიძნელენი გამომდინარეობდენ ამ მთავარი სიძნელიდან ან მჭიდროდ იყვენ მასთან დაკავშირებული. დღეს ჩვენ სრულიად გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ საზოგადოების თითქმის ყველა ნეიტრალური ფენებიც კი, ჩვენს აშკარა მტრებს, მენშევიკებს, ნაციონალ-დემოკრატებს და სხვებს რომ თავი დავანებოთ, უფრო ხელს გვიშლიდენ, ვინემ გვეხმარებოდენ, იმ ანგარიშით, რომ სულერთია მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დიდ ხანს მაინც ვერ გასტანს. ამნაირად, მთელი სიმძიმე აღმშენებლობითი მუშაობისა თავზე დააწვა განსაკუთრებით მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას. ჩვენი მოსისხლე მტრებიც სწორედ ამაზე ამყარებდენ თავის იმედებს. ისინი ფიქრობდენ ასე: მუშათა კლასი სრულიად მოუმზადებელია, რომ მან შესძლოს სახელმწიფოს გაძღოლა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა; მით უფრო იგი ვერ შესძლებს განადგურებული და დაცემული სახალხო მეურნეობის აღდგენას და მოვლა-პატრონობასო. გარდა ამისა, ამ ვაჟბატონების აზრით მუშებსა და გლეხებს შორის უთუოდ ჩამოვარდებოდა ქიშპობა, რაც იმათ მიიყვანდა სრულ განხეთქილობამდე, და ეს კი აუცილებლად გამოიწვევდა მუშების და გლეხების შეტაკებას, რაც ბოლოს მოუღებდა თვით საბჭოთა ხელისუფლებას. ასე ოცნებობდენ ჩვენი დაუძინებელი მტრები, როგორც საზღვარგარედ, ისე ადგილობრივ. იმათი დასკვნები თითქო სწორი იყო. მართლაც, როგორ შეეძლოთ უსწავლელ და უვიც მუშებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ან სახალხო მეურნეობის მოვლა-პატრონობა! თითქო მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი მუშები და გლეხები ამ გამოცდას ვერ დაიჭერდენ, ეგზამენს ვერ ჩააბარებდენ. მაგრამ მოხდა სრულიად წინააღმდეგი რა თქმა უნდა, არა რაიმე სასწაულით, არამედ **მუშების და გლეხების შეუდრეკელი ნებისყოფით, იმათი დაუშრეტელი ენერგიით და თავგანწირული შრომით.** საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მუშებმა და გლეხებმა **ეგზამენები ჩააბარეს და პოლიტიკური სიმწიფის მოწმობა მიიღეს.** ახლა ჩვენი დაუძინებელ მტრებსაც კი არ შეუძლიათ უარყონ ის ფაქტი, რომ ჩვენში **სახალხო მეურნეობა,** მიუხედავათ კოლოსსალურ დაბრკოლებათა და სიძნელეთა, **ფეხზე წამოდგა, გაიზარდა და შეუჩერებლად მიდის წინ.** და სწორედ ეს გარემოებაა, რომ იმათ ლახვარივით ესობა გულში. ამ ვაჟბატონებს კარგად ესმით, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინება და შეუჩერებელი ზრდა-განვითარება მოასწავებს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას და გამაგრებას ერთის მხრით და სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრებას მეორე მხრით, ე. ი. ბურჟუაზიული წესწყობილების და კაპიტალისტური ექსპლოატაციის დასასრულის მოახლოვებას მთელ მსოფლიოში.

ამგვარად საბჭოთა აღმშენებლობის პირველი ეტაპის სიძნელენი და დაბრკოლებები ჩვენ ვსძლიეთ და გადავლახეთ. რა თქმა უნდა, აქ ბევრ შეცდომებს ქონდა ადგილი და ბევრი ამათგანი აქამდისაც არ არის სავსებით თავიდან აშორებული. ამბობენ: ყველაზე უფრო ძნელია პირველი ნაბიჯის გადადგმაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ დღესაც უდიდესი სიძნელენი და დაბრკოლებანი გვიდგან წინ. ეს სიძნელენი და დაბრკოლებანი უკვე ახალი რიგისაა, ისინი დაკავშირებულია საერთოდ ჩვენ ზრდასთან. თავისთავად ცხადია, ჩვენი აღმშენებლობის მომავალი ზრდა დღეს გაადვილებულია მით, რომ ახლა ჩვენ წინაშე დგანან უკვე სრულიად გარკვეული და ნათელი ამოცანები, როგორიც, მაგ., **შემდგომი გაფართოება სოციალისტური სექტორისა სახალხო მეურნეობაში, ე. ი. სოციალისტური მრეწველობის და კოოპერაციის ზრდა, სოციალისტური ელემენტების შემდგომი გაფართოება სოფლად მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე თანდათანი გადასვლით.** იმავე დროს ბრძოლა წარმოების **რაციონალიზაციისათვის, ზედმეტი ხარჯების მოსპობა, ნაწარმოების გაიაფება** და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს მჭიდროდ დაკავშირებულია **ტეხნიკურ და კულტურულ რევოლიუციასთან** საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში. ეს ტეხნიკური და კულტურული რევოლიუცია წამოყენებულია დღეს პირველ რიგში. უამისოდ ჩვენ, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება შემდეგი ნაბიჯების გადადგმა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამასთანავე ჩვენ არა თუ ოდნავაც არ უნდა შევასუსტოთ **მჭიდრო კავშირი მუშებსა და მშრომელ გლეხებს შორის,** არამედ ეს კავშირი, რაც შეიძლება უფრო უნდა გავამაგროთ და განვამტკიცოთ, რადგანაც ეს ერთი უმთავრესი თავდებთაგანია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაძლიერებთ იერიშის მიტანას ქალაქის სპეკულიანტ-ვაჭრებზე და სოფლის ბობოლა გლეხებზე ანუ კულაკებზე; მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ამ შეტევას **ახალი ეკონომიური პოლიტიკის ანუ** ნეპის საფუძველზე, რომლის გაგრძელება ჯერ კიდევ მიზანშეწონილათაა მიჩნეული.

აი მოკლედ, ჩვენი მთავარი გამოკვეთილი ამოცანები მეშვიდე წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა საქართველოში. აქ ყველაფერი ნათელი და აშკარაა. მე არ შევჩერებულვარ იმ სიძნელეებზე, რომელთა წინაშე ჩვენ დღეს ვდგევართ. რა თქმა უნდა, ჩვენ ისინი უნდა დავსძლიოთ. აშკარაა, რომ იმათ წინააღმდეგ ბრძოლა ამიერიდან ჩვენთვის შედარებით უფრო ადვილი იქნება, რადგანაც ჩვენ უკვე გვაქვს ამისთვის საკმარისი გამოცდილება. ამიტომ ჩვენ სრული იმედით შევყურებთ მომავალს.

ფ. მახარაძე.



საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებს

თავისუფალ საბჭოთა საქართველოს არსებობის შვიდი წლის თავზე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მშრომელთ.

შვიდი წლის ბრძოლამ და დაუღალავმა მუშაობამ ბრწყინვალე მიღწევები მოუტანა საქართველოს მშრომელთ გაპარტახებული ქვეყნის აღდგენის და ახალ სოციალისტურ საქართველოს მშენებლობის საქმეში.

მეურნეობის კოლექტიურ ფორმების განვითარება, მრეწველობის ზრდა, მოსახლეობის კულტურული ზრდა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცება—აი თავისუფალ სოციალისტურ საქართველოს შვიდი წლის არსებობის შედეგები.

იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების ყველა ცდა, მიმართული იქითკენ, რომ ხელი შეეშალათ მუშებისა და გლეხებისათვის თავის სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში, დაამსხვრია პროლეტარიატის დიქტატურის ურყევი სიმტკიცე.

წითელი არმია ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტების და მათი დამქაშების — მენშევიკების მახინაციებს. განამტკიცეთ წითელი არმიის ძლიერება—მშვიდობიან შრომის დასაყრდენი.

საბჭოთა საქართველო წარმოადგენს ყველა იმ ხალხების რკინისებურ ძმურ კავშირს, რომლებიც ბინადრობენ მის ტერიტორიაზე. ნაციონალური მშვიდობიანობა და ხალხთა ძმური თანამშრომლობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საბჭოთა დროშის ქვეშ და ამიერ-კავკასიის ფედერაციის პირობებში.

საბჭოთა საქართველო ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკებთან ერთად ყოველთვის იქნება მანათობელი ვარსკვლავი, რომელიც აღმოსავლეთის ხალხებს გაუშუქებს გზას გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკას—ამიერ-კავკასიის ხალხების ძმურ თანამშრომლობის გარანტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი:
ი. ტაგიევი.

შვიდი წლის მიღწევათა გადათვალიერება

საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მძლავრი კავშირის ერთად-ერთი ნაწილია, სადაც ორმა სხვადასხვა მსოფლმხედველობამ, ორმა სხვადასხვა საზოგადოებრივმა ძალამ თითქოს სცადა ეჩვენებია თავისი უნარი მშრომელთა ინტერესების დაცვაში, გამოერკვია მშრომელთა მოთხოვნილებანი და ამასთან შეფარდებით განევითარებია სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობა.

საქართველოს მაგალითით მუშებს და გლეხებს ყველაზე უფრო ადვილად და თვალსაჩინოდ შეუძლიათ შეადარონ ერთმანეთს ორი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის საქმიანობის შედეგები.

სწორედ საქართველოში მენშევიზმი ბატონობდა სრული სამი წლის განმავლობაში და ამ შედარებით ხანგრძლივ დროში მან ვერ გააკეთა ვერაფერი დადებითი, გარდა იმისა, რომ თავისი მაგალითით დაარწმუნა საქართველოს მუშები და გლეხები, თუ როგორ შეუძლია მას გათიშოს ისინი, ხელი შეუწყოს მათ დამარცხებას და კონტრ-რევოლიუციონურ ძალების (შინაური და საგარეო) გამარჯვებას; თავისი ეკონომიური პოლიტიკით კი მან ჩვენი ქვეყანა პირდაპირ კატასტროფამდე მიიყვანა, რის შედეგი იყო ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სრული შეჩერება.

მენშევიზმის საგარეო პოლიტიკამ შექმნა საქართველოში შუღლისა და მტრობის ატმოსფერა მის ხალხებს შორის, ხოცვა ჟლეტა და ცარიზმის დროსაც კი უნახავი კონფლიქტები მეზობელ ხალხებთან, რის შედეგი იყო ჩვენი ქვეყნის მისყიდვა უცხოეთის კაპიტალისათვის—ლონდონისა და პარიზისათვის.

ეროვნულ უმცირესობებისათვის მინიმალურ უფლებების წართმევა, სომეხ მოსახლეობის დევნა, ოსების სოფლების არა ერთხელ გაუგონარი სისასტიკით განადგურება და დაქცევა, უხეში კოლონიზატორული პოლიტიკა აფხაზეთისა და აჭარისტანის მიმართ, რაც იწვევდა აშკარა აჯანყებებს, ამ აჯანყებათა ჩაქრობა არტილერიით და ოფიცერთა რაზმებით, საბჭოთა რუსეთის ტერიტორიიდან ლტოლვილ კონტრ-რევოლიუციონურ ბანდების დაფარვა, მათთვის დიდძალი სამხედრო მოწყობილობისა და სურსათის მიწოდება მეზობელ რუსეთის მუშებსა და გლეხებთან საბრძოლველად, მაშინ, როდესაც თვით საქართველოს მოსახლეობა განიცდიდა აუტანელ სიმშილს და სიცივეს—აი მენშევიკების ნაციონალურ და საგარეო პოლიტიკის დახასიათება მათი საქართველოში ბატონობის დროს.

მათი ასეთი საქმიანობის ნაყოფმა მალე იჩინა თავი—მუშებმა და გლეხებმა, რომლებმაც თავის ზურგზე განიცადეს მენშევიკების ძალა-უფლება, გამოიტანეს თავისი ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მენშევიკურ პარტიას ჩამოშორდა ყველა საუკეთესო წევრები და ის სავსებით დაიშალა.

უკვე შვიდმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა განთავისუფლეს თავი მენშევიკურ ტვირთისაგან, ეხლა საქართველოს მშრომელნი ზეიმით შედიან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მერვე წელში კიდევ უფრო დიდ მიღწევათა მტკიცე იმედით.

ჩვენი ამოცანაა—ცხოვრების რეალურ ფაქტად ვაქციოთ მუშებისა და გლეხების ეს იმედები და მისწრაფებები.

შევდივართ რა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მერვე წელში და ვიტოვებთ რა უკან შვიდი წლის მძიმე, მედგარ ბრძოლასა და მუშაობას აურაცხელ დაბრკოლებათა პირობებში, რომლებსაც გვიქმნიდნენ ჩვენი მტრები—საჭიროა გავუკეთოთ ჯამი განვლილ დროში ჩვენს მიერ მიღწეულ წარმატებებს, რათა ამით დავსახოთ სწორი გზები შემდგომი მუშაობისათვის.

ზედმეტია იმის განმარტება, რომ როდესაც ჩვენ ჩამოვთვლით სხვადასხვა მიღწევებს, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ საკითხი ეროვნებათა შორის დამოკიდებულების შესახებ, ვინაიდან ყველასათვის აქსიომას უნდა წარმოადგენდეს, რომ მშვიდობიან და ნორმალურ ურთიერთობის ატმოსფერა ამა თუ იმ ქვეყნის ყველა ეროვნებათა შორის და აგრეთვე ურთიერთობა მეზობელ ეროვნებებსა და სახელმწიფოებთან არის ყოველგვარ შემოქმედებითი მუშაობის აუცილებელი წინასწარი პირობა.

ეროვნული საკითხი

რომ არაფერი ვთქვათ მენშევიკების მიერ შუღლისა და მტრობის გაღვივებაზე საქართველოს ეროვნებათა შორის, მენშევიკების მთავრობა შეუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა მეზობელ ხალხებთან—სომხეთსა და აზერბეიჯანთან—საზღვრების, ტრანზიტის, სანაოსნო გზების გამოყენების, საძოვრების და სხვა საკითხების გარშემო. ეს ბრძოლა აღწევდა აშკარა ომებამდე, რომლებიც სწყდებოდა მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევით. მენშევიკების ნაციონალიზმმა მიიღო ისეთი მახინჯი ხასიათი, რომ დასავლეთის სახელმწიფოების—ამ „მცირე ეროვნებათა მეგობრების“ მიერ წარმოგზავნილმა ექსპერტებმაც კი ვერ შესძლეს დაეწყნარებიათ მენშევიკური მთავრობა და შეერიგებიათ იგი სომხეთისა და აზერბეიჯანის მთავრობებთან, რომლებსაც ისეთივე „ფერი“ ჰქონდათ, როგორც თითონ მას. „წითელ“ და „საშიშარ“ რუსეთთან შერიგებაზე კი, რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი.

რა გვაქვს ეხლა ჩვენ? ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს—ეს თვალსაჩინოა თვითეულ ჩვენს გუშინდელ მტრისთვისაც კი, რომელსაც არ დაუკარგავს მხედველობა,—გაქრა შუღლი ეროვნებათა შორის თვით საქართველოს შიგნით, ისტორიას ჩაბარდა ყოველივე დავა საქართველოს საზღვრების შესახებ მეზობელ სახელმწიფოებთან—აზერბეიჯანთან და სომხეთთან—ნაციონალურ უმცირესობებს მიცემული აქვს ფართო უფლებები და ამრიგად, შექმნილია უკვე საფუძნოდ მტკიცე ბაზისი ნაყოფიერ და შემოქმედებითი მუშაობისათვის მშვიდობიანობის განმტკიცებისა და საქართველოს სამეურნეო აყვავების გზაზე.

რათა უფრო თვალსაჩინოდ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა მიღწევები აქვს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, მივმართოთ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების დამახასიათებელ ციფრებს.

სასოფლო მეურნეობის ზრდა

ყველა ნათესების სივრცე 698,2 ათას ჰექტარიდან 1920-21 წ. დაეცა 523,6 ათას ჰექტარამდე, 1927 წ. კი ჩვენ გვაქვს 748.000 ჰექტარი.

თამბაქოს პლანტაციების სივრცე მენშევიკების დროს შემცირდა 9.300 ჰექტარიდან 2.200 ჰექტარამდე, 1927 წ. კი ჩვენ გვაქვს 13.100 ჰექტარი.

ვენახების სივრცე, რომელიც მენშევიკების დროს შემცირდა 35.400 დესეტინამდე, 1927 წ. გაიზარდა 57.700 დესეტინამდე.

ბაღების და ბოსტნების სივრცე 1927 წ. უდრის 23.000 დეს., მაშინ როდესაც 1913 წელში ეს სივრცე არ აჭარბებდა 14.500 ჰექტარს.

ბამბის პლანტაციების სივრცემ 1927 წ. მიაღწია 9.400 ჰექტარამდე, მაშინ, როდესაც მენშევიკების დროს ეს სივრცე შემცირდა 1100 ჰექტარამდე, 1913 წ. კი უდრიდა 6.100 ჰექტარს.

ჩაის კულტურა 894 ჰექტარიდან 1913 წ. მიაღწია 1.921 ჰექტარს 1927 წ.

მესაქონლეობის მდგომარეობა 1913 წლიდან 1927 წლამდე გვაძლევს ასეთ ტაბულას ათასობით:

ხსვადასხვა საქონელი	1913	1917—18	1925	1926	1927
ცხენი	120,5	88,3	82,9	93	94
მსხვილი რქოსანი საქონელი	1301,7	1186,5	1320,2	1400,2	1441,9
ცხვარი	1668,5	1414,4	1711,9	1808,8	1900,0
თხა	190,9	196,8	163,4	180,4	191,2
ღორი	284,2	356,7	447,5	537	586,4

ცხენების ყველაზე მეტად შემცირება 1913 წ. შედარებით აიხსნება კერძო მეცხენეობის შემცირებით.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა 1913 წლიდან 1927 წლამდე შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

	1913	1920	1924	1925	1926	1927
აბრეშუმ. ჭიის თესლი გაცოცხლდა 1000 კოლ.	80	45	104	84	97	98
მოსავალი ათას ფუთ.	95,0	50	120	130	150	120

1927 წლის მოსავალი დიდათ სჭარბობს ომის წინადროის მოსავლის ნორმას, მაგრამ ნაკლებია 1926 წ. მოსავალზე, რაც მეტად არახელსაყრელი კლიმატიური პირობებით აიხსნება.

მეფრინველეობაც და **მეფუტკრეობაც** დიდათ დაეცა მენშევიკების ბატონობის დროს. ათასგვარი დამსჯელი ექსპედიციები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით „ამშვიდებდნენ“ საქართველოს რაიონებს, იტაცებდნენ ყოველივეს, რის დატაცებაც კი შეიძლებოდა. მაგრამ ეს დარგებიც სწრაფად აღორძინდა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და 1927 წლისათვის უკვე გაუსწრეს ომის წინადროის ნორმას.

	1913	23—24	24—25	25—26	26—27
ფრინველების რაოდენობა ათას...	3717,0	3639,0	3745,0	3871,4	4500,0
სკების რაოდენობა ათას...	52,7	76	82,6	82,6	96,7

მოყვანილი ცხრილები მეტისმეტყველურად ლაპარაკობენ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. ამ ცხრილებიდან სჩანს, რომ სახალხო მეურნეობის ამ დარგში ჩვენ მტკიცედ მივაღწიეთ ომის წინადროის ნორმას. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა ძვირფასი კულტურების დარგში, რაც იმას მოწმობს, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ მიზნად დავისახეთ ტეხნიკური კულტურების განვითარება, რაც თავისი მხრით უეჭველად გამოიწვევს გლეხური მეურნეობის საქონლიანობის ზრდას.

მიწის საკითხი

ეს კარდინალური საკითხი — საქართველოს გლეხობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი სათანადოთ გადაიჭრა მხოლოდ ჩვენ დროს.

მიწა ჩამოერთვა ყველა მუქთახორებს, რომლებიც საკუთარი შრომით არ ცხოვრობენ და გადაეცა მიწის მუშა გლეხებს.

ა) ომამდე საქართველოს გლეხებს ჰქონდა —343.000 ჰექტარი მიწა.
ბ) ამჟამად მათ განკარგულებაშია—2.015.000 ჰექტარი.

სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია ომის წინა მანეთებით 1913 წ. მთელს საქართველოში უდრიდა 111.780.000 მან., 1926 წელში კი, იმპერიალისტურ, ეროვნულ და სამოქალაქო ომების წლებში მნიშვნელოვნად შემცირების შემდეგ, გაიზარდა 115.710.000 მანეთამდე.

მრეწველობის განვითარება

საქართველოს მრეწველობის შესახებ ომამდე ლაპარაკიც მეტია. ცენტრალური რუსეთის სამრეწველო ჯგუფებისა და რომანოვების დინასტიის თვითმპყრობელობის კოლონიზატორული ინტერესები ეწინააღმდეგებოდა განაპირა ქვეყნების მრეწველობის განვითარებას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ცენტრალური სამრეწველო რაიონის მსხვილი ბურჟუაზიის გავლენის შესუსტებას სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურაზე და განაპირა რაიონებზე წარმოშობდა მუშათა მასებს, რომლებიც ადვილად ექცევიან „მავნე“ რევოლიუციონურ იდეების გავლენის ქვეშ.

თუ ომამდე თითქმის არ არსებობდა მრეწველობა, გარდა შავიქვისა — ჭიათურაში და ქვანახშირისა — ტყიბულში, — 1914 წლიდან 1921 წლამდე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამ პერიოდში არამც თუ რაიმე ახალ მშენებლობას არ ჰქონდა ადგილი, არამედ არსებული შენობები და ნაგებობანიც ინგრეოდა. ასეთმა მდგომარეობამ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ბუნებრივად წამოაყენა დანგრეული მეურნეობის აღორძინებისა და ახალი მშენებლობის განვითარების ამოცანა.

თამბაქოს მრეწველობამ, რომელიც მთელი დამუშავებითი მრეწველობის 1-მეოთხედ ნაწილს შეადგენს, ჯერ კიდევ 1925—26 სამეურნეო წელში ომის წინადროის ნორმას 25,3 პროცენტით გადააჭარბა.

ქვანახშირის მრეწველობაშიაც აგრეთვე ქვანახშირის წლიური ამოღება 4 მილ. ფ. 1913 წელში გაიზარდა 5,3 მილიონ ფუთამდე 1926 წ.

ტყავის მრეწველობაში, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელ მუშა-ხელის რაოდენობა არ შეცვლილა 1912 წელთან შედარებით, პროდუქცია 1926 წელში გაიზარდა 30,8 პროცენტით 1912 წ. შედარებით.

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ჩვენ ომის წინადროის ნორმას 186 პროცენტით გადავაჭარბეთ.

ჩვენი წარმატება პოლიგრაფიულ მრეწველობაში მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენ მიღწევებთან კულტურისა და წიგნის ფრონტზე.

არასოდეს საქართველოს, არც ცარიზმისა და არც მენშევიკების დროს, არ უნახავს ისეთი დიდი რაოდენობის სხვადასხვა ხასიათის წიგნი, როგორც ეხლა — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

იგივე ითქმის მრეწველობის სხვა დარგებზეც — **საფეიქრო, სპირტის და აბრეშუმის** მრეწველობის დარგებზე. ყველა ეს დარგი ყოველ წლობით იზრდება.

ასეთი დიდი მიღწევები მრეწველობის დარგში შედეგია იმ ყურადღებისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება იჩენდა საქართველოს მრეწველობისადმი.

თუ ციფრებს მივმართავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში — 1925-26, 26-27, 27-28 წ. წ. საქართველოს რესპუბლიკანურ მრეწველობისათვის გაღებული კაპიტალური ხარჯები (არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება და ახლების შექმნა) შეადგენს მეტად მნიშვნელოვან თანხას — თექვსმეტ (16) მილიონზე მეტს.

სტატისტიკის ცნობების მიხედვით, საქართველოს მთელი მრეწველობის — საცენზო, ქალაქის წვრილი და სახელოსნო მრეწველობის საერთო პროდუქცია 1924-25 წ. უდრიდა 52.365.000 ჩერ. მანეთს, იმ დროს, როცა იმავე წელში სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია, თანახმად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ სასოფლო მეურნეობის ბალანსისა, შეადგენდა 239.084.000 ჩერ. მან., ან სხვანაირად რომ ვსთქვათ, მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენდა დაახლოვებით მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციის 25 პროც., ხოლო სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია — 78 პროც. სულ რაღაც ერთი თუ ერთნახევარი წლის შემდეგ —1926 წელში შეფარდება შეიცვალა შესაბამისად — 25 პროც. და 75 პროც.

ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ მიერ მტკიცედ და გარკვევით აღებულია ჩვენი მრეწველობის მაქსიმალური განვითარების კურსი და რომ მრეწველობა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სასოფლო მეურნეობა.

მრეწველობისათვის ფინანსების შედარებით თავის დროზე მიწოდებას, სხვადასხვაგვარ ტეხნიკურ გაუმჯობესებას, სამრეწველო საწარმოთა მოწყობილობის გადახალისებას, წარმოების კონცენტრაციას, თვით წარმოების პროცესის რაციონალიზაციას, წარმოებებში მუშაობის პირობების გაუმჯობესებას — მთელ რიგ ამ ღონისძიებებს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. და მართლაც — 1924-25 წ. კაც-დღის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 7.04 კ., 1925-26 წ. 7.92 კ. 1926-27 წელში კი გაიზარდა 8,38 კაპ.-დე.

მრეწველობის საერთო ზრდა — განვითარებამ რაციონალიზაციის საფუძველზე, უეჭველად გავლენა უნდა მოეხდინა მუშის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც. ასეც მოხდა საქართველოში სამუშაო ხელფასი 36,6 ჩერ. მანეთიდან 1923-24 წ. თანდათანობით იზრდებოდა და 1926 წ. ბოლოს 55,5 ჩერ. მანეთამდე გაიზარდა, რაც ომის წინადროის მანეთებზე გადატანით 27 მან. 60 კ. უდრის. საშუალო სამუშაო ხელფასი 1913 წ. საქართველოს მრეწველობის შვიდ მთავარ დარგში 25 მ. 28 კ. უდრიდა. მაშასადამე, უკვე 1926 წ. ბოლოს საშუალო სამუშაო ხელფასმა საქართველოს მრეწველობაში 1913 წ. საშუალო ხელფასს 9,2 პროცენტით გადააჭარბა, რაიც უსათუოდ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მენშევიკების დროს კი—1920 წ. საშუალო სამუშაო ხელფასი ომის წინადროის ხელფასის დონის 20-25 პროც. არ აღემატებოდა.

ვის ხელშია მრეწველობა

მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებთან ერთად ჩვენ ყოველთვის უნდა გვაინტერესებდეს მეორე საკითხიც—**ვის ხელშია ეს მრეწველობა.** ამას ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით მრეწველობის განვითარების საკითხს. ამ საკითხზე ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს ერთი და მასთან ერთად მტკიცედ გარკვეული პასუხი,—მრეწველობის ყველა გამძღოლი, მბრძანებელი დარგები აუცილებლად უნდა იყოს მუშურ-გლეხური მთავრობის ხელში. როგორია ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა ამ მხრივ.

1924—25 წელში სახელმწიფოს წილი მრეწველობაში შეადგენდა 77,3 პროც., კოოპერაციის—8,6 პროც., კერძო პირთა (მარგანეცის კონცესიის მიმატებით)—14,1 პროც.

1926—27 წ. სახელმწიფოს წილი მრეწველობაში შეადგენდა 89,9 პროც. კოოპერაციის—6,7 პროც. კერძო პირთა (მარგანეცის კონცესიის მიმატებით)—9,4 პროც.

ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ მრეწველობის სახელმწიფო სექტორი საკმაოდ დიდია, მისი შემდგომი განვითარება სავსებით უზრუნველყოფილია მუშათა და გლეხთა ხელმძღვანელობით.

კოოპერატიული სექტორის შემცირება 2 პროცენტით აიხსნება სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის უკვე განვლილი კრიზისით.

ყოველივე ის, რაც ჩვენ აქამდე ვილაპარაკეთ, შეეხებოდა უმთავრესად ცოტად თუ ბევრად დიდი ხნით აგებულ, მომქმედ წარმოებებს.

ახალი სამრეწველო მშენებლობა

მაგრამ ჩვენი ამოცანა მდგომარეობს არა მარტო არსებული წარმოებების გამოცოცხლებისა და რეკონსტრუქციაში; არა ნაკლებ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ მრეწველობის ახალი დარგების შექმნისა და სათანადო წარმოებათა მოწყობისათვის. ამ მხრივ ყოველ შემდეგ წელს მოაქვს **ახალი წარმოებანი.**

ხე-ტყის მრეწველობის დარგში ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ავაგეთ: 1) ტკეჩის ქარხანა ბორჯომში, 2) მარელისის გლეხილავეჯეულის ფაბრიკა, 3) ხე-ტყის სახერხი ქარხანა შამგონში, ბათომში და მცხეთაში.

აბრეშუმის მრეწველობის დარგში ჩვენ ავაშენეთ რამოდენიმე აბრეშუმის სართავი ფაბრიკა ზუგდიდში, ხონში, სამტრედიაში, თელავში და ქუთაისში.

უახლოეს წლებში განრზახვა გვაქვს ავაგოთ მთელი რიგი წარმოებანი ამ დარგში და მაშინ აბრეშუმის პარკის მთელი მოსავალი საქართველოში ადგილობრივ გადამუშავდება.

საკვები მრეწველობის დარგში ჩვენ ავაგეთ რამოდენიმე საკონსერვო ქარხანა და ხილის სახმობი—გორში და ახალციხეში. უახლოეს წლებში განზრახვა გვაქვს კიდევ გავადიდოთ ასეთ ქარხნების რაოდენობა.

გარდა ამისა, მეორე წელია სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა შაქრის ქარხნის ასაგებად.

მატყლის მრეწველობის დარგში ჩვენ ავაგეთ და უკვე მუშაობს მაუდის ფაბრიკა ქუთაისში, ასეთივე ფაბრიკა იქნება აგებული თბილისში.

საამშენებლო მრეწველობის დარგში შენდება მთელი რიგი აგურ-კრამიტის ქარხნები სენაკში, შორაპანში, ცემენტის ქარხანა კასპში, გრანიტის ქვების ქარხანა კურსებში და სხ.

ადგილობრივი მრეწველობა

როცა ვლაპარაკობთ მრეწველობაზე საერთოდ, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ადგილობრივ მრეწველობასაც, ვინაიდან მისი მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ადგილობრივი მრეწველობა ხელს უწყობს ამავე დროს სამაზრო აღმასკომების ეკონომიური ბაზის განმტკიცებას.

როგორ მდგომარეობაშია ამჟამად ადგილობრივი მრეწველობა.

ყველა მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში (თბილისის გარდა) ჩვენ გვაქვს **ადგილობრივი მნიშვნელობის 74 წარმოება,**—ეს წარმოებანი უმთავრესად შენდება საამშენებლო მასალების ირგვლივ—ხე-ტყის, აგურ-კრამიტის, კირის, ლითონის გადამმუშავებელი, ტყავის და პოლიგრაფიული მრეწველობის ირგვლივ.

1926 წელში ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა წარმოებებში სულ მუშაობდა 1.295 მუშა, ხოლო 1927 წელში—1.606 მუშა.

ელექტრო-მშენებლობა

სამრეწველო მშენებლობის დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროფიკაციას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მრეწველობა უნდა უზრუნველვყოთ იაფი ენერგიით, ამ შემთხვევაში ჰიდროელექტრონის ენერგიით. საქართველო ამ მხრივ საუკეთესო მდგომარეობაშია მთელ საბჭოთა კავშირში: მას აქვს აუარებელი მთის მდინარენი და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები წყალის ენერგიის გამოყენებისათვის.

ელექტრომშენებლობაში ჩვენ განვავითარეთ არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპი, როგორიც არ არსებობს მთელ საბჭოთა კავშირში.

მართლაც, გარდა იმისა, რომ შენდება და აშენებულია წვრილი სადგურები, როგორიც, მაგალითად, ახალქალაქის, ახალციხის, ცხინვალის, აბასთუმანის, ონის, ხონის, შოვის და მთელი რიგი სხვა სადგურები, ჩვენ გვაქვს უკვე დამთავრებული უდიდესი სადგური **ზაჰესი** (თავისი სიდიდით მეორე მთელ საბჭოთა კავშირში), აბაშის ჰიდრო-ელსადგური (2.100 კილოვ. ძალით), რომელიც მალე დამთავრდება, დიდი სადგურები რიონის (48.000 ცხენის ძალით) და აჭარის წყალის (13.000 ცხენის ძალით) სადგური, რომლებიც ეხლა შენდება.

რას გვაძლევს ყოველივე ეს? თუ უკვე დამთავრებული ჰიდროელექტრო სადგურის ენერგიას მიუმატებთ იმ სადგურების ენერგიას, რომელთა აგება დამთავრდება ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. 1931—32 წელში, მაშინ ჩვენი ჰიდრო-ელექტრონის ენერგიის ბალანსი იქნება 100.000 ცხენის ძალა, მაშინ, როდესაც ყველა ელექტრო-სადგურების ძალა ომამდე არ აღემატებოდა 12.000 ცხენის ძალას, აქედან ჰიდროელექტრონის იყო მხოლოდ 1.715 ცხ. ძალა, დანარჩენი ენერგია სათბობი სადგურების იყო.

1927—28 წლის დასაწყისამდე საქართველოს ელექტრომშენებლობაზე (სარაიონო, ადგილობრივი, სასოფლო და კომუნალური) დაიხარჯა სულ 22.335.000 მან.

მუშათა კლასის მდგომარეობა

ჩვენ მოვიყვანეთ ციფრები მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამუშაო ხელფასის საშუალო დონის გადიდების და სხ. შესახებ.

მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ: იქნებ ყოველივე ეს ხდება მუშათა რაოდენობის ძლიერი შეკუმშვის ხარჯზე?

მივმართოთ ციფრებს.

1924 წელში სახელმწიფო მრეწველობის წარმოებებში მუშაობდა 4.900 მუშა.

1925 წელში ეს რიცხვი გაიზარდა 5.600-დე, ხოლო 1926 წელში—6.300-მდე.

ყველა მუშებისა და მოსამსახურეების რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობა საქართველოში მენშევიკების დროს (1920 წ.) არ აღემატებოდა 70.000 კაცს, მაშინ, როდესაც მათი რიცხვი 1927 წელში გაიზარდა 157.000-მდე.

ასეთივე ზრდას აქვს ადგილი პროფკავშირებშიაც.

1919 წელში მენშევიკების დროს საქართველოს ყველა პროფკავშირები აერთიანებდნენ 50.000 კაცს, მაშინ, როდესაც საბჭოთა საქართველოს პროფკავშირები 1927 წელში აერთიანებენ 165.570 კაცს (უმუშევრებთან ერთად).

ამასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ მუშებისათვის ყოველგვარი დახმარების გაძლიერებას—საბინაო, კულტურულ-საგანმანათლებლო, და აგრეთვე დაზღვევის პირობების გაუმჯობესებას.

ერთ დაზღვეულზე იხარჯებოდა: 1924 წელში—43 მან. 40 კაპ., 1926 წელში—81 მან. 70 კაპ., 1927 წელში—92 მან. 40 კაპ.

ვაჭრობა

ვაჭრობას ჩვენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდით და ვცდილობდით მთელი საქონლის გამტარებელი ქსელის დამორჩილებას მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის. როგორია შედეგები ამ დარგში?

ციფრების ენით მივიღებთ შემდეგ სურათს: 1924 წელში საბითუმო ვაჭრობის 92 მილიონი თანხიდან მოდიოდა: ა) სახვაჭრობაზე—75 მილ. მან., ბ) კოოპერაციაზე—16 მილ. მან., გ) კერძო პირებზე—1.140.000 მან.

1926 წ. 140 მილიონიდან მოდის: ა) სახელმწიფო ვაჭრობაზე—104 მილ., ბ) კოოპერაციაზე—30 მილ., გ) კერძო პირებზე—6 მილ.

კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაცია მნიშვნელოვნად განმტკიცდა მატერიალურად და ორგანიზაციულად. მის პატრონთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება და ამჟამად უკვე 262.000-ს აღწევს. სამომხმარებლო კოოპერაცია თავის ორგანიზაციებში აერთიანებს მთელი მოსახლეობის 55 პროცენტს: მისი ბრუნვა 1924—25 წლ. უდრიდა 31.271.000 მან. 1926—27 წლისათვის გაიზარდა 54.887.000 მანეთამდე; მისი საკუთარი კაპიტალი სათანადო წლებში გაიზარდა 866.000 მანეთიდან 934.000 მანეთამდე.

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებს 100.000 წევრს ე. ი. მთელი სოფლის მოსახლეობის 20 პროცენტს. მას აქვს 800 კოოპერატივი.

ე) კოლექტიური მეურნეობათა ორგანიზაცია საქართველოში საკმაოდ დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ დარგშიაც გვაქვს გარკვეული მიღწევები.

ამჟამად საქართველოში არის 182 კოლექტიური მეურნეობა 16.000 წევრით.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჩვენ გვაქვს მიღწევები, რომლებიც წარმოუდგენელი იყო მენშევიკებისა და ცარიზმის დროს.

ცარიზმის დროს მთელ საქართველოში იყო მხოლოდ 88 საავადმყოფო საექიმო-საფერშლო პუნქტი. მენშევიკების დროს ეს რიცხვი გაიზარდა 268-მდე. თავისთავად ცხადია, როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში არ ყოფილა დასასვენებელი სახლები და მოწყობილი კურორტები მუშებისათვის.

ამჟამად ჩვენ გვაქვს (გარდა ავტონომიურ რესპუბლიკებისა 549 საავადმყოფო და საექიმო პუნქტი, 13 სამალარიო სადგური, 11 დისპანსერი და ხუთი სპეციალური მკურნალობის ინსტიტუტი.

სახალხო განათლება

რაც შეეხება სახალხო განათლებას, აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო რიცხობრივ, არამედ ხარისხობრივ მხარესაც.

1919—20 წელს, ე. ი. მენშევიკების დროს იყო: ა) სკოლების რიცხვი—1.668, ბ) მოწაფეთა რაოდენობა—176.599, გ) მასწავლებელთა რაოდენობა—5.681, 1926—27 წელს იყო: ა) სკოლების რიცხვი—2.075, ბ) მოწაფეთა რაოდენობა—208 881, გ) მასწავლებელთა რაოდენობა—10.560, ნაციონალურ უმცირესობათა სკოლების რიცხვი: ა) 1919—20 წელს—215, ბ) 1926—27 წელს—343.

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს 6 სპეციალური საბავშვო სახლი და 18 საბავშვო ბაღი.

მენშევიკების დროს ყველა სკოლებს ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა, ზრდიდენ მხოლოდ ჩინოვნიკებს. საბჭოთა საქართველომ სახალხო აღმშენებლობის საქმეში მტკიცედ აიღო კურსი პროფტექნიკურ განათლებაზე და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის სპეციალისტების მომზადებაზე.

ამჟამად ჩვენ გვაქვს 120 სხვადასხვა ტიპის პროფტექნიკური სკოლა და კურსები 11.690 მოწაფით, 56 გლეხ-ახალგაზრდობის სკოლა 2.964 მოწაფით, 4 მუშფაკი 1.400 მოწაფით და ოთხი უმაღლესი სასწავლებელი 10.800 სტუდენტით. (აქ შედის ორი სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელიც).

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს 27 საბავშვო სახლი 2.763 ბავშვით და 207 მასწავლებლით მაშინ, როცა მენშევიკების დროს სულ იყო ხუთი საბავშვო სახლი 300 ბავშვით, რომლებიც საშინელ მატერიალურ და სამოსწავლო პირობებში იმყოფებოდენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაუზოგავი ომი გამოუცხადა წერა-კითხვის უცოდინარობას, უკულტურობას და უმეცრებას. ამის მიხედვით ანვითარებს რა თავის მუშაობას, საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ სასკოლო ქსელით არ კმაყოფილდება; ის ბრძოლას აწარმოებს წარსულის ამ მძიმე ნაშთის წინააღმდეგ სპეციალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციების საშუალებითაც. ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ მარტო საქართველოში წერა-კითხვა შეასწავლა 136.000 არა სასკოლო ასაკის მოსახლეს მაშინ, როცა მენშევიკების დროს ამას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

მენშევიკების დროს წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი საქართველოში არ აღემატებოდა 60 პროცენტს, საბჭოთა ხელისუფლების 7 წლის არსებობის განმავლობაში კი მარტო სრულ-ასაკოვან მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობა გაიზარდა 25 პროცენტით.

მენშევიკურ მთავრობის დამოკიდებულებას სახალხო განათლებისადმი სხვათაშორის საკმაოდ ახასიათებს შემდეგი ციფრები. ა) მენშევიკურ მთავრობის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახალხო განათლებაზე იხარჯებოდა მხოლოდ 5,8 პროცენტი, ბ) საბჭოთა მთავრობა კი სახალხო განათლებაზე ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტის 35 პროცენტს.

ფინანსები

თანამედროვე საბიუჯეტო ტექნიკის დროს საფინანსო გეგმა, ე. ი. ამა თუ იმ სახელმწიფოს ბიუჯეტი განსაზღვრულ დროისათვის, არის არა მარტო სწორი გამოხატულება (თავისი შემოსავლის ნაწილით) მისი ეკონომიური და სამეურნეო მდგომარეობის, არამედ ის ამავე დროს სავსებით ახასიათებს (თავისი გასავლის ნაწილით) მისი მთავრობის სახალხო-სამეურნეო პოლიტიკის კურსს და ბუნებას.

ზედმეტია ლაპარაკი მენშევიკური მთავრობის რაიმე ფინანსიურ გეგმის შესახებ. ამაში მათ ხელს უშლიდა არა მარტო ნგრევის საერთო პირობები, არამედ ორგანიზაციული ხასიათის მიზეზებიც. სწორი ბიუჯეტის აგების სფეროში მენშევიკებმა ვერაფერი ვერ გააკეთეს; ამიტომ მეტად სადაოა მენშევიკური მთავრობის სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის ციფრიც.

დაახლოებით გამოანგარიშებით მისი რაოდენობა არ აღემატებოდა ათ მილიონ მანეთს. საბჭოთა საქართველოს 1926—27 წლის საერთო ბიუჯეტი კი აღწევს 70.000.000 მანეთს, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტი—დაახლოებით 75—77 მილიონს.

მაგრამ მარტო ბიუჯეტის სიდიდე არ არის საკმარისი ამა თუ იმ მთავრობის პოლიტიკის კურსის დასახასიათებისათვის; ამისთვის საჭიროა გასავლის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებისათვის ანალიზის გაკეთება და იმის გამორკვევა, თუ რაზე იხარჯება ბიუჯეტის საშუალებანი?

თუ ამ თვალსაზრისით მოვუდგებით მენშევიკურ და ბოლშევიკურ მთავრობების ბიუჯეტებს, დავინახავთ შემდეგს:

1. ა) მენშევიკურ მთავრობის 10 მილიონიან ბიუჯეტიდან ადმინისტრატიულ და სამხედრო საჭიროებებზე მთავრობა ხარჯავდა 72,1 პროცენტს, ე. ი. 7.210.000 მანეთს; ბ) სპეციალურ-კულტურულ საჭიროებებზე 27,9 პროც., ე. ი. 2.790.000 მანეთს.

2. ა) 70 მილიონიან ბიუჯეტიდან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობა ადმინისტრატიულ საჭიროებებზე ხარჯავს არა უმეტეს 9 მილიონი მანეთისა, ე. ი. დაახლოებით ბიუჯეტის 13 პროცენტს, ხოლო დანარჩენი თანხა, ე. ი. 61 მილიონი მანეთი იხარჯება ქვეყნის სოციალურ-კულტურულ და საწარმოო სამეურნეო საჭიროებებზე.

კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

უფრო ნაყოფიერი და ეფექტიური მუშაობის მიზნით მომავლისათვის საბჭოთა ხელისუფლება ყველ წელს, თავის წლისთავზე ახდენს თავის მიღწევების სასტიკ საზოგადოებრივ გადათვალიერებას საქართველოს მუშათა და გლეხთა სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგებში.

როგორია ამ გადათვალიერების შედეგები? რამდენად დიდია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები წარსულ 7 წლის განმავლობაში?

ამის შესახებ ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ზემოდ მოყვანილი ციფრები და ცხრილები.

იმ მუშაობას, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ მეტად მძიმე საორგანიზაციო ფორმების პირობებში, ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ აღდგენითი პროცესი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამ ხნის განმავლობაში მუშები და გლეხები შეთანხმებულ და დაუღალავ მუშაობას აწარმოებდენ სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგებში.

ამ დარგების უმრავლესობაში ჩვენ გავსცილდით არამც თუ მენშევიკების ბატონობის პერიოდის დონეს, არამედ ომის წინადროის დონესაც.

ათასგვარი ცილისწამება, თავდასხმები და დაბრკოლებები განიცადა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაში თავისი მტრებისაგან.

მაგრამ აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში მოსახლეობის ფართო ფენების საკეთილდღეოთ ჩატარებულ მუშაობის მიღწევებმა, რომლებმაც მრავალ დარგში უკვე შორს დასტოვეს ომის წინადროის ნორმა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის საერთო ზრდამ ჩვენი მოსისხლე მტრებიც კი დაარწმუნა, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას თავისი კლასობრივი ენერგიით, ფოლადისებური ნებისყოფით და სიმტკიცით შეეძლო გაეერთიანებინა საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა და დაეხსნა ის იმ უფსკრულისაგან, რომელთანაც მიიყვანა მენშევიკურ მთავრობის ბრმა პოლიტიკამ.

ამავე გარემოებამ შეაცვლევინა აზრი საქართველოს ძველ ინტელიგენციასაც, რომელიც პირველ ხანებში მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი; ამჟამად მისი საუკეთესო ნაწილი მუშაობს საბჭოთა აპარატში არა შიშით, არამედ სინიდისის ქვეშ, გამსჭვალულია რა სურვილით მთლიანად მოახმაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეს.

მიღწეულ მიჯნებიდან, აღდგენითი პროცესის დამთავრებიდან საბჭოთა საქართველო წავა სოციალისტური მომავლის მშენებლობის და შემოქმედების გზით, მტკიცედ და გაბედულად ივლის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელთა ძლევამოსილ რიგებში—საერთო მიზნისაკენ—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

საბჭოთა საქართველოს 7 წლის თავი

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ კავკასია 1918 წლიდან მოწყვეტილი დარჩა რუსეთისაგან აქ ყველგან საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო დამყარებამდე.

კერძოდ საქართველო წარმოადგენდა „დემოკრატიულ რესპუბლიკას“ ყველაზე უფრო გავლენიანი პარტია საქართველოში იყო მენშევიკური პარტია. მენშევიკებს ხელში იყო პარლამენტი და მთავრობა. ისინი „განსაზღვრავდენ“ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ისინი მუშების მოსატყუებლად „სოციალისტურს“ უწოდებდენ. ნამდვილად კი არაფერი არ იყო სოციალისტური მენშევიკების ნაციონალისტურ პოლიტიკაში, რომელიც გამსჭვალული იყო მტაცებლური ტენდენციებით.

სამეურნეო მშენებლობის დარგში კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივა ცნობილ იქნა ეკონომიური აღორძინების საფუძვლად. მთავრობას საშინაო პოლიტიკაში სიტყვიერად დემოკრატიულ პრინციპების მომხრე იყო, მაგრამ საქმით ფეხქვეშ თელავდა მათ, კერძოდ კომუნისტების მიმართ.

აგრარული საკითხი ვითომც „გადაწყვეტილად“ ითვლებოდა, მაგრამ უმიწაწყლო გლეხობა მაინც რჩებოდა უმიწოდ, მცირე მიწის მქონე გლეხები კარგავდენ იმ მიწასაც, რაც მათ ქონდათ მენშევიკებამდე, ვინაიდან მთავრობა მიწას იჯარით აძლევდა ისეთ მაღალ ფასებში, რომ იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ კულაკებისა და სხვა შეძლებულ ელემენტებისათვის. მენშევიკების აგრარული კანონის თანახმად მიწად-მფლობელობის მაქსიმალური რაოდენობა 7 დესეტინას აღწევდა. ამგვარად მთავრობის ღონისძიებანი მიწის საკითხში იწვევდა კერძო კულაკურ-თავად-აზნაურული მეურნეობის განმტკიცებას.

მუშათა საკითხის დარგში მენშევიკების მთავრობამ, რვა საათის სამუშაო დღის ფორმალურად შემოღების გარდა, არაფერი არ მისცა მუშებს. მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობა მენშევიკების ბონების კურსის კატასტროფიულად დაცემის და მთელი მათი ბურჟუაზიულ ეკონომიურ პოლიტიკის წყალობით პირდაპირ გამოუვალი იყო. შრომის ნაყოფიერების დაცემამ მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ თვეებში უკიდურესამდე მიაღწია. შრომის ნაყოფიერება დაეცა 75-იდან 40 პროცენტამდე და ამაზე უფრო დაბლაც.

მტაცებლობამ და მექრთამეობამ თბილისის ქალაქის დაწესებულებებში და სხვაგან მენშევიკების ბატონობის ბოლო ხანებში მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. მტაცებლობასთან და მექრთამეობასთან ერთად ვითარდებოდა გააფთრებული და უსირცხვილო სპეკულიაცია.

მთავრობის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში სავსებით ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ უმცირესობათა მისწრაფებებს. განაპირა მოსახლეობის შორის—აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ ოსეთში დაიწყო ძლიერი მოძრაობა თავისუფლების მოსაპოვებლად. მთავრობამ გადასწყვიტა ყოველგვარი ზომებით დაეწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. მან გადასწყვიტა ამ შემთხვევაში არ მორიდებოდა სტიქიური პროტესტებს და აჯანყებებსაც. ასე, მაგალითად სამხ.-ოს-ში 1920 წ. გაზაფხულზე და ზაფხულში ხდებოდა შეიარაღებული შეტაკება აჯანყებულ გლეხებსა და მენშევიკურ ხელისუფლების შორის. უიარაღო სამხრეთოსეთი ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ჟორდანია-რამიშვილის და კომპ. ბანდებმა. დამოკიდებულება თბილისის მთავრობისა და აფხაზეთს და აჭარის შორის უაღრესად გამწვავდა, რამაც გამოიწვია რამოდენიმე ჯერ შეიარაღებული შეტაკება მათ შორის. სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, სიძვირე ყოველ საათობით იზრდებოდა.

მენშევიკებს გამოეყენათ ცარიზმის პერიოდიდან დარჩენილი საქონლის მარაგი; არ არსებობდა ნორმალური სავაჭრო ბალანსი; მენშევიკები განუსაზღვრელი რაოდენობით უშვებდენ ბონებს; არ არსებობდა სამრეწველო კაპიტალი; არ არსებობდა ნორმალური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, (გლეხობა არაფერს არ აძლევდა ქალაქს მენშევიკების ფულის ნიშნებში„ გლეხობა მოითხოვდა საქონელს).

საშინელი იყო ღარიბ გლეხთა მდგომარეობა; მათი დიდი ნაწილი იძულებული იყო თავი დაენებებია სოფლისათვის, ვინაიდან მათ მიწა არ გააჩნდა,—და წასულიყო ქალაქში, სადაც ისინი მშიერ-მწყურვალი იყვნენ. მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა საშინელი იყო. მცირე ხელფასი, სიძვირის გააფთრებული ზრდა მუშებს გადაშენების გზაზე აყენებდა, ისინი მიმართავდენ გაფიცვებს, მაგრამ ეს გაფიცვები მიზანს ვერ აღწევდენ. მთავრობა ენერგიულად უსწორდებოდა მათ და მრავალ რევოლიუციონურ აჯანყებებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხან კაიზერის გერმანიის და ხან ანტანტის, განსაკუთრებით ინგლისის იმპერიალისტების დახმარებით.

მენშევიკური მთავრობა მდგომარეობის გამოსასწორებლად ამაოდ ცდილობდა საზღვარგარეთ სესხის აღებას.

ეკონომიური კატასტროფა, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, საქართველოს თანდათან უკარგავდა ყოველგვარ ნდობას დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების თვალში. ისინი უნდობლად უყურებდენ საქართველოს საფინანსო და სავაჭრო წინადადებებს, უარს ეუბნებოდენ სესხის მიცემაზე და სცდილობდენ თვითონ ჩაეგდოთ ხელში საქართველოს ტერიტორიაც, სიმდიდრეც, მოესპოთ მისი დამოუკიდებულობის ნაშთი და საქართველო გადაექციათ თავის სრულ კოლონიად. მენშევიკურ მთავრობას შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობიდან არავითარი გამოსავალი არ ქონდა, გარდა რევოლიუციონური გზისა—საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა. მაგრამ მას ეს არ შეეძლო, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ და კონტრ-რევოლიუციონურ პარტიას. მენშევიკები ყოველი ძალღონით ახშობდენ მუშათა და გლეხთა მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისაკენ. ამასთან დაკავშირებით ისინი მტრულად ეკიდებოდენ რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკებს, და მთელი თავისი ძალებით დახმარებას უწევდენ იმ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს, რომლებიც ამა თუ იმ საშუალებით აწარმოებდენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს მენშევიკების მთავრობა მთელ რიგ მნიშვნელოვან სამსახურს უწევს დენიკინს და აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის გენერალ-მემამულეთა აჯანყებულ რაზმებს და ბანდებს.

ასეთი მდგომარეობა იყო მენშევიკურ საქართველოში 1921 წლის დასაწყისამდე. მუშათა და გლეხთა მასები თანდათან რწმუნდებოდენ მენშევიკური პოლიტიკის სიყალბეში. იმ პოლიტიკის რომელიც მიმართული იყო მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. საქართველოს მშრომელთა მასებმა დაინახეს, თუ როგორი შინაარსი იმალებოდა „სახელოვანი“ და „დიადი“ ძველი საქართველოს მეფეებისა და დედოფლების, საშუალო საუკუნეების ფრანგ-ესპანელ სენიორების ტიპის ნაციონალური თვითგამორკვევის და ნაციონალურ-კულტურულ აღორძინების „ამაყი“ დროშის ქვეშ.

და აი, ხალხი აჯანყდა 1921 წლის თებერვალ-მარტის დღეებში. მთელი საქართველო მოიფინა რევკომებით. ყველგან აჯანყებას ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტია.

საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა, რომლებმაც დახმარებისათვის მოიწვიეს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი სახელოვანი წითელი არმია, სრული გამარჯვება მოიპოვეს რაღაც 30 დღის განმავლობაში.

საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ საქმეს ხელი შეუწყო მენშევიკების ეკონომიურ პოლიტიკის სრულმა გაკოტრებამ, მუშათა და გლეხთა ინტერესების ღალატმა, მუშების და გლეხების მოტყუებამ, რომელზეც გავლენას ახდენდა, საქართველოს კომპარტიის არალეგალური ორგანიზაციების განუწყვეტელი პროპაგანდა და აგიტაცია. მენშევიკების მტკიცება, რომ თითქოს „რუსეთის ბოლშევიკურმა არმიამ დაიპყრო საქართველო“, — ეწინააღმდეგება ფაქტებს.

წითელი არმია, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთაგან შემდგარი არმია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე ადგილებში იმყოფებოდა და რომელიც აჯანყებულმა ქართველმა მუშებმა და გლეხებმა მოიწვიეს, ეს არმია იყო არა დამპყრობი, არამედ თავისი მოძმეების — საქართველოს მუშათა და გლეხთა განმანთავისუფლებელი. იგი იყო, უმთავრესად, აჯანყებულთა მორალური — პოლიტიკური დასაყრდენი და სულის ჩამდგმელი, იგი აძლევდა საქართველოს აჯანყებულ მუშებსა და ღარიბ გლეხებს რწმენას იმისას, რომ სწორედ ეხლა, ოთხი წლის ბრძოლების შემდეგ — რამაც აუარებელი მსხვერპლი შეიწირა, — მათი უკანასკნელი გამოსვლა არ გამოდგება ამაო და დამთავრდება გამარჯვებით. ე. ი. საბჭოთა წყობილების დამყარებით საქართველოში და საქართველოს დაკავშირებით მუშურ - გლეხურ რუსეთთან და ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკასთან.

რა დასტოვეს მენშევიკებმა საქართველოში, თავისი წასვლის შემდეგ?

მათ გაძარცვეს „თავისი“ ქვეყანა, საფრანგეთის გემებით გაიტანეს ყოველივე ის, რაც დარჩა ბედშავ ქვეყანაში გერმანია - ოსმალეთის და ინგლის - ანტანტის იმპერიალისტების ოთხი წლის ვაკხანალიის შემდეგ.

„თბილისის საწყობებში არ აღმოჩნდა არც ერთი ფუთი ფქვილი ან ხორბალი, — მენშევიკებმა თან წაიღეს ყველაფერი, ცალიერი ტომრებიც კი“. აუცილებელი იყო ენერგიული ზომების მიღება, რათა ამიერ - კავკასიის რესპუბლიკები და განსაკუთრებით საქართველო გადაგვერჩინა სიმშილისაგან.

ომის წლებში და განსაკუთრებით მენშევიკების „დემოკრატიული“ მთავრობის მმართველობის პერიოდში გალატაკებულ საქართველოს არ შეეძლო თავისი საკუთარი ძალით დამდგარიყო ფეხზე. აქ საჭირო იყო მისი ძმური რუსეთის მუშურ - გლეხური რესპუბლიკის ფართო სასწრაფო დახმარება.

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკიდან სხვადასხვა დროს მიღებულ იქნა 7 მილიონი მანეთი ოქროთი, რამაც გადაარჩინა ქვეყანა სიმშილს და მკვდარი წერტილიდან დასძრა სამეურნეო აღორძინების საქმე.

„მე ჩემს თავს მივსცემ ნებას გამოვსთქვა იმედი, რომ საბჭოთა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მჭიდრო კავშირი შექმნის ეროვნულ მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში“ ასე სწერდა ამხ. ლენინი 1921 წელში.

და აი, როცა ჯამს უკეთებთ შვიდი წლის მუშაობას საბჭოთა საქართველოში, როცა ჯამს უკეთებთ მიღწევებს და წარმატებებს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარი ამიერ - კავკასიის ტერიტორიაზე არის მტკიცე და შეურყეველი ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება: აღარ არსებობს არავითარი უმცირესი შესაძლებლობაც კი ეროვნულ ბრძოლისათვის ამიერ - კავკასიის მოსახლე ერებ შორის, ასეთი ბრძოლის მოწამენი კი ვიყავით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

მეორე მიღწევა არის ამიერ-კავკასიის სოც ფედ. კავ. რესპუბლიკის ეროვნულ რესპუბლიკების ძმური კავშირის შექმნა, რომელიც წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს და საბჭოთა ხელისუფლების საიმედო ავანპოსტს ახლო აღმოსავლეთში.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა რა მრეწველობის, მთელი მიწის და მიწის წიაღთა ნაციონალიზაცია, ამით ამიერ - კავკასიის მშრომელთათვის (კერძოდ საქართველოს მშრომელთათვის) შექმნა ჯანსაღი მატერიალური ბაზა მათი ფართოდ გამოყენებისათვის.

„მიწა მშრომელ გლეხობას“ — ასეთი იყო საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ლოზუნგი მთლიანად განხორციელებულია. საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარების პირველ დღეებიდანვე, საერთო პოლიტიკურ ამოცანებთან ერთად ისახავდა უდიდეს ამოცანას — დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. ბოლშევიკების დროს გლეხებმა პირველად მიიღეს მიწა არა ქაღალდზე, არამედ საქმით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინება. სოფელი გამოცოცხლდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციამ სწორად იწყო ზრდა.

საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და გლეხის მეურნეობის რენტაბელობის გადიდების მიზნით საბჭოთა სახელმწიფო იღებს ზომებს, ატარებს ფართო ღონისძიებებს მრეწველობისა და მიწადმოქმედების ინდუსტრიალიზაციისათვის. საქონლის დამზადება სწარმოებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით. ფასების პოლიტიკა დამყარებულია ქალაქისა და სოფლის მჭიდრო კავშირის იდეაზე; სესხის თავის დროზე, შეღავათიან პირობებში მიცემით, სახელმწიფო ეხმარება სოფელს — ღარიბ და საშუალო გლეხობას.

მაგრამ გლეხის მეურნეობის შემოსავლიანობა მარტო ამით არ იზრდება. საბჭოთა ხელისუფლება ფაბრიკებს და ქარხნებს უახლოვებს ნედლეულის ადგილებს.

ამიერ-კავკასიის და მასთან ერთად საქართველოს ინდუსტრიალიზაცია მრეწველობისა და მიწად მოქმედების დარგში სწრაფად მიდის წინ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მრეწველობა სწრაფად აღსდგა. მთელი ჩვენი ქვეყანა მოფენილია სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანოების ქსელით.

კოოპერაცია უკლებს ფასებს თავის საქონელზე, ძლიერ ზეგავლენას ახდენს კერძო ვაჭრობის მდგომარეობაზე.

მეტად მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ელექტროფიკაციის ფრონტზე. ყოველ წლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია: ზაჰესი უკვე მუშაობს, დამთავრებულია აბაშის ჰიდრო - ელსადგური, დაიწყო მუშაობა რიონის ჰიდრო ელსადგურის ასაგებად, გაჩაღებულია მუშაობა აჭარის - წყალის ელსადგურის აგებისათვის. ჰიდროელექტრო ენერგიის მდიდარი რესურსები გვაძლევს ყველა საშუალებებს რაციონალიზაციისათვის და საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკის ბაზის გაიაფებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებას განვლილ წლების განმავლობაში დიდი მიღწევები აქვს კულტურულ ფრონტზედაც.

აქ განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს საბჭოთა ხელისუფლების ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების ფართო კულტურულ განვითარებას და საბჭოთა კავშირის ხალხების, მათ შორის ამიერ-კავკასიის ხალხების, ეროვნულ თვითგამორკვევას.

სკოლა ფართოთ უხსნის თავის კარებს მშრომელთა ბავშვებს.

ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად მოწმობს იმ ფართო მშენებლობას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა საქართველოში და საზოგადოდ მთელ ამიერ - კავკასიაში.

მშრომელთა ხელებით შენდება ახალი ცხოვრება ახალ საფუძველზე, ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის გზით. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სრულმა კონტრასტმა დღევანდელ საბჭოთა საქართველოსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ძირიან - ფესვიანად შესცვალა საქართველოს მუშათა და გლეხთა მასების სულისკვეთება, რომელნიც საქმით დარწმუნდნენ, რომ მათ უსირცხვოთ და უსინდისოთ ატყუებდენ მენშევიკები — ჟორდანია ,წერეთელი, რამიშვილი და ძმანი მათნი,

აი, სწორედ ამიტომ, მუშურ-გლეხური საქართველო, რომელსაც ღრმად სწამს სოციალიზმის გამარჯვება, თავისი მეურნეობის სწრაფი ნაბიჯით წინსვლა, ზეიმით აღნიშნავს თავის გამარჯვების 7 წლის თავს, თავისი „ოქტომბრის“ რევოლიუციის გამარჯვებას 1921 წლის თებერვალ - მარტის დღეებში, თავის გამარჯვებას მოღალატე მენშევიკებზე — იმპერიალისტების ლაქიებზე, რომლებიც თავის მოღალატურ პოლიტიკას ფარავდნენ, ვითომც საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

და მართლაც, იმპერიალისტების ლაქიები—მენშევიკები, რომელნიც შვიდი წლის წინათ გააძევეს საქართველოს რევოლიუციონურმა მუშებმა და გლეხებმა აქ. ფარგლებიდან დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით ვითომც „თავის შეყვარებულ“ საქართველოს უმზადებენ საერთაშორისო კაპიტალის მონობისა და ექსპლოატაციის ბორკილებს, უმზადებენ უბედური კოლონიების ბედს, ინგლისის და მთელი საერთაშორისო იმპერიალიზმის კოლონიების და ნახევარ-კოლონიების (მაგალითად მაროკო, ინდოეთი და სხვ.) ბედს. დღევანდელი საბჭოთა საქართველო მტკიცედ არის გაერთიანებული ამიერკავკასიის, და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხებთან. მტკიცე და შეურყეველია დიდი საბჭოთა ქვეყნის, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილის — საბჭოთა კავშირის მუშათა და მშრომელი გლეხობის კავშირი.

და ლენინური საკავშირო კომპარტია (ბ) მე-15 ყრილობის შემდეგ უფრო მეტად მონოლიტური და მთლიანია, ვიდრე ოდესმე, იგი მონოლიტური და მთლიანია მუშათა და გლეხთა პირველი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობაში.

ძლიერი და მძლავრია ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომლის გმირულ არსებობის ათი წლის თავს ამავე დღეებში ვდღესასწაულობთ. იგი ფხიზლად სდგას დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს ინტერნაციონალურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ყველა ავტონომიურ საბჭოთა ერთეულებთან — აფხაზეთთან, აჭარისტანთან და სამხრეთ - ოსეთთან გაერთიანებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მისი არსებობის 7 წლის თავზე!

ძირს ვერაგი მოღალატე — მენშევიკები!

ძირს მტაცებელი—იმპერიალისტები!

გაუმარჯოს ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

მიხა ცხაკაია.

გზა ახალ საქართველოს

ისე დაშორდი ძველს ყოფას,
როგორც წყლის გამყოფს მდინარე,
ბნელ ღამეს დღე რომ ეყოფა,
მკერდზე ოფლ-ჩამომდინარე,

—:—

ზღვის კიდეს—ნავი, ახსნილი,
ნავი, მოტორით მავალი,
სადგურს—ექსპრესი, ფრთა-ხსნილი,
თბო-მწევი, თუ ორთქლმავალი...

—:—

გუთანს რომ უგავს ტენდერი,
ბელტის-ბელტზე წვენითა...
მიჰქრის და შენც მზით ენთება,
წითელი დროშის ჩენითა...

—:—

ვერ ჩაჰკოდს „ მაგ სიცოცხლეს
„გზა, ვიწრო, ვერც კლდოვანი“...
სიკვდილი იბობღ-იფორთხებს,
ვით უხმო ჩონჩხი, ძვლოვანი...

—:—

მისი სახსრების ჭრაჭუნი
წარსულის გლოვის ზარია...

შენ კი, ნორჩ [illegible]
მიჰქრი წინ, [illegible]

—:—

მიგყვება გული, მაგარი,
მუხლი, უდრეკი, რკინისა,
აბჯარ-ასხმული მაყარი,
ხანძარი ბრძოლის ჟინისა...

—:—

წინ გელის შრომის ტევრები,
მკერდ-გაღეღილი ზვიადათ!
არც ხმლები, არც სატევრები,
არც მოელვილი სიათა.

—:—

არც ფიქრი „მამა-დავითის“,
არც კოჯრის ქარის სისინი,
ორბივით შავი ზვავი მთის,
არაგვის თეთრი სიცილი.

—:—

არც მცხეთა და არც სიონი
იქნება შენი ნუგეში,
არამედ ცეცხლის რიონი
და მტკვარი-რკინის უღელში!...

ნ. ზომლეთელი.

1921---1928 წელი

1917 წ. 25 ოქტომბერს პიტერის აჯანყებულმა მუშებმა და გარნიზონმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძალაუფლება ხელთ იგდეს და განდევნეს ეგრეთ წოდებული დროებითი მთავრობა. მაშინდელმა მმართველმა პარტიებმა ბურჟუაზიასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა საბჭოებს და მთელი რუსეთის ყოფილი იმპერია ორ მებრძოლ ბანაკათ გაიყო. ერთი მხრით მუშათა კლასი კომპარტიის მეთაურობით და მეორე მხრით-კი მენშევიკ-ესერ-კადეტებ-მონარქისტების ბლოკი შავი გენერლების ხელმძღვანელობით. არც საქართველოს მენშევიკები ჩამორჩნენ თავის თანამოაზრეებს და საქართველო დემოკრატიულ „ოაზისათ“ გამოაცხადეს. საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა რუსეთის მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ ცარიზმის წინააღმდეგ. რევოლიუციონურ ბრძოლებში შესისხლხორცებული-შეზრდილი საქართველოს და რუსეთის მუშათა კლასი მენშევიკური მუხანათობით გათიშულ იქნენ. იმ დროს, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა გააფთრებული ებრძოდა შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციას და საბჭოების ქვეყნის არსებობის ბედი სასწორზე იდო, საქართველოს მენშევიკებმა, ჟორდანია-რამიშვილი-გეგეჭკორი -წერეთელის მეთაურობით, ზურგი აქციეს ოქტომბრის რევოლიუციას.

ვის არ ახსოვს მენშევიკ გეგეჭკორის დითირამბები გენერალ ალექსეევის მიმართ? ვის არ ახსოვს გეგეჭკორის „ბრძნული“ სიტყვა „ჩვენ ორივენი ერთ წერტილში ურტყამთ“-ო, რომელმაც საბოლოოთ ნიღაბი ახადა მენშევიზმს? ვის არ ახსოვს „დემოკრატიული“ მთავრობის სისხლიანი ექსპედიციები ოსეთში, დუშეთში, ლეჩხუმში და სხვაგან? ვის არ ახსოვს დემოკრატიული მთავრობის რევერანსები უცხო სახელმწიფოთა გენერლების წინაშე? მენშევიკების წყალობით საქართველო სამი წლის განმავლობაში ყველა ჯურის იმპერიალისტების და კონტრ-რევოლიუციონერების სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. „დემოკრატიულ ოაზისში“, „დემოკრატიული“ მთავრობის ლოცვა კურთხევით არსებობდა დენიკინის შტაბი, რომელიც აგროვებდა ოფიცრობას ოქტომბრის მონაპოვარის დასამხობად. ვინ მოსთვლის მენშევიკების მუხანათურ მოღალატურ მოქმედებებს მათი საქართველოში სამი წლის ბატონობის დროს?.

მიუხედავად მრავალგვარ ხრიკებისა და პროვოკაციისა მენშევიკებმა მაინც ვერ შესძლეს თვალი აეხვიათ საქართველოს მშრომელი მასისათვის. გაივსო მშრომელთა მოთმინების ფიალა და 1921 წ. თებრვ. დადგა მენშევიკების განკითხვის დღე. საქართველოს აჯანყებულ მუშებს და გლეხებს გვერდში ამოუდგა რევოლიუციონურ ქარცეცხლში გამობრძმედილი სახელოვანი წითელი არმია და ერთის დაკერით გაფანტ-გაანიავა მატყუარების და მოღალატეების ტახტი. 7 წლის წინად 25 თებერვალს საქართველოს დედა ქალაქში აფრიალდა ოქტომბრის წითელი დროშა. უკუქცეული მენშევიკების მთავრობა თავქუდ მოგლეჯილი გამორბოდა შავი ზღვის ნაპირებისაკენ და გზადაგზა ანადგურებდა ხიდებს, გზებს და საერთოდ ერის ავლა-დიდებას. მთელი ხალხის სიმდიდრე ჩასჭვირთეს გემებში და დასავლეთისკენ მოკურცხლეს.

ჩვენ კარგად გვახსოვს ის საშინელი პროვოკაციები რომელსაც მენშევიკები ეწეოდენ წითელი არმიის წინააღმდეგ: აჰა! მოვა წითელი არმია, ქალებს გააუპატიურებს, სახლკარს დასწვავს და სხვ.

მაგრამ დახე განცვიფრებას, როდესაც ნაცვლათ მენშევიკების მიერ დასურათებულ გამხეცებულ არმიისა, ჩვენთან მოვიდა პოლიტიკურათ მომზადებული, ორგანიზაციულათ მჭიდროთ შეკავშირებული ნამდვილი მეგობარი და დამცველი მშრომელთა ინტერესებისა, სახელოვანი წითელი არმია. დახე განცვიფრებას, როდესაც „კაციჭამია“ ბოლშევიკების მთავრობა ენერგიულათ შეუდგა დანგრეულ სახელმწიფოს აღდგენას. სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობდა წინ ტრანსპორტის აღდგენა, ხიდების შეკეთება, გაფანტულ სახელმწიფო ქონების შეგროვება და საერთოდ კულტურული და აღმშენებლობითი მუშაობა. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ იმას, რაც გაკეთებულა ამ შვიდი წლის განმავლობაში საქართველოში, ნათლათ დავინახავთ იმ უზარმაზარ მუშაობას, რომელიც აწარმოვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ტყეის ქარხანა ბორჯომში, გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა მარელისში, ხე-ტყის სახერხი ქარხნები შამგონში, მცხეთაში, აჭარისტანში, აბრეშუმის სახვევი და საქსოვი ფაბრიკები ოზურგეთში, ხონში, ქუთაისში, საკონსერვო ფაბრიკები, აგურის და ცემენტის ქარხნები, მაუდის ფაბრიკა ქუთაისში და ეხლა შენდება კიდევ თბილისში—აი ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დარგში.

საქართველოს სილამაზე და სიამაყე ზაჰესი, თითქმის დამთავრებული აბაშის ჰიდრო სადგური, შემდეგ „აჭჰესი“, ახლად დაწყებული რაიონჰესი — ეს საუკეთესოდ მეტყველი ფაქტები ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობისა ელექტროფიკაციის დარგში.

ჩვენი საბჭოთა მამულები, სახალხო მამულები სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ რომელიც დასავლეთ საქართველოში ვეებერთელა მუშაობას აწარმოებს ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურის გავრცელებაში, ის აუარებელი კრედიტები, რომელიც გლეხობას ეძლევა მეურნეობის განსავითარებლათ, სასოფლო სამეურნეო იარაღები, რომელიც გლეხობას ურიგდება შეღავათიან და მისაწვდომ პირობებში, თვით მეტყველობენ ჩვენი ხელისუფლების ენერგიულ და დაუღალავ მუშაობაზე ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მთელი რიგი ხიდებისა და გზატკეცილებისა, ოზურგეთის რკინის გზა, სვანეთის გზატკეცილი, მაზრების ტელეფონიზაცია და სხვა მრავალი ეს იმის მეტყველია თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება კავშირის საქმეს ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვება.

უფასო საექიმო დახმარება და წამალი მუშა - მოსამსახურეს და ღარიბ გლეხობას, ოცზე მეტი საექიმო პუნქტი და [illegible] საავადმყოფო მარტოდ აჭარისტანში — ეს საკმარისათ ახასიათებს ჩვენი ხელისუფლების მუშაობას მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეში.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ აჭარისტანში ძლივსღა რამოდენიმე ათეული სკოლა მოიპოვებოდა. ეხლა კი ჩვენ უკვე გვაქვს 122 სკოლა, რამოდენიმე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, აგრონომიული, ინდუსტრიალურ და პედაგოგიური ტექნიკუმები სადაც რამოდენიმე ათასი აჭარელი ვაჟები და გოგონები სწავლობენ. ჩემის აზრით მეტის თქმა ზედმეტი იქნება თუ რა მუშაობა ჩაიტარებია ხელისუფლებას ამ შვიდი წლის განმავლობაში საქართველოს სწავლა განათლების განვითარების საქმეში. აი ასეთია მოკლეთ სურათი იმ გიგანტიურ აღმშენებლობითი მუშაობის, რომელიც ჩატარებული იქნება — საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ შვიდი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ათასგვარ ჭორებისა და ცილისწამებისა, რომელსაც მენშევიკები ავრცელებდნენ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, მიუხედავად იმ გამხრწნელ მუშაობისა, რომელსაც მენშევიკები აწარმოებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, მიუხედავად იმ ენერგიის დახარჯვისა, რომელიც უხდებოდა ჩვენს ხელისუფლებას მენშევიკურ ლაქიების და მოღალატურ მუშაობის ასალაგმავათ, ჩვენ ვხედავთ, რომ მიღწევები ჩვენს ხელისუფლებას დიდი აქვს.

დღეს, როდესაც საქართველოს მშრომელი მასა ზეიმობს საბჭოთა ხელისუფლების შვიდი წლის თავს, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ის ძალა, რომლის დახმარებით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფრიალებს ოქტომბრის დროშა. 1921 წ. თებერვალში, სწორეთ სამი წლის მისი არსებობის თავზე, ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მშრომელ მასას თავისი ერთგულება.

დღეს წითელი არმია საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად თავისი ათი წლის არსებობის თავს ზეიმობს. წითელმა არმიამ ბრძოლით გაიარა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორია, დაამარცხა შინაური და გარეშე კონტრ - რევოლიუცია, გაწმინდა საბჭოთა ქვეყნების ტერიტორია მშრომელი მასის მტრებისაგან, ეხლა ის იარაღით ხელში სდგას ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე და ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ჩვენს საზღვრებს.

ჩვენ გვწამს, რომ წითელი არმია, მუშების და გლეხების ეს ღვიძლი შვილი, პირველ საჭიროებისამებრ დაიცავს ჩვენ საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს მტრის შემოსევისაგან. იმპერიალისტების ყველა ზრახვები დაიმსხვრევა წითელ არმიის ჯავშნიან მუშტზე.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას და ფლოტს!

მოიდინ სურმანიძე.

საქართველოს ელექტროფიკაცია

საქართველოს სინამდვილეში არ არის ისეთი დარგი, რომლის მდგომარეობა 1921 წლიდან არ გაუმჯობესებულიყოს და რომელსაც არ დატყობოდეს შესამჩნევი პროგრესი. ეს გარემოება ერთგვარად ახასიათებს როგორც რესპუბლიკის სამეურნეო - ეკონომიურ ცხოვრებას ისე საზოგადოებრივ - კულტურულ მხარესაც.

მაგრამ არც ერთ დარგს არ ემჩნევა ისეთი ძირითადი გარდატეხა, როგორც ელექტროფიკაციას და ეს არც გასაკვირველია, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოში მიუხედავად მძლავრ ბუნებრივ პირობებისა, ელექტროფიკაციის საკითხი ძლიერ ჩამორჩენილი იყო.

ამიტომ დიდ ინტერესს წარმოადგენს განვიხილოთ საბჭოთა ხელისუფლების 7 წლის თავზე, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ.

პირველი ჯგუფის — რაიონულ ელექტრო-სადგურების — აღმშენებლობა ფაქტიურად 1923 წლიდან დაიწყო ზემო-ავჭალის (ზაჰესის) ჰიდრო-ელსადგურის აგებით. პირველად განზრახული იყო 10.000 ცხენის ძალოვან ორთქლტურბინიან ცენტრალის აგება, ნავთის გამოყენებით, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის დროს, თბო და ჰიდრო-ელსადგურების საესკიზო პროექტების შედარების შემდეგ, უპირატესობა მისცეს ინჟ. ოშანეს მელიქ-ფაშაევის მიერ წამოყენებულ 10.000 ცხენის ძალოვან ჰიდრო-ელსადგურის აშენების პროექტს მტკვარზე მცხეთას და სოფ. ზემოავჭალას შორის.

პროექტის საბოლოო სქემის შესამუშავებლად და მის შესადარებლად ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის წინასწარ პროექტებთან თბილისის აღმასკომმა 1922 წელში შეადგინა ადგილობრივი სპეციალისტების საექსპერტო კომისია, რომელმაც დაამუშავა ჰიდრო-ელსადგურის საბოლოო სქემა და პროექტის ძირითადი საფუძვლები; ამ პროექტით სადგურის სრულმა სიმძლავრემ აიწია 36.000 ცხენის ძალამდე, ხოლო უზრუნველყოფილმა პიკის სიმძლავრემ 18.000 ძალამდე.

შემდგომ კი, ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოში პროექტის ჰიდრავლიურ და ენერგეტიულ მხარეების დეტალურად დამუშავების დროს გამოირკვა, რომ ზაჰესის უბანზე წყლის ენერგიის სიმძლავრემ შეიძლება წელიწადში, 6—9 თვის განმავლობაში, მოგვცეს 54.000 ცხ. ძალა ან 40.000 კილოუატ-საათი, ხოლო უზრუნველყოფილი პიკის სიმძლავრე 20.000 ცხენის ძალა ანუ 15.000 კილოუატი, რაც ზაჰესის პირველი რიგის უკვე ამუშავებულ სიმძლავრეს უდრის.

ზაჰესი პირველი რიგის 15.000 კილოუატ-საათის ტურბო-გენერატორების დადგმით, დაჯდა 16 მილიონი მანეთი; ამ თანხაში შევიდა აგრეთვე ყველა ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა ღირებულება, რომელიც საჭიროა 54.000 ცხენის ძალის სადგურისათვის, ასე რომ სადგურის 54.000 ძალამდე გასაძლიერებლად საჭირო გახდება დამატებით მხოლოდ გენერატორულ სადგურის აგება, საწნეო მილების, საწნეო კამერების და ელექტრო-მოწყობილობის დადგმა. ამავე 16 მილიონში შედის აგრეთვე ღირებულება. მაღალ-ვოლტიან ორმაგ ხაზისა თბილისამდე, ქალაქის ოთხი 12.000 კილოუატ-საათის სიმძლავრის ქვესადგურის, 30 კილომეტრის სიგრძის მაღალ-ვოლტიან მიწის -. ქვეშა ჯირგინის, რომელიც უკვე დაგებულია ქალაქში და 50 სატრანსფორმატორო კიოსკისა თავისი მოწყობილობით. ამისდამიხედვით მომავალში ზაჰესის გაძლიერება 54.000 ცხენის ძალამდე დაჯდება არა უმეტეს 4 მილიონისა, ე. ი. სრული სიმძლავრის სადგურის ღირებულება შეადგენს 20 მილიონ მან. და ამ ღირებულებაში შევა ღირებულება ელგადამცემ ხაზისა ქვესადგურისა ქალაქის მაღალ-ვოლტიან ქსელის სატრანსფორმატორო კიოსკებით.

აქვე მოკლედ შევჩერდები ზაჰესის დატვირთვაზე და მის მნიშვნელობაზე ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეში. ზაჰესის დატვირთვა ჯერ-ჯერობით პირველ დაწყებით სტადიაშია, რადგან ზაჰესის ენერგიით ჯერ-ჯერობით მხოლოდ განათებისა და სამრეწველო დაწესებულებების ნაწილისათვის სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, იანვრის განმავლობაში ენერგიის ხარჯმა უკვე ორ მილიონ კილოუატ-საათს გადააჭარბა, ხოლო სადამოობითი მაქსიმუმი 6.500 კილოუატ საათს აღწევს.

ამჟამად უკვე ცხადი ხდება, რომ ზაჰესის დატვირთვა ბევრად აღემატება საპროექტო წინათმოსაზრებებს და პირველი რიგის სრული დატვირთვა (უკვე ამუშავებული 4 ტურბინის) შესრულდება არა 1931 წელში, როგორც ეს წინასწარი მოსაზრებებით იყო გათვალისწინებული, არამედ 1929 წლის გასულს.

თუ რამდენად დიდი მიღწევაა ზაჰესი, იქიდანაც სჩანს, რომ საქართველოს ყველა თბო და ელსადგურებიდან წლიურად 1913 წელში მხოლოდ 20 მილიონ კილოუატ-საათს ენერგიას ვღებულობდით. ზაჰესის გავლენა საქართველოს სამრეწველო დაწესებულებებს ჯერ კიდევ ზაჰესის ამუშავებამდე დაეტყო.

თბილისის მაუდის ქარხნის აღმშენებლობას 1926 წელში შეუდგნენ და ეს ქარხანა 1500 ცხ. ძალას მოითხოვს; კასპის ცემენტის ქარხანა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა 1927 წელში უკვე 1930—31 წლებში 2000 ცხენის ძალას მოითხოვს აგრეთვე თბილისის აღმასკომის მიერ დაწყებული აღმშენებლობა ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად, ამ მოკლე ხანში დამთავრებული ქსელი სოფლის ელექტროფიკაციისა მცხეთა-ავჭალა-გლდანის რაიონში, საქართველოს წყალთასამმართველოს მიერ დაწყებული მორწყვა დიღომის მინდვრებისა 600 ცხენის ძალიან ელსაქაჩავებით — აი, უახლოესი შედეგები საქართველოს პირველ რაიონულ ელსადგურის დამთავრებისა. ცნობილია აგრეთვე ის გავლენა, რომელიც ზაჰესის დამთავრებამ მოახდინა რკინის გზების სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხის გადაწყვეტაზე. უდავოა ისიც, რომ ზაჰესის არსებობამ და სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო მუშაობის დაწყებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა რიონჰესის საკითხის გადაჭრაზეც.

შემდეგ დიდ ნაბიჯად რაიონულ ჰიდრო-ელსადგურების აგებაში უნდა ჩაითვალოს რიონჰესის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა 1927 წლ. 28 ივნისს (ზაჰესის საზეიმო გახსნის მესამე დღეს) ქ. ქუთაისში.

ჯერ კიდევ 1924—25 წლებში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შესდგა ფერრო-მარგანეცის კომისია, რომელიც ცნობილ გერმანელ ჰიდრო-ტექნიკოს პროფესორ ლიუდინის ხელმძღვანელობით შეუდგა რიონის და ცხენის წყლის ენერგეტიულ ძალის გამოკვლევას ერთ დიდ და მძლავრ ჰიდრო-ელსადგურის ასაშენებლად, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნებოდა განზრახულ ფერრო-მარგანეცის ქარხნის ელექტრონის ენერგიით უზრუნველყოფა.

ამ გამოკვლევის მიხედვით ფერრო-მარგანეცის კომისიამ მოიწონა პროფ. ლიუდინის პროექტი მდ. რიონზე ქ. ქუთაისთან სადგურის აშენებისა. აღნიშნულ პროექტით წყლის წნევა 42 მეტრს უდრიდა, მუდმივი უზრუნველყოფილი პიკის დატვირთვა 20.00 ცხენის ძალას, პერიოდული—40.000 ცხენის ძალას და წლიურად გაცემულ ენერგიის სიმძლავრე 160.000 კილოუატ - საათს.

რიონჰესის ჰიდრო-ელსადგურის აშენების საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურად წამოიჭრა 1926 წლის მეორე ნახევარში, რადგან ამ დროისათვის უკვე გამორკვეული იყო ზაჰესის პირველი წლების დატვირთვა დასრულებული იყო ა-კ. რკინის გზების სურამის უღელ-ტეხილის ელექტროფიკაციის პროექტი და გამორკვეული ელექტროფიკაციისათვის საჭირო ენერგიის რაოდენობა, რაც ნათელჰყოფდა დასავლეთ საქართველოში მძლავრ ჰიდროელსადგურის აგების აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უღელ-ტეხილისათვის ორივე მხრიდან ენერგიის მიწოდება.

ამისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა რიონის ჰიდრო-ელსადგურის საკითხის დამატებით დამუშავებას ფერრო-მარგანეცის კომისიის მასალების მიხედვით;გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, სპეციალურ და დეტალურ გამოანგარიშებას, თუ რა რაოდენობის დატვირთვა იქნება და როგორ გაიცემა ენერგია ზაჰეს-რიონჰესის სისტემის პარალელურად მუშაობის დროს,

დაწვრილებით და ზუსტად გამოანგარიშებამ დაგვანახვა, რომ თბილისის, გორის, ქუთაისის ჭიათურის და სურამის უღელ-ტეხილის ელექტრონის ენერგიით უზრუნველსაყოფად, ზაჰეს-რიონჰესის სისტემა 115.000 ვოლტიან ელ-გადაცემის ხაზით შეერთებული, როგორც ეკონომიური, ისე ტეხნიკური მხრივ უკიდურესად მიზანშეწონილი იქნება: 1930—31 წლებში ის გასცემს 78.150.000 კილოუატ საათს ენერგიას და 1934—35 წლებში-კი 190.415.000 კ. ს.—ს.

რიონჰესის აღმშენებლობა საბოლოოდ დადასტურებულ იქნა ზემომოყვანილ საფუძვლებზე საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ინსტანციებში და დამტკიცებულ იქნა შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ გ. წ. 6 მაისს.

სადგურის ტეხნიკურ პროექტის დამუშავების დროს მხედველობაში იქნება მიღებული ინჟ. მელიქ-ფაშაევის მიერ 1926 წელს წარმოდგენილი ვარიანტი, როგორც რიონჰესის ძირითად პროექტის დამატება; ეს ვარიანტი ტეხნიკურ და ეკონომიურ თვალსაზრისით სერიოზულ ინტერესს იწვევდა და ამიტომ საქართველოს ს. მ. უ. ს.-ის განკარგულებით უკვე 1926 წლის გასულს შეუდგნენ მის გამოსაკვლევ მუშაობას. ცენტრიდან მოვლენილი ცნობილი ექსპერტები, რომელნიც ამ საკითხის გარშემო გასული წლის ივნისში მუშაობდენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ ერთხმად, რომ ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტს შესამჩნევი გაუმჯობესება შეაქვს ძირითად პროექტში და თან ღირებულება არ აღემატება ძირითად პროექტის ღირებულებას.

სამუშაო და ფინანსიურ გეგმების მიხედვით სადგურის აღმშენებლობა 1931 წელში უნდა დამთავრდეს. იმავე დროისათვის განზრახულია სურამის უღელ-ტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების დამთავრებაც.

ორ პირველ რაიონულ ცენტრალის აშენების დამთავრების შემდეგ საქართველოში იქნება ორი ძლიერი იაფი ენერგიის მიმწოდებელი წყარო, რომელნიც ტერიტორიალურად ფრიად მოსახერხებელ პირობებში იქნებიან გაშენებული და თან ორივე ცენტრალი შეერთდებიან მაღალ-ვოლტიან ელგადაცემის ხაზით; ამ ორ ცენტრალს პირველი რიგის დადგმული სიმძლავრით შეეძლებათ მოგვცენ 50.000 ცხენის ძალის (35.000 კილოუატ-საათი) ოდენი ენერგია, მცირეოდენი ხარჯის გაწევით ეს ენერგია აიწევს 114.000 ცხენის ძალამდე (82.000 კილოუატ-საათი), რადგანაც ორთავე ცენტრალს სრული სიმძლავრისათვის საჭირო ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობანი უკვე მზად ექნებათ; ამავე დროს წლიურად ორთავე ცენტრალი 370 მილიონ კილოუატ-საათ ენერგიას გამოიმუშავებს.

ზაჰეს-რიონჰესის აშენების შემდგომ ეტაპად საქართველოს ელექტროფიკაციაში უნდა ჩაითვალოს თოფარავანის რაიონული ჰიდრო ელსადგური.

თოფარავანის ჰიდრო-ელსადგურის იდეა პირველად ამ სტატიის ავტორმა წამოაყენა 1921-22 წ. როდესაც ბაგრატ მიქელაძესთან ერთად მოვახდინეთ ახალქალაქის პლატოს მთის ტბების გამოკვლევა,რის შემდეგაც შევადგინეთ პროექტის რამოდენიმე სქემატიური ვარიანტი. საკითხის შემდეგმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მთის ტბების და მდ. ახალქალაქის (თოფარავანი) გამოყენება ძლიერ საინტერესო ჰიდროლოგიურ და ენერგეტიულ პრობლემას წარმოადგენს.

აღვნიშნოთ, რომ ჰიდრო-ელსადგურის ძირითად დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს: ტბების სარეგულიაციო წყლის მოცულობის რაოდენობა, რომელიც 200 მილიონ კუბ. მეტრს აღემატება, გამოსაყენებელი წნევა წყლისა 625 მეტრი, მუდმივ უზრუნველყოფილი პიკის სიმძლავრე 100.000 ცხენის ძალა, შესაძლებელი სიმძლავრე 160.00 ცხენის ძალა, ხოლო წლიური გაცემა ენერგიისა 500—600 მილიონ კილოუატ-საათი.

მსხვილ რაიონულ ცენტრალურ სადგურების საკითხის განხილვის დამთავრებამდე კიდევ უნდა შევჩერდეთ რამოდენიმე სერიოზულ მუშაობაზე, რომელიც ამავე ხნის განმავლობაში იქნება ჩატარებული.

ასეთად ჩაითვლება: 1) დეტალური გამოკვლევა ტყიბულის ჰიდრო-ელსადგურისა, რომელსაც ა-კ. რკინის გზების ელექტროფიკაციის განყოფილება აწარმოებდა; 2) იმავე განყოფილების მიერ წარმოებულია წინასწარი გამოკვლევა და პროექტი შაორის (რაჭა) ჰიდრო-ელსადგურის ასაგებად; 3) წინასწარი პროექტი ტყიბულის შავი-ქვის მაღაროების თბო-ცენტრალისა, რომელიც საქართველოს ს. მ. უ. ს.-მა შეადგინა და 4) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ 1926—27 წლებში შემუშავებული საესკიზო პროექტი სამგორის სარწყავ არხის წყალვარდნილზე განზრახულ ჰიდრო-ელსადგურისა.

ეს მუშაობაა შესრულებული საქართველოში 1922—27 წლებში მსხვილ რაიონულ ცენტრალების შესწავლისა და აღმშენებლობის დარგში

უდავოა, რომ ამ დარგში შესამჩნევი მიღწევები გვაქვს,, უდავოა ისიც, რომ უკვე დამთავრებული საქმეები ფართო გზას უხსნის საბჭოთა საქართველოს—ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციის განსახორციელებლად.

ჰიდრო-ელსადგურების მეორე ჯგუფის საშუალო სიმძლავრის სადგურების აგების საქმეშიც უკანასკნელ წლებში ძალიან დიდი მიღწევები გვაქვს, როგორც ფაქტიურ მუშაობის წარმოების, ისე გამოკვლევების მხრივ. 1924 წელში ორ ასეთ სადგურის აღმშენებლობას შევუდექით: აჭარის-წყლის—აცმესი აჭარაში და აბაშის—აბაშესი—სენაკის მაზრაში.

აცმესი შენდება სოფ. მახუნცეთთან მდ. აჭარის წყალზე, ქ. ბათომიდან 35 ვერსტის მანძილზე, ბათომ-ახალციხის გზატკეცილზე. პირველ რიგში დადგმის 7.500 ცხენის ძალა (მუდმივი 5.000); შემდეგ სადგურის სიმძლავრე საგუბრის ამაღლებით მოიმატებს 12.000 ცხენის ძალამდე.

აცმესის დატვირთვას უზრუნველყოფს ქ. ბათომი, სადაც ენერგიას მოითხოვს ნავთსადგური დამტვირთავ და ნავთის გადამქაჩავ მექანიზმებით, ნავთის გადამამუშავებელი და ქალაქის სხვა ქარხნები, კომუნალური მეურნეობა, რკინის გზების სადგური, ახლო მდებარე კურორტები, ჩაის პლანტაციები და სხვა.

ამჟამად სადგურზე ასრულებულია სამუშაოების 40 პროც. და მიმდინარე წელში შემუშავებულ გეგმის მიხედვით სადგური უნდა დამთავრდეს 1930 წელში.

აბაშესი შენდება მდინარე აბაშის, ე. წ. მარტვილის წყალვარდნილზე ქ. ახალსენაკიდან 35 კილომეტრის მანძილზე; გამოსაყენებელი წნევა ერთნახევარ კილომეტრის მანძილზე 46 მეტრს უდრის (ე. ი. საშუალოდ 30 მეტრი კილომეტრზე). სადგურის მუდმივი სიმძლავრე 2.600 ცხენის ძალას უდრის და მაქსიმალური 3.250 ცხ. ძალას. პირველ რიგში დადგმულია ერთი აგრეგატი 170 ცხენის ძალის სიმძლავრით; მეორე ამავე სიმძლავრის დაიდგმის 1928 წლის 1 მაისისათვის, ხოლო მესამე 1500 ცხენის ძალის უახლოეს დროში, როდესაც აბშესი ენერგიას მიაწოდებს რიონჰესის აღმშენებლობას.

ამჟამად აბშესზე ყველა სააღმშენებლო სამუშაო და ელექტრო-მოწყობილობის მონტაჟი დამთავრებულია, ბოლოვდება აბშესი-სენაკი-ფოთის ელ-გადაცემის ხაზის სამუშაოები და სწარმოებს სადგურის საერთო შემოწმება და გამოცდა,—ასე, რომ მისი ამუშავება უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს.

სადგურის სრული ღირებულება პირველი რიგის აგრეგატების დადგმით და 22.000 ვოლტიან ჭიმის ელგადაცემის ხაზის (სენაკი-ფოთი 65 კილომეტრის სიგრძით), 4 ქვესადგურის (1 სოფ. ბანძაში, 1 ქ. ახალ-სენაკში და 2 ქ. ფოთში) ღირებულების ჩათვლით 1.200.000 მან. უდრის: სადგურის სრულ სიმძლავრემდე (3250 ცხენ. ძალ.) გაფართოების შემდეგ 22.000 ვოლტის შენების ფასით (ე. ი. ელგადაცემის გამოკლებით) მისი ღირებულება შეადგენს 1.000.000 ანუ 420 მან. დადგმულ კილოუატ-საათზე (300 მან. ცხენის ძალა).

პირველი რიგის ენერგიის მომხმარებლად ითვლება: ქ. ფოთი, ახალ-სენაკი და სოფ. ბანძა. მიმდინარე წლის განმავლობაში შენდება აბშეს ხონი-ქუთაისის ელგადაცემის ხაზი ქუთაისის წარმოებების აღმშენებლობისათვის ენერგიის მისაწოდებლად.

უახლოეს 1 ნახ.—2 წელში აბშესს დაეწვება ქუთაის-ფოთი-სამტრედიის ფართო რაიონის დატვირთვა რომლის მანძილი 150 კილომეტრს უდრის და რომელზედაც გაებმება 22.000 ვოლტიანი ჭიმის ელგადაცემის ხაზი.

განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ აბშესის ელგადაცემის ხაზის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ელექტროფიკაციისათვის, რაც რიონჰესის ამუშავებისა და მის ზაჰესთან ელგადაცემის ხაზით შეერთების შემდეგ გამოაშკარავდება. აბშესის ქსელი თავის ქუთაის- ხონის შტოთი შეუერთდება რიონჰესს და აქედან 115. 000 ვოლტიან ხაზით ზაჰესს. ზაჰესი ამგვარად შეადგენს ცენტრალს, რომელსაც ექნება დენის ორსახოვანი ტრანსფორმაცია: 37.000 და 115.000 ვოლტის, პირველით იგი უერთდება თბილისის რაიონს, ხოლო მეორით კასპი— გორი— ხაშური—სურამის უღელტეხილის და რიონჰესის დატვირთვას. თავის მხრივ რიონჰესსაც ექნება ორსახოვანი ტრანსფორმაცია, პირველი 115.000 ვოლტიანი, შეერთებული სურამის უღელტეხილთან და ზაჰესთან, ხოლო მეორე 22.000 ვოლტიანი შეერთებული ჭიათურასა და ტყიბულთან, ხოლო ქუთაის-ხონით აბშესის ელგადაცემის ქსელთან.

ამგვარად თბილისის რაიონიდან ჭიათურამდე ტყიბულამდე, ფოთამდე და ზუგდიდამდე უკვე 1930—31 წლისათვის გამართება გაერთიანებული ელგადაცემის ქსელი, რომელიც სამი ცენტრალის, აბშეს-რიონჰეს-ზაჰესის ენერგიის დამუშავების და მისი მოხმარების შემაერთებელ ქსელად გადაიქცევა.

უდავოა რომ აღწერილი მდგომარეობა დიდ უპირატესობას მიანიჭებს სადგურების ექსპლოატაციას და მათ მომხმარებლებს (მრეწველობა, ტრანსპორტი, ქალაქები, სოფლის მეურნეობა).

რა შორს არის ეს სურათი დღევანდელ და ხვალინდელ დღისა საქართველოს ელექტროფიკაციის მდგომარეობიდან მის გასაბჭოებამდე!

მუშაობა საშუალო სიმძლავრის სადგურების აღმშენებლობის სფეროში 1921—27 წლებში არ ამოწურულა იმით, რაც აქ მოვიხსენიეთ. ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა ტეხნიკურ ეკონომიურ თვალსაზრისით კიდევ რამდენიმე გამოკვლევა; თავის მიზანშეწონილობით და სიიაფით ყურადღებას იპყრობს კახეთში, სოფ. ბაკურ-ციხესთან განზრახული გამოყენება ალაზნის სარწყავ არხის წყალვარდნილისა, რაზედაც საქართ. წყალთა მეურნეობის სამმართველო მუშაობდა. აქ შესაძლებელია, შედარებით მცირე ხარჯის გაწევით, არა უმეტეს 1.200.000 მ.—1.500.000 მანეთით (რადგან ძირითადი ჰიდრო-ტექნიკური ნაშენები ირიგაციისათვის კეთდება) შევქმნათ 7—8.000 ცხენის ძალის სიმძლავრის სადგური, რომლის მიხედვითაც კილოუატ-საათი დაჯდება 200—250 მან., ხოლო ცხენის ძალა 150—180 მან.

1.500 ცხენის ძალიან ჰიდრო-ელსადგურის აგება 1927—28 წლებში მდ. გუმისტაზე ქ. სოხუმის უზრუნველსაყოფად ელექტრონის ენერგიით; გარდა ამისა ამჟამად სწარმოებს გამოკვლევა 10—12.000 ცხენის ძალოვან სადგურის ასაგებათ მდ. გალიზ-გაზე ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროებისათვის (სამურზაყანო); თუ მხედველობაში მივიღებთ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ექსპლოატაციის ფართო პერსპექტივებს, უნდა ვიფიქროთ, რომ გალიზგის ჰიდრო-ელსადგურის აღმშენებლობასაც მოკლე დროში შეუდგებიან.

ჩვენ აღარ შევჩერდებით დანარჩენ მუშაობაზე, რომელიც საშუალო სიმძლავრის სადგურების ასაგებად სწარმოებდა საქართველოში და აქვე მოვიყვანთ მცირე ცხრილს იმ მცირე სიმძლავრის ელსადგურებისას, რომელნიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არის აშენებული და ან კაპიტალურად გადაკეთებული.

ჰიდრო-სადგურები, რომელიც აშენებულია საბჭოთა საქართველოში 1921 წლის შემდეგ:

დასახელება	სიმძლავრე ცხ. ძალა	დენის სისტემა	შენიშვნა:
1. აბასთუმანი	60	მუდმივი—220	
2. ახალციხე	150.	ცვალებადი—3000	
3. შოვი	220	მუდმივი—220	
4. ონი	240	„ —220	
5. ხონი	80	„ —220	
6. ცხინვალი	70	„ —220	
7. ახალქალაქი	100	„ —220	გადაკეთებ. კაპიტალურ.
8. ჩათახი	120	„ —220	
9. ბორჯომი.	300 (1500).	ცვალებადი—220	300 ცხენის ძალა დადგმულია რევოლიუციამდე. ფრჩხილებში აღნიშნულ 1500 ცხ. ძალ. მივიღებთ ამჟამად წარმოებულ კაპიტალურ გადაკეთების შემდეგ.

აქვე მოვიხსენიებთ რამოდენიმე ადგილობრივ მნიშვნელობის მცირე სიმძლავრის ჰიდრო სადგურებს, რომელთა აშენება განზრახულია: ოზურგეთი—250—500 ცხენის ძალა მესტია—100—300 ცხენის ძალა, ცაგერი 600—1000 ცხენის ძალა, ლაგოდეხი 100 ცხ. ძალა და აბასთუმანის ახალი სადგური 500 ცხ. ძალით.

ამგვარად საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე შესაძლებელია აღვნიშნოთ მთელი რიგი სერიოზულ და მნიშვნელოვან მიღწევებისა ელექტროფიკაციის დარგში.

აშენებულ და დაწყებულ ჰიდრო-ელსადგურების ქსელი რესპუბლიკის სამრეწველო და კულტურულ აღორძინების ძირითად ბაზად იქცევა. ელექტროფიკაციის გავლენა საქართველოს მრეწველობაზე თანდათან აშკარავდება. ეს გავლენა მომავალში ყოველდღე და ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ განსაკუთრებით გაიზრდება ჩვენი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ, მაგრამ, პრიმიტიულ სოფლის მეურნეობის და მცირედ განვითარებულ მრეწველობის გამო, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნის საინდუსტრიალიზაციოდ.

ინჟენერი ბეს. ჟიჟინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან

საქართველოს მშრომელნო!

წითელი არმიის ათი წლის თავთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავთან ერთად თქვენ აღნიშნავთ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავსაც. მუშათა და გლეხთა განთავისუფლება სრული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიტიკურ და ეკონომიურ რევოლიუციას ისინი დააგვირგვინებენ კულტურული რევოლიუციით, როდესაც ისინი, მეფეების მემამულეების და კაპიტალისტების უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ თავს დააღწევენ სიბნელესა და უვიცობას, რომელშიაც ჰყავთა ისინი ხალხის დამმონებელთ.

ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი მასწავლებელი და ბელადი ვ. ი. ლენინი ამბობს:

„მას შემდეგ, რაც გადაიჭრა ამოცანა მსოფლიოში უდიდეს პოლიტიკურ გადატრიალებისა, ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები—კულტურული ამოცანები... იმ პოლიტიკურ გამოცდილების გამოყენების ამოცანები, რომელიც შეიძლება და უნდა განხორციელებულ იქნას ცხოვრებაში... ჩვენთვის ეხლა საკმაოა ეს კულტურული რევოლიუცია, რომ გავხდეთ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ წამოაყენა მთელი სიგრძე-სიგანით ეს ამოცანები საქართველოში და დასაწყისი ჩაუყარა მათ განხორციელებას. მეფის მთავრობა ეყრდნობოდა ხალხის სიბნელეს, მის მიერ დაპყრობილ ხალხების კულტურულ ჩამორჩენილობას და „განაპირა ოლქების“ კოლონიზაციას.

მენშევიკების მთავრობა ქართველ ხალხისათვის დაეძებდა ახალ ბატონებს ინგლისელების, ფრანგების და სხვა უცხოელ კაპიტალისტების სახით. ხალხის კულტურული აღორძინება, მისი წრიდან ახალ შემოქმედებითი ძალების დაწინაურება უცხო საქმე იყო მათთვის. საზოგადოებრივი ინციატივით შექმნილი თბილისის უნივერსიტეტი მათთვის იყო კერძო დაწესებულება.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში იშვილა უნივერსიტეტი, გახადა იგი სრულიად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტად, ფართოდ გაუღო უნივერსიტეტის კარი მუშებსა და გლეხებს, დაუსახა მას ნათელი გარკვეული ამოცანები—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ განახლების ამოცანები.

საბჭოთა საქართველო უნდა გახდეს და გახდება სამრეწველო ქვეყნად, უაღრესად განვითარებულ სასოფლო-მეურნეობის ქვეყნად, მცოდნე და ჯანსაღ ქვეყნად. მას ესაჭიროება ინჟენრების, ტეხნიკოსების, მიწისმზომელების, აგრონომების, მასწავლებლების, ექიმების ფართო კადრები არა მარტო ქალაქისათვის, არამედ, უმთავრესად, სოფლისათვისაც და არა უბრალო სპეციალისტები, არამედ სპეციალისტები — საზოგადოებრივი მუშაკები, რომლებიც უნდა იცნობდნენ მშრომელ მასებს. შესტკიოდეთ გული მათი გაჭირვებისათვის, რომლებიც მახლობელნი უნდა იყვნენ მასებთან თავისი შთამომავლობით, რომლებსაც უნდა შეეძლოთ იქონიონ მათთან კავშირი მათთვის გასაგებ ენაზე.

ამ კადრებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგვცემს. ახალი ათწლედის დასაწყისი კიდევ უფრო დაახლოვებს მას მშრომელ მასებთან, მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან, კიდევ უფრო დაახლოვებს მათთან უნივერსიტეტის თანდათან გაუმჯობესებული პირადი შემადგენლობით და მისი ცოცხალი შემოქმედებით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს მშრომელთ და მათ სახელმწიფო უნივერსიტეტს და გამოსთქვამს მტკიცე რწმენა, რომ შრომისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირით, ძმური ერთობით ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან, საბჭოთა საქართველო, ჩამდგარი განთავისუფლებულ ხალხთა პირველ რიგში, მიაღწევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბოლოო მიზანს კომუნიზმის სრულ განხორციელებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღესასწაულს ექსოვება დღესასწაული წითელი ჯარის და დღესასწაული ჩვენი წითელი რესპუბლიკისა. დღესასწაულთა ეს სერია არაჩვეულებრივ ელფერს აძლევს ჩვენს ზეიმს. გარეგნული ფორმა ამ ისტორიული დღისა მართლადაც ვერ გამოხატავს შინაარს ამ ზეიმისა, რომელსაც ჩვენ ვაწყობთ. წითელი ჯარი სიმბოლოა ჩვენი ფიზიკური გაწვრთნის და გაზდის, რესპუბლიკის დღესასწაული სიმბოლოა ჩვენი სოციალური და ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებისა, უნივერსიტეტის ზეიმი-დღეობა ჩვენი მეცნიერული მაჯის ცემისა.

არა თუ ჩვენს არმიას, რომელიც წითელი ზოლით შემორტყმია მთელს ჩვენს არსებას და იცავს მას თავისი სისხლით, არა თუ ჩვენს რესპუბლიკას, რომლის კომუნარები ოფლს ღვრიან და დღე-ღამეს ასწორებენ მის ასაყვავებლად, არამედ ჩვენს უნივერსიტეტსაც შეუძლია ჩვენს მიზანს—სოციალიზმის საქმეს უთხრას ღირსეული სიტყვა თავის მიღწევების შესახებ.

დღეს გვინდა ჩვენ გავაცნოთ ჩვენს ხალხს ჩვენი სამეცნიერო მიღწევები. მე მინდოდა აქ მხოლოდ ჩვენი სამეცნიერო მიღწევები დამეკავშირებია იმ მუშაობასთან, რომელსაც კომუნისტები აწარმოებენ უნივერსიტეტში, ამ გარემოებას მივაქცევ მკითხველ საზოგადოების ყურადღებას იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არავის დავიწყებია ის განგაში, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ასტეხეს კომუნისტების უნივერსიტეტში შესვლის გამო.

— დაიღუპა ჩვენი უნივერსიტეტი, მოისპო მეცნიერების კერა, პოლიტიკანობას მსხვერპლად ეწირება საისტორიო ხასიათის დაწესებულებაო—აი რა გვესმოდა ჩვენ ყოველ კუთხიდან.

იყო ეს მართალი? რასაკვირველია, არა! ასევე ლაპარაკობდენ მთლად საქართველოზე 1921 წელში, ბევრი ამას დღესაც იმეორებს, რომელთაც ოქროს ყანაც რომ მისცეთ, მაინც ვერ მოუბრუნებ გულს. მაგრამ ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ კომუნისტების შესვლა უნივერსიტეტში არა თუ შეაჩერებდა უნივერსიტეტის მაჯის ცემას, არამედ მხოლოდ ეს მოვლენა იქნებოდა დამაჩქარებელი უნივერსიტეტის ცხოვრების განვითარებისა.

ერთი რამ მართლაც გამართლდა, რასაც ჩვენზე ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენ პოლიტიკას შევიტანდით უნივერსიტეტში. დიახ, ჩვენ, კომუნისტებმა, უნივერსიტეტში შევიტანეთ პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ სისუსტე იმაში კი არ გამოგვიჩენია, რომ უნივერსიტეტში პოლიტიკა შევიტანეთ, არამედ იმაში, რომ ჩვენი პოლიტიკა ჯერ კიდევ სუსტად არის შეტანილი.

რას ნიშნავს ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში? ჩვენი პოლიტიკა უნივერსიტეტში მდგომარეობს მეცნიერულ დონის მაღლა აწევაში, სამეცნიერო დაწესებულებათა საუკეთესოდ მოწყობაში, პედაგოგიური პერსონალის სათანადოთ მომზადებაში, სტუდენტობის ღარიბი ნაწილის ეკონომიურ დახმარებაში და უნივერსიტეტში ისეთი დარგების და ფაკულტეტების დაარსებაში, რომელნიც საჭირო არიან ჩვენი ხალხისათვის; მიმდინარე სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება იყო უმაღლეს სასწავლებლებისადმი ისეთი, როგორიც იყო ცხოვრების სხვა მოვლენისადმი ჩვენში არ არსებობდნენ ფაბრიკები და ქარხნები,—საბჭოთა ხელისუფლება აარსებს პირველსაც და მეორესაც. ჩვენში იყო გლეხკაცობა, მაგრამ არ იყო მუდმივი ლაშქარი ფაბრიკათა პროლეტარიატის, ეხლა კი ჩვენში იქმნება კადრი პროლეტარიატისა, ჩვენ გვჭიროდა ინჟენრები, ქიმიკოსები, ექიმები, ფიზიკოსები, და სხვა. ეხლა კი ჩვენ გვინდა აქვე გამოუშვათ ინჟენრები, ქიმიკოსები, ექიმები, ფიზიკოსები და სხვანი. ჩვენ გვინდა ყოველმა რესპუბლიკამ სპეციალისტებიც თავისივე ძალებით თვითონვე შექმნას—აი რა არის მთავარი შინაარსი ჩვენი პოლიტიკისა. აი ეს პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვადგევართ საბჭ. აღმშენებლობაში, არის ჩვენი იარაღი უნივერსიტეტში. თუ თქვენ გინდათ წარმოიდგინოთ მასშტაბი ჩვენი უნივერსიტეტისა დაარსების დღიდან დღევანდლამდე, შეგიძლიათ ამისათვის მხოლოდ ორი ციფრი აიღოთ. რამდენი გადასდო მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წელს და ბოლშევიკურმა—1928 წელს უნივერსიტეტისათვის:

1919 წელს—75.000 მანეთი.
1928 წელს—1.000.000 მანეთი*)

მენშევიკები უყურებდენ უნივერსიტეტს, როგორც კერძო დაწესებულებას და მაშინც კი, როდესაც ის გადაიქცა სახელმწიფო დაწესებულებად არსებითად ატარებდა კერძო ინსტიტუტის სახეს, ვინაიდან მენშევიკები ამყარებდენ თავიანთ იმედებს არა სახელმწიფოებრივი ხასიათის მუშაობაზე, არამედ მათის აზრით ცხოვრების ყოველი დარგი უნდა აგებულიყო კერძო თაოსნობის, კერძო პირთა ინტერესების შეჯიბრებაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს მთავარი დებულება ძირ-ფესვიანად ამოაგდო, ჩვენში საუკუნის განმავლობაში იმიტომ არაფერი გაკეთებულა, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში კერძო ინიციატივას საზოგადოთ არ შეუძლია სახალხო სამეურნეო და საკულტურო საქმეების კეთება. ჩვენ იმედი მხოლოდ საკუთარი თავისა გვაქვს. ჩვენ იმას კი არ უყურებთ თუ კერძოები რას გააკეთებენ, არამედ თვითვე ვიმუშავებთ სამუშაო გეგმას და სახელმწიფოებრივის შემოქმედებით ვქმნით საჭირო ცხოვრებას. აი ამ პირობებში უნივერსიტეტი ფაქტიურად ღებულობს სახელმწიფოებრივ ხასიათს, იგი ხდება ერთ-ერთი ღერძი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა.

ჩვენი, კომუნისტების დამოკიდებულება უმაღლეს სასწავლებლებისადმი, სრულიად თავისებურია. ჩვენ ყოველ ქარხანას ვუყურებთ, როგორც საკუთარ შვილს, ყოველ ფაბრიკაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი გამარჯვების და სიცოცხლის პირობას, აშკარაა, რომ ჩვენი ინტერესია საუკეთესო იყოს ჩვენი ყოველი ქარხანა. ჩვენი ყოველი ნაწარმოები. აი ამიტომაა, რომ ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხს შეადგენს შეგნებული მუშა, რომ ქარხანაში კარგად იმუშაოს, ამიტომაა ჩვენ გვინდა საუკეთესო ინჟენერი ქარხნის საუკეთესოდ მოსაწყობად.

პროფ. კორნელი კეკელიძე
სახ. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პრორექტორი

უმაღლეს მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები—ღერძია ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობისა. აი ამ მოთხოვნილებით შევედით ჩვენ საქართველოს უნივერსიტეტში. ჩვენ ვერავის დავანებებთ მეცნიერების პროფანაციას, ვინაიდან მეცნიერების დონის დაბლა დაწევა ჩვენი მტრების სანუკვარი ოცნებაა. ორი წლის წინეთ საპროფესოროდ ჩვენი უნივერსიტეტი ამზადებდა მხოლოდ 20 ახალგაზრდას, დღეს კი ჩვენ ეს რიცხვი აგვყავს 50 კაცამდე. 1920 წელში უნივერსიტეტში ირიცხებოდა 2 ათასამდე სტუდენტი, დღეს კი ირიცხება თითქმის 8 ათასი სტუდენტი. ჩვენი უნივერსიტეტი 6 ფაკულტეტისაგან შესდგება და თითქმის არც ერთი არ არის წმინდა ჰუმანიტარული. პედაგოგიური და სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტები, რომელნიც თითქმის ზოგადი განათლების ხასიათს ატარებენ ნამდვილად არიან ძალიან სპეციალურები თავიანთი აკადემიური ორგანიზაციით. მიუხედავად ამისა ჩვენ, კომუნისტები, არა ჩვეულებრივათ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს აგრონომიულ ფაკულტეტს, ჩვენს პოლიტექნიკურ ფაკულტეტს, პედაგოგიურს და მედიკურს. ყველა თანხების 90 პროცენტი, რო-

ამხ. კ. სულაქველიძე
სახ. უნივერს. პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი

მხოლოდ სპეციალურ დარგებზე. 85 პროც. ჩვენი საგეგმო და საპერსპექტივო ხარჯებისა ეკუთვნის ჩვენი უნივერსიტეტის სპეციალურ დარგებს.

თბილისის უნივერსიტეტი ათი წლის განმავლობაში გაუთავებია თითქმის 1200 კაცს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტმა კურსდამთავრებულთა გამოშვება დაიწყო მხოლოდ უკანასკნელ წლებში, დავინახავთ, რომ ეს ციფრი არც ისე უმნიშვნელოა. ომამდე ყველა უნივერსიტეტებში დაახლოვებით 2500 სწავლობდა, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი თუ ბრუნდებოდა საქართველოში. საბჭოთა წყობილების დროს ეს მდგომარეობა ძირ-ფესვიანად იცვლება და ყოველ სპეციალისტის პოსტზე უკვე ადგილობრივათ მზადდება სათანადოთ მომზადებული სპეციალისტი. ამ მომენტს აქვს არა მარტო დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე ძალიან დიდი ეროვნული მნიშვნელობა.

ჩვენი საზრუნავი საგანია მხოლოდ სპეციალისტების კვალიფიკაციის, მეცნიერულ დონეს აწევა. ქართული მეცნიერება და საქართველოს სამეცნიერო ძალები მხოლოდ ახლა იქმნებიან. პროფესურის და ლაბორატორიების საკითხი არის ჩვენი მუშაობის უმთავრესი ღერძი. იანვარში (1928 წ.) პროფესორების და დოცენტების ხელფასი ავწიეთ 35 პროცენტით ე. ი. ჯამაგირების მომატებაზე დავხარჯეთ 76 ათასი მანეთი, ე. ი. მეტი, ვიდრე მენშევიკური მთავრობა ხარჯავდა მთელ უნივერსიტეტზე. ახლა, მარტში კვლავ უმატებთ ჩვენს პედაგოგიურ პერსონალს არა ნაკლებ 180 ათას მანეთს, რაიცა ჩააყენებს ჩვენს მეცნიერებს სრულიად ნორმალურ პირობებში. ჩვენ ვაქცევთ ამავე დროს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას სამეცნიერო შრომების ქართულ ენაზე გამოცემას და ამ მხრივ ყოველ პროფესორს დავალება აქვს ყოველ მიზეზს გარეშე დაამზადოს და გამოსაცემათ წარმოგვიდგინოს თავისი მეცნიერების კურსი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მოსაწყობათ, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამეცნიერო დონის აწევის საქმეში ჩვენ ვხდებთ 200 ათას მანეთამდე.

ყოველ სხვა საბიუჯეტო და სპეციალურ თანხების გარდა ხელისუფლებამ მოგვცა პროფ- ტეხნიკური ფონდიდან ამ წლისათვის 62 ათასი მანეთი. ორი წლის განმავლობაში მარტო აგრონომიულ ფაკულტეტის სამეცნიერო ტეხნიკურ იარაღებისათვის დახარჯულია 120 ათასი მანეთი. ეს მარტივი ცნობები ჩვენ გვიჩვენებენ ჩვენი მუშაობის ინტენსიფიკაციის დონეს უნივერსიტეტში.

ამას თან ერთვის სტუდენტობის საკითხი, ჩვენი პოლიტიკა აქაც აშკარაა. ჩვენ შემოვიყვანეთ უნივერსიტეტში ჩვენი ხალხის ულარიბესი ნაწილი. 4195 სტუდენტი სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადიდან. სტუდენტთათვის ჩვენ ვაშენებთ ეხლა ორ საცხოვრებელ სახლს (ხოლო ერთ სახლს პროფესორთათვის) 1928 წლის პირველ იანვრისათვის ჩვენ ვაძლევდით სტიპენდიას 875 კაცს, თებერვალში ჩვენ ამას მოუმატეთ 75 სტიპენდია, ხოლო მარტში ამ რიცხვს ემატება კიდევ ასი სტიპენდია.

ყველა ეს ზომები ჩვენთვის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ჩვენ დავსძარით საქართველოს უნივერსიტეტი გაყინვის წერტილიდან, დღეს იგი უკვე არის ჩვენი მთავრობის ერთი უმთავრესი ღერძთაგანი, ჩვენ მაღლა ავწიეთ უნივერსიტეტის სამეცნიერო დროშა და მის საერთო კვალიფიკაციის საკითხი არის წითელი ხაზი მთელი ჩვენი კომუნისტური პოლიტიკისა უნივერსიტეტში.

ჩვენ ვფურცლავთ ჩვენი უნივერსიტეტის მეორე ათი წლის ისტორიის ფურცლებს იმ იმედით, რომ იგი, უნივერსიტეტი, შეიქმნება მძლავრი იარაღი და ფაქტორი მთელი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისა.

თედო ღლონტი.

---

*) ამ ჯამში შედის პროფესორთა ჯამაგირის მომატება, რომელსაც ამჟამად ვატარებთ.

კულტურული რევოლიუცია და ჩვენი უნივერსიტეტი

პროლეტარიატის დიქტატურის მტრების არც ერთი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. არ დაეცა საბჭოთა წყობილება და არც მოხდა მისი გადაგვარება. ფართო საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზზე გამოსულმა მშრომელთა კლასმა პირიქით დაამტკიცეს, რომ ის სწორედ „თავის დროზე“ მოვიდა, რომ მის მიერ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების დაპყრობა არ შეიძლება მიეწეროს შემთხვევით ფაქტებს, არამედ ეს „მოსვლა“ ისტორიული აუცილებლობითაა გამოწვეული. პროლეტარიატმა სძლია იარაღით ხელში თავის კლასიურ მტრებს და ამით შეჰქმნა აუცილებელი პირობები სოციალისტური აღმშენებლობისა. სამხედრო მდგომარეობის ლიკვიდაციის შემდეგ გამარჯვებულ მუშათა კლასის წინაამდეგ დაისვა მეტად რთული ამოცანა, რომლის გადასაჭრელად საჭირო შეიქნა არა მარტო გმირობა და სიმტკიცე, არამედ სისტემატიური სერიოზული შრომა და შეგნებული მშენებლობა ახალი საზოგადოებისა.

ამხ. თედო ღლონტი
სახ. უნივერსიტეტის რექტორი

სოციალისტური საზოგადოება უნდა იქნას აშენებული მუშათა და გლეხთა ფართე მასების მიერ, მრავალ მილიონ ადამიანთა მეოხებით. ახალი საზოგადოებრივ შენება კი, მოითხოვს მშენებელ მასების გათვითცნობიერებას, მათი კულტურული დონის ამაღლებას, მასების აღზრდას. ამიტომ იქნა წამოყენებული ამხ. ლენინის მიერ კულტურული რევოლიუციის პრობლემა, მასების კულტურულ და წინაურების ამოცანა, რომლის გარეშე მუშათა და გლეხთა მასების თვით მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. კულტურული რევოლიუცია ფართე ცნებაა და ის გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველი დარგის გაუმჯობესებას, მასების შეგნების ზრდას, მათ გონებრივ წინმსვლელობას და საერთოთ არსებით ცვლილებას მუშისა და გლეხის მთელს ყოფა-ცხოვრებაში.

ამას მიაქცევდა ყურადღებას ამხ. ლენინი, რომელსაც ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, მასების კულტურული ამაღლება მიაჩნდა მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად წარმატებითი სოციალისტური აღმშენებლობისათვის. ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობაზე ამიტომ ხაზი გაესვა იმას, რომ მასების მატერიალური მდგომარეობა და სამეურნეო განვითარება წინ უსწრებს კულტურულ წინსვლას, რომ არ არის გამოყენებული სათანადოთ მუშათა და გლეხთა მასების ლტოლვა ცოდნისაკენ, რომ კულტურული ფრონტი ჯერ კიდევ არ არის მიჩნეული მუშაობის პირველ ხარისხოვან დარგად და რომ კულტურულ ფრონტზე ჩამორჩენა, როგორც ამხ. რიკოვმა სთქვა მე-15 ყრილობაზე, თითქმის იმაზე მეტი საშიშია, ვინემ ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ან ჩვენი მრეწველობის აღდგენის დაბრკოლება.

კულტურული რევოლიუცია გულისხმობს, როგორც მუშათა და გლეხთა მასებში განუწყვეტელ მუშაობას მათი კულტურული შემეცნების ასამაღლებლად, როგორც მეურნეობის ცალკე დარგების თუ სახელმწიფოებრივი აპარატის უკეთ წარმართვას, მათი ხელმძღვანელობის გამარტივებისა და მასებთან დაახლოების საშუალებით, ისე უდიდეს ცვლილებებს მეცნიერებაში, მეცნიერული შემოქმედების ყოველ სფეროში და მეცნიერების როლის გაზრდას მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამგვარად, კულტურული რევოლიუცია წარმოუდგენელია მეცნიერებისა და საერთოდ მეცნიერული აზრის გაღრმავების, მისი გაფართოების გარეშე. მეცნიერება ის იარაღია, რომლის გარეშე მუშათა კლასს არ ძალუძს კულტურული რევოლიუციის მოხდენა, ის ისეთი საშუალებაა, რომლის დაპყრობის გარეშე მუშათა კლასი ვერ გადაჭრის კულტურული მშენებლობის სერიოზულ ამოცანებს, ის ამის შესახებ ვერ შექმნის საკუთარ კულტურას, ვერ განამტკიცებს მასების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში თავის იდეოლოგიას. მეცნიერების დაპყრობის გარეშე პროლეტარიატი მოკლებული იქნება კულტურული რევოლიუციის სათანადო გამტარებლებს, მას არ ეყოლება საკუთარი მუშაკი ან, როგორც ამხ. ბუხარინი ლაპარაკობს, პროლეტარიატს არ ექნება „საწარმოო საშუალებანი თავის კულტურისა და იდეოლოგიის საწარმოებლად“.

სად იქმნება „კულტურა და იდეოლოგიის წარმოების ეს საწარმოო საშუალებანი“? სად მზადდება კადრები, რომელთა მეოხებით პროლეტარიატი გადაჭრის მეცნიერული მშენებლობის პრობლემებს? სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში; უნივერსიტეტში, აკადემიებში, ინსტიტუტებში და სხვაგან. პროლეტარულ სახელმწიფოს მორიგი ამოცანაა—დაპყრობა თანდათანობით მეცნიერების ლაბორატორიებისა, მეცნიერების ამ „ქარხნებისა“, სადაც „მზადდება კულტურისა და იდეოლოგიის წარმოების საწარმოო საშუალებანი“.

ამ მხრივ გვინდა შევეხოთ ჩვენს უნივერსიტეტს, ე. ი. იმ მხრივ, თუ რამდენად უწყობს ის ხელს კულტურული რევოლიუციის პრობლემის გადაჭრას, რამდენად იძლევა ის თანამედროვე ცხოვრებისათვის აუცილებელ მშენებლობას და რას უნდა მიაქციოს მან თავისი უმთავრესი ყურადღება.

ჩვენი უნივერსიტეტი აუცილებლად დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. მას მეტად ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც საყურადღებო მიღწევებია. მისი ათი წლის ისტორია არ ეკუთვნის მთლიანად საბჭოთა პერიოდს და ამ ათი წლიდან სულ რამოდენიმე წელია, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაჰყვა ახალ ცხოვრებას, რაც მან შეიგნო, რომ არ შეიძლება მეცნიერება სოციალური ვითარების გარეშე დარჩეს, ის შეუძლებელია მოსწყდეს არსებულ საზოგადოებრივ პირობებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ იქნეს მონაწილე იმ ღრმა სოციალური ცვლილებებისა, რომელთაც ადგილი აქვთ კერძოდ საქართველოში.

სწორედ აქ ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს უნივერსიტეტი, ოქტომბრის რევოლიუციის ეს პირმშო შვილი კარგა ხანს არ სცნობდა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებას, „გაურბოდა“ პოლიტიკას და შეუძლებლად აღიარებდა მეცნიერებისა და პოლიტიკის დაკავშირებას. ამ პერიოდში ჩვენს უნივერსიტეტს ვერ შეეგნო, რომ მეცნიერება, კულტურა არასოდეს არ იდგა პოლიტიკის გარეშე და რომ მათი ერთმანეთისაგან დაცილება საზოგადოებრივი რეაქციაა. საჭირო გახდა რამოდენიმე წელიწადი, რათა ჩვენს უნივერსიტეტს უკუეგდო „აპოლიტიზმის“ უვარგისი თეორია და დამდგარიყო თანამედროვე სოციალური ვითარების რეალურ საფუძველზე.

საზოგადოებრივი ისტორია გვეუბნება, რომ არასოდეს მეცნიერება არ იმყოფებოდა საზოგადოებრივი ძალა-უფლების უშუალო გავლენისა და ხელმძღვანელობის გარეშე. პირიქით, მეცნიერული მუშაობა ყოველთვის ემორჩილებოდა გაბატონებული კლასის იდეოლოგიას და ამ კლასის დირექტივებს. ეს ადვილი გასაგებია, რადგან მეცნიერება ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ყოველთვის გარკვეულ დამოკიდებულებაში იყო საწარმოო ძალთა მდგომარეობასთან.


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენი უნივერსიტეტი ამიტომ მიზნად უნდა ისახავდეს შეუწყოს ხელი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, რადგან საწარმოო ძალთა განვითარება ნიშნავს კულტურის ზრდას, თვით მეცნიერების წინსვლას. ჩვენი უნივერსიტეტის სარგებლიანობა, მისი მნიშვნელობა უნდა გაიზომოს იმის მიხედვით, თუ რამდენად იღებს ის მონაწილეობას დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამდენათაა დაკავშირებული მისი მუშაობა ჩვენ სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობასთან და რამდენად აქვს მას შეგნებული სოციალისტური მშენებლობის ამოცანები.

ამხ. ალ. ერქომაიშვილი
სახ. უნივერს. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი

ჩვენი უნივერსიტეტის მნიშვნელობა უნდა განიზომოს კიდევ იმის მიხედვით, თუ რამდენათ იძლევა ის პროლეტარული კულტურის შეგნებულ მშენებელს, რამდენად ანვითარებს და აღრმავებს პროლეტარულ იდეოლოგიას და რამდენად აიარაღებს ის მეცნიერულ მუშაკებს იმ საუკეთესო იარაღით, რომელთაც შეიძლება სინამდვილის ყველაზე საუკეთესოთ შეცნობა და თანამედროვე ცხოვრების აგება მეცნიერულ საფუძველზე.

ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტში არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებს, არამედ სხვა მეცნიერულ დისციპლინებსაც დაეუფლება პროლეტარული იდეოლოგია.

კულტურული რევოლიუციის ძირითადი ამოცანაა გააღრმავოს პროლეტარიატის იდეოლოგია—მარქსიზმი და დააჩქაროს მეცნიერების აგება მატერიალისტურ საფუძველზე. მეცნიერებისათვის დღეს უკვე გამონახულია საყოველთაო მეთოდი და ეს არის დიალექტიური მატერიალიზმი, რომელიც უნდა იქნას აღიარებული ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების უნივერსალურ მეთოდად.

ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რათა უნივერსიტეტმა, როგორც მეცნიერების უმთავრესმა შემქნელმა ჩვენში, ხელი შეუწყოს პროლეტარულ კულტურას, რათა ეს კულტურა ნამდვილად იქნეს პროლეტარული თავისი შინაარსით.

ჩვენი უნივერსიტეტის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, წარმოების რაციონალიზაციის საკითხი. ამისათვის კი საჭიროა უნივერსიტეტი დაუახლოვდეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. აწარმოოს ფართო მეცნიერულ-გამოკვლევითი მუშაობა და გამოეხმაუროს ჩვენს მეურნეობაში წამოჭრილ ყოველ საკითხს.

ჩვენი უნივერსიტეტი არ უნდა იქცეს კარჩაკეტილ დაწესებულებად, ის უკან არ უნდა რჩებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას, უნივერსიტეტის მიერ მომზადებული მუშაკი არ უნდა იყოს მხოლოდ მსახური „წმინდა მეცნიერებისა“, არამედ ის უპირველესად ყოვლისა უნდა იქნეს საზოგადოებრივი მუშაკი, მეცნიერულად მომზადებული მშენებელი ახალი საზოგადოებისა.

დღეს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კერძოდ ჩვენს უნივერსიტეტს საბჭოთა წყობილება უდიდესი ყურადღებით, განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა, რომ მეცნიერება არსად არ არის ისე დაფასებული, როგორც საბჭოთა ქვეყნებში, რომ კომუნისტური პარტია საუკეთესო მფარველი და ხელისშემწყობია მეცნიერული აზრის განვითარებისა და კერძოდ კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრულ ეროვნების კულტურული აყვავებისა. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რათა უნივერსიტეტი კიდევ მეტად დაუახლოვდეს საბჭოთა საზოგადოებრიობას და შეიქნეს აქტიური მონაწილე არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნისა.

დ. გვაზავა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918—1928 წ.

(ზოგადი მიმოხილვა)

უნივერსიტეტის სტრუქტურა

საქართველო, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მოუთმენლად მოელოდა უმაღლეს სასწავლებელს, თუ ეროვნულს არა, (ამაზე მაშინ ოცნებაც შეუძლებელი იყო), რუსულს მაინც. ამ ლოდინის განხორციელება შესაძლებელი გახადა მხოლოდ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი პატარა ეროვნებათა კულტურულ-პოლიტიკური თვითგამორკვევისა. 1918 წლის 8 თებერვალს (26 იანვარს ძველი სტილით) თბილისში, ენტუზიასტთა პატარა ჯგუფის ინიციატივით და მთელი ქართველი ერის მხურვალე თანაგრძნობითა და დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა ქართულ უნივერსიტეტს, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ გამოცხადებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტად“.

1918 წლის 8 თებერვალს უნივერსიტეტი გაიხსნა მხოლოდ ერთი, ეგრედწოდებული სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური, ფაკულტეტის სახით; ეს ფაკულტეტი შეიცავდა ყველა იმ საგნებს, რომლებიც ძველი რუსეთის უნივერსიტეტებში ორს ფაკულტეტზე, ისტორიულ-ფილოლოგიურზე და აღმოსავლეთის ენებისაზე, ნაწილობრივ ეკონომიურზედაც, იკითხებოდა. 1918 წ. შემოდგომაზე უნივერსიტეტში გაიხსნა საექიმო და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები; უკანასკნელთან 1919 წლის შემოდგომიდან დაარსდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წლის შემოდგომაზე გამოყოფილ იქნა ცალკე, აგრონომიულ ფაკულტეტად. იმავე 1921 წლის შემოდგომაზე სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანებულ იქნა პედაგოგიური ფაკულტეტის სახელწოდებით. 1922 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტეხნიკური ფაკულტეტი, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე სოც.-ეკონომიური ფაკ. და მუშათა ფაკულტეტი.

ამხ. დ. კანდელაკი
საქ. განათლების სახალხო კომისარი

ამნაირად, დღესდღეობით უნივერსიტეტი შესდგება ექვსი ფაკულტეტისაგან, ესენია: 1) საექიმო, 2) პედაგოგიური, რომელსაც ექვსი განყოფილება აქვს: საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, სამათემატიკო, ფარმაცევტიული (რომელიც ლიკვიდაციის სტადიაშია) და საბუნებისმეტყველო; უკანასკნელს ოთხი განხრა აქვს: ბიოლოგიური, ქიმიური, პედოლოგიური და გეოგრაფიული. 3) სოციალ-ეკონომიური ორი განყოფილებით: იურიდიულით და ეკონომიურით, უკანასკნელს სამი განხრა აქვს: სტატისტიკური, კოოპერატიული და ფინანსიური. 4) აგრონომიული, რომელსაც სამი განყოფილება აქვს: სოფლის მეურნეობის, მეტყეობის, მებაღეობა-მევენახეობის. 5) პოლიტეხნიკური, რომელიც სამი განყოფილებისაგან შესდგება: მექანიკურის, საამშენებლო და სამთოსაგან; თვითეულ ამ განყოფილებას ორი დარგი აქვს: მექანიკურს—ელექტრო-მექანიკური და ჰიდრო-მექანიკური. საამშენებლოს—სახუროთმოძღვრო და საალმშენებლო, სამთოს—სამთომადნო და ქიმიურ-მეტალურგიული. 6) მუშათა ფაკულტეტი, რომელიც მუშათა მასებს ამზადებს უნივერსიტეტში შესასვლელად.

ამხ. ვასილ კანდელაკი
სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დეკანი

პირადი შემადგენლობა

ა. ადმინისტრაცია

1926 წლამდე უნივერსიტეტი თავის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოქმედებაში ხელმძღვანელობდა მის მიერ შედგენილ და დადასტურებული წესდებით, რომლითაც უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის სისტემა ასე იყო წარმოდგენილი: მართვა-გამგეობის უზენაეს ორგანოდ, რომელიც განაგებდა უნივერსიტეტის ცხოვრების ყოველ მხარეს, ითვლებოდა პროფესორთა საბჭო, რომელშიაც შედიოდენ ყველა პროფესორები და კათედრის გამგე დოცენტები. გარდა საბჭოსა იყო სხვა კოლეგიალური ორგანოები, როგორიცაა ფაკულტეტის საბჭო, რომელიც, ამა თუ იმ ფაკულტეტის პროფესორებისა და დოცენტების შემადგენლობით, განაგებდა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმეებს; გამგეობა რომელშიაც შედიოდენ რექტორი, პრორექტორი, დეკანები და მდივნები და რომელიც განაგებდა უმთავრესად სამეურნეო-საფინანსო მხარეს უნივერსიტეტის ცხოვრებისას. გარდა კოლეგიალური ორგანოებისა წესდებით გათვალისწინებული იყო ერთპიროვნული ორგანოებიც, როგორიცაა რექტორი, უახლოესი ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი უნივერსიტეტისა, პრორექტორი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა უმთავრესად საფინანსო-სამეურნეო ნაწილს, და დეკანები, რომელნიც ფაკულტეტებს ხელმძღვანელობდენ. დროთა განმავლობაში ამ წესდებაში შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილებანი და დამატებანი, მაგალითად, პროფესორთა საბჭოში შეყვანილ იქნენ უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის წარმომადგენელნი, საფინანსო-სამეურნეო პრორექტორის გარდა დაარსდა თანამდებობა სასწავლო-სამეცნიერო და სტუდენტთა საქმეების პრორექტორებისა.

პირველი რექტორი უნივერსიტეტისა იყო აწ განსვენებული პ. მელიქიშვილი (1918. 1.13—1919. XII. 24), მეორე რექტორი მისი ძველი წესდების მოქმედებისას იყო პროფ. ი. ჯავახიშვილი (1919. XII.24—1926. VI.21). პირველი პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო ნაწილისა იყო პროფ. გ. ღამბარაშვილი (1922—1923 წ.), მეორე პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო ნაწილისა იყო პროფ. შ. ნუცუბიძე (1923—1926. VI.21), პირველი პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო ნაწილისა იყო პროფ. ალ. ნათიშვილი (1924 წლ.—1925. II.20), მეორე პრორექტორი—პროფ. კ. კეკელიძე (1925. II.20—1926. VI.21), პირველი პრორექტორი სტუდენტთა საქმეებისა იყო ამხ. ი. თალაკვაძე (1925. XI—1926. VI.21).

1926 წლის ივნისში შემოღებულ იქნა ახალი წესდება უნივერსიტეტისა, მისი მართვა-

პროფ. ალ. მაჭავარიანი
სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი

გამგეობის მთავარი ცენტრი პროფესორთა საბჭოდან გამგეობაში გადმოიტანა და კოლეგიალურს ორგანოებში, როგორიცაა უნივერსიტეტის საბჭო, ფაკულტეტების საბჭო, საგნობრივი კომისიები, გააძლიერა უმცროს მასწავლებელთა, სტუდენტთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობა. ახალი წესდების შემოღებისას მოხდა გადარჩევა როგორც კოლეგიალური, ისე ერთპიროვნული ორგანოებისა, რომელთა შემადგენლობა დღეს ასეთია: რექტორი უნივერსიტეტისა და თავმჯდომარე გამგეობისა—ამხ. თ. ღლონტი, პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო ნაწილისა—პროფ. შ. ნუცუბიძე, პრორექტორი სტუდენტთა საქმეებისა (თავისუფალია ამხ. ი. თალაკვაძის შემდეგ); დეკანი პედაგოგიური ფაკულტეტისა—ამხ. კ. სულაქველიძე, დეკანი სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტისა ამხ. ა. ერქომაიშვილი; დეკანი საექიმო ფაკულტეტისა—პროფ. ალ. მაჭავარიანი, დეკანი პოლიტეხნიკური ფაკულტეტისა—პროფ. ნ. მუსხელიშვილი, დეკანი აგრონომიული ფაკულტეტისა—ამხ. ვ. კანდელაკი, დეკანი მუშათა ფაკულტეტისა ამხ. ღ. რუხაძე.

გარდა ჩამოთვლილი პირებისა, გამგეობის შემადგენლობაში, როგორც მისი წევრები, შედიან: პროფ. გრ. მუხაძე, პროფ. ა. რაზმაძე, ლექ. ივ. ყიფშიძე, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი ა. გედევანიშვილი, თითო წარმომადგენელი მეცნიერ მუშაკთა სექციის ბიუროსი, უმცროს მასწავლებელთა კოლეგიისა, ადგილობრივი კომიტეტისა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა.

ბ. სასწავლო-სამეცნიერო და ტეხნიკური პერსონალი

უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და სასწავლო-ტეხნიკურ მუშაობას აწარმოებენ პროფესორები, დოცენტები, პრივატდოცენტები, ლექტორები საგნებისა და ენებისა, ასისტენტები, ასპირანტები (უნივერსიტეტთან დატოვებულნი), ორდინატორები და პრეპარატორები. უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც უნივერსიტეტის გახსნის წინასწარ მუშაობის პროცესში, ისე მისი გახსნის შემდეგაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობდენ უზრუნველეყოთ ახლად შექმნილი უმაღლესი სასწავლებელი საჭირო სამეცნიერო ძალებით, რომლებიც ქართულ ენაზე შესძლებდნენ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის წარმოებას. ამ მიზნით იმართებოდა მიწერ-მოწერა და პირადი მოლაპარაკება ყველა იმ პირებთან, რომელნიც მუშაობდნენ რუსეთის თუ თბილისის (პოლიტეხნიკური ინსტიტუტი და ქალთა უმაღლესი კურსები, მერე ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადებული) უმაღლეს სასწავლებელში, ანდა საქართველოში ეწეოდენ კვალიფიციურ-სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას. რასაკვირველია, მიუხედავათ მხურვალე გამოძახილისა, რომელიც ჰპოვა მოწოდება-მოპატიჟებამ, საჭირო ქართული სამეცნიერო ძალები ყველა ასი პროცენტით არ აღმოჩნდა. ამიტომ ზოგიერთი კათედრა ჩაბარდა არა ქართველ მეცნიერებსაც, რომელთაც გარკვეულ ვადაში უნდა მოემზადებიათ ახალი ძალები ამა თუ იმ სპეციალობაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდათაგან. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მიზანი მიღწეულია, ზოგიერთში კი მუშაობა კვლავ გრძელდება ამ მიმართულებით, ასე რომ დღესდღეობით უნივერსიტეტში შვიდ საგანში იკითხება მხოლოდ ლექციები რუსულ ენაზე (1 პედაგ., 2 საექ., 3 აგრონ., 1 პოლიტეხნ.). ზოგიერთ ფაკულტეტზე, განსაკუთრებით პრაქტიკულ-გამოყენებითს დარგებში, მაღალ კვალიფიციურ სამეცნიერო ძალთა უქონლობის გამო, ლექციების კითხვა ჩაბარდა ახალგაზრდა ლექტორებს, რომელნიც იწყებენ მეცნიერულ მუშაობას და თავის დარგში შრომებიც მოეპოებათ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივ. მუშაკთა შემადგენლობა, თავისთავად იგულისხმება, თანდათან ივსებოდა; 41 პროფესორთაგან, რომელნიც დღეს უნივერსიტეტში ირიცხებიან, სამი დამსახურებული პროფესორია, 2 შტატს გარეშე, 30 აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 25 დოცენტიდან ათს მოეპოება დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 93 ლექტორიდან ხუთი ახალ ენებს ასწავლის. 32 ასპირანტთაგან 11 საზღვარგარეთ სწავლობს, 21 თბილისში მეცადინეობს, 26 სტიპენდია აქვს, ხოლო 6 უსტიპენდიოთაა.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს აქვე, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტმა დაჰკარგა ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ პროფესორები პ. მელიქიშვილი, ი. ღამბაროვი, ს. გოგიტიძე, ს. ავალიანი, ი. ყიფშიძე და ნ. კახიანი აგრეთვე ორი ახალგაზრდა მუშაკი, რომელნიც დიდს იმედს იძლეოდენ მომავლისათვის: ლექტორი დ. ყიფშიძე და უნივერსიტეტთან დატოვებული ს. ლომია. უნდა აღინიშნოს კიდევ გარდაცვალებულნი: ასისტენტები დ. კარიჭაშვილი და ნ. ორლოვსკი და ლექტორი ნ. ლეჟავა.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი
სახ. უნივ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის დეკანი

გ. სტუდენტთა შემადგენლობა

როგორც მოსალოდნელი იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ახალგაზრდობა; მას მოაწყდა ყველა, ვისაც კი ქართული უნივერსიტეტის იდეა აინტერესებდა. მსმენელებად ისეთებიც კი ჩაეწერენ, რომელთაც უმაღლესი სწავლა სხვა უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული. გარდა ქართველი მსმენელებისა, ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ (ყოფილი ქალთა უმაღლესი კურსები), მისი

წითელი დროშა სახ. უნივერსიტეტს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცეს წითელი დროშა შემდეგი წარწერით:

— „შრომისა და მეცნიერების კავშირის გზით — სოციალიზმისაკენ“.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის თავზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან.

კომკავშირი-სახელმწიფო უნივერსიტეტს

(10 წლის იუბილეს გამო)

ქართულ უნივერსიტეტის ათი წლის დღესასწაული უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიულ განვითარების გზაზე.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა იგი არა მარტო, როგორც ცენტრი, როგორც გული—სადაც იჭედება ჩვენი ქვეყნის კულტურული სალარო, განუზომელი მნიშვნელობისაა იგი აგრეთვე, როგორც უდიდესი საწინდარი სოციალისტურ განვითარების გზაზე შემდგარ ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობისათვის.

ახალი ქვეყნის შენებისათვის არ არის საკმარისი მარტო ფიზიკური მასალა, თუნდაც აღგზნებული უდიდესი პოლიტიკურ-რევოლიუციონური ენტუზიაზმით, ამისათვის საჭიროა კიდევ მშენებელთა კადრების ინტელექტუალური დონის განუწყვეტელი ამაღლება, ახალი შენობის, ახალი კულტურულ ხუროთმოძღვართა მომზადება.

ამ ახალ, უჩვეულო ამოცანას აკისრებს ჩვენი პარტია და ლენინური კომკავშირი სახელმწიფო უნივერსიტეტს, როცა ორიოდე წლის წინად ძირითადი გარდატეხა შეჰქონდა მასში; —გარდატეხა გარიყულ, განმარტოებულ აკადემიიდან—ჩვენს სინამდვილისაკენ.

ამ ამოცანათა ნიადაგზე დაუკავშირდა სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენს გრანდიოზულ მშენებლობას და მიიჩინა მის რთულ სისტემაში საპატიო ადგილი; ათასი უხილავი ძაფებით გადაეჭსოვა ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა შემოქმედების სინამდვილეს.

საქართველოს უნივერსიტეტის ყოველი ახალი გამარჯვება მეცნიერული შემოქმედების სფეროში—აღტაცებას იწვევს მშრომელთა შორის, რომელნიც გულის ფანცქალით შესცქერიან მის საქმიანობას.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უკვე შესძლო ღირსეული ადგილის დაჭერა მოწინავე უნივერსიტეტების რიგებში.

კიდევ რამოდენიმე წელი ნაყოფიერი მუშაობის და იგი საბოლოოდ შეიმოსება „საბჭოთა ოქსფორდის“ შარავანდედით.

მისი სვლა ფეხდაფეხ პროლეტარულ საზოგადოებასთან იქნება ამის საუკეთესო საწინდარი.

განსაკუთრებულ აღფრთოვანებით აღნიშნავს საქართველოს ლენინური კომკავშირი ჩვენი გონებრივი საგანძურის იუბილეს, იმიტომ, რომ მის რიგებში მებრძოლი და მომქმედი ახალგაზრდობა მიილტვის ამ საგანძურის ბჭეებისაკენ, რათა ახალი ცოდნით, გამოცდილებით შეიარაღებული კვლავ ჩაებას მეტის ენერგიით და თავგამოდებით, ახალი ქვეყნის შენების საქმეში.

კომკავშირი მომავალშიც განაგძობს მისი კადრების მოყვანას უნივერსიტეტის ბჭეებთან, რათა ახალი ქვეყნის ახალი ხუროთმოძღვარნი ლენინელთა ოჯახში აღიზარდონ.

საქართვ. ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი.

შრომის და მეცნიერების ლაბორატორია

ამხ. მარიამ ორახელაშვილი
საქ. განათლების სახ. კომისრის მოადგილე

ათი წელი, რასაკვირველია, დიდი ვადა არ არის იმისთვის, რომ ჯამი გაუკეთოთ მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებს ან სამეცნიერო აზრის განვითარებას, მით უმეტეს, უმაღლეს სასწავლებლის განვითარებას და მტკიცე სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ტრადიციების შექმნას. მეტად სწრაფი და გადამწყვეტი ცვლილებები უნდა მოეხდინა ისტორიას იმისთვის, რომ უკვე ასეთ მოკლე ვადაში დაგვენახა ამ პროცესის შედეგები. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც აამოძრავა მშრომელთა დიადი ფენები და შემოქმედ მუშაობაში ჩააბა ისინი—მხოლოდ მას შეეძლო ასეთი გიგანტური ნაბიჯებით წაეწია წინ ჩვენი დიადი კავშირის კულტურულ-აღმშენებლობის საქმე.

ოქტომბრის რევოლიუციამ სულიერ მონობისაგან გაანთავისუფლა არა მარტო მშრომელი მასები, არამედ მთელი ეროვნებები, რომლებიც მხურვალედ დაეწაფენ კულტურას, ცოდნას და რომელსაც შეაქვს ამ საქმეში აქამდის დაფარული თავისი ინტელექტუალური ძალები. ჩვენი უნივერსიტეტის სათავეს წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუცია; მის მაცხოველებელ შემომქმედ ძლევა - მოსილ ტალღებში მიიღო მან თავისი ნათლობა, მისი მაცოცხლებელი ძალით გაიჟღინთა ის, და საკვირველიც არ არის, რომ უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავზე ყველა მშრომელთ სულით და გულით სურთ, რომ ის გახდეს ოქტომბრის პირმშო შვილად, რომელიც გაანაყოფიერებს ოქტომბრის ჯეჯილს.

საიუბილეო დღეებში საერთოდ მიღებულია მუშაობისათვის ჯამის გაკეთება, წარსული საქმიანობის, განვლილი გზის შეფასება.

ნება მომეცით, ჩვენს ახალგაზრდა იუბილიარს, რომლის მთელი ყურადღება მიპყრობილია მომავლისაკენ, რომელიც ყველაფერს მოელის მომავლისაგან, არ ვლაპარაკობ წარსულზე. რამდენიმე სიტყვით მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს მან და როგორ უნდა აკეთოს.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა დაივიწყოს სიტყვა „მეცნიერების ტაძარი“ და უნდა შესცვალოს ის სიტყვით „შრომის და მეცნიერების ლაბორატორია“.

უნივერსიტეტმა მეცნიერება ლაბორატორიის და კაბინეტების ვიწრო კედლებიდან უნდა გამოიტანოს სოციალისტური აღმშენებლობის ფართე გზაზე, მეცნიერების და შრომის მჭიდრო კავშირის ფართე გზაზე.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა დაამყაროს მჭიდრო კავშირი და ჰარმონია წარმოებასა და თეორეტიულ გამოკვლევებს შორის.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა ისწავლოს შემეცნების რევოლიუციონური მეთოდის საუკეთესოდ მოხმარა, ადამიანის მიერ ბუნების დაპყრობა და ამით კაცობრიობა უნდა დაუახლოვოს ცხოვრების უმაღლეს და ბედნიერ ფორმას.

ჩვენი უნივერსიტეტი, პროფესორები და სამეცნიერო მუშაკები უნდა გახდენ საჭირო და განუშორებელ აქტიურ მონაწილეებად სოციალისტურ აღმშენებლობის თვითეულ დარგში.

ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა მოგვცეს ჩვენ ახალი საბჭოთა ტიპის სტუდენტი, რომელიც ყოველმხრივ შეიარაღებული იქნება მრავალმხრივი სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭირო ცოდნით და გამოცდილებით.

ჩვენს ახალ სტუდენტს უნდა შეეძლოს და სურდეს თავის დროზე ხელში აიღოს წიგნი, ფარგალი, სახაზავი ინსტრუმენტი და კოლბა, მაგრამ საჭიროების მიხედვით მან უნდა შესცვალოს ყველაფერი ეს ჩაქუჩით და ტრაქტორით, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, საბჭოთა ვინტოვკითაც.

პროფ. შ. ნუცუბიძე
სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი ადმინისტრ. ნაწილში

აი იმის ნაწილი, რაც უნივერსიტეტმა უნდა გააკეთოს. ამოცანები დიდია. მაგრამ დიდია აგრეთვე მშრომელთა და მათი ხელისუფლების სიმპატიები და გრძნობები და მათი სურვილი დაეხმარონ უნივერსიტეტს. ეს სიმპატიები გაიზრდება უნივერსიტეტის ზრდასთან და მის სურვილთან ერთად იმუშაოს ამ მიმართულებით. ჩემი მხურვალე სურვილია, რომ მან დასძლიოს ეს ამოცანა.

მარიამ ორახელაშვილი.

ხაქიმო ფაკულტეტის მსმენელნიც გადმორიცხულ იქნენ ჩვენ უნივერსიტეტში, სადაც ისინი პარალელურად განაგრძობდენ კურსის დამთავრებას რუსულ ენაზე; მისი საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა 1924 წელს

გარკვეული ცნობები სტუდენტთა რაოდენობის შესახებ მხოლოდ 1919—20 სამოსწავლო წლიდან მოიძებნება, ხოლო მათი სოციალური მდგომარეობისა და პარტიული შემადგენლობის შესახებ 1923—24 სამოსწავლო წლიდან.

არსებული ცნობების მიხედვით სტუდენტთა შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა:

სამოსწავლო წლები	საერთო რიცხვი სტუდენტ.	სოციალური მდგომარეობა: მუშები და მათი შვილები	გლეხები და მათი შვილ.	მოსამს. და მათი შვილ.	ხელოსნ. და მათი შვილ.	დანარჩენ. და გამოურ.	პარტ. შემადგენლ.: კომპარტ. წევრი და კანდიდ.	კომკ. წევ. და კანდ.	უპარტიო
1923—24	3710	320	1860	1239	—	291	107	101	3502
1924—25	4663	498	2155	1485	—	525	104	239	4320
1925—26	6790	1088	2783	1277	—	1642	126	444	6220
1926—27	5904	1365	1627	1680	102	1130	303	869	4732
1927—28	7803	1520	1846	2022	115	2300	346	1162	6295

ფაკულტეტობრივად და სქესობრივად დღესდელი რიცხვი სტუდენტებისა შემდეგნაირად ნაწილდება:

პედაგოგიურ ფაკულტეტზე: ვაჟი—1.600. ქალი—759, სოციალურ-ეკონომიურზე: ვაჟი—1.790; ქალი—378; აგრონომიულზე: ვაჟი—969; ქალი—142; სამკურნალოზე: ვაჟი—660, ქალი—448; პოლიტეხნიკურზე: ვაჟი—1.018. ქალი—44; სულ კი მთელს უნივერსიტეტში ვაჟი—6.037, ქალი—1.767.

1927—28 სამოსწავლო წელში უნივერსიტეტში მიღებულია სულ 1.897 კაცი, რომელთაგან: პედაგოგიურზე—637 (კომპარტიის წევრი და კანდიდატი—21, კომკავშირის წევრი და კანდიდატი—215, უპარტიო—401); სოციალურ-ეკონომიურზე— 191 (კომუნისტი—14, კომკავშირელი—72, უპარტიო — 105); აგრონომიულზე—177 (კომუნისტი—9. კომკავშირელი—78, უპარტიო—90); სამკურნალოზე—239 (კომუნისტი—4, კომკავშირელი—76, უპარტიო—159); პოლიტეხნიკურზე—153 (კომუნისტი—11, კომკავშირელი—45, უპარტიო—97). ამრიგად 1927—28 წ. მიღებულებიდან კომპარტიის წევრი და კანდიდატია—59, კომკავშირელი—436, უპარტიო—862.

სასწავლო-სამეცნიერო ნაწილი

უნივერსიტეტში სწარმოებს ორგვარი მუშაობა: პედაგოგიური და მეცნიერული; პედაგოგიური მუშაობა გამოიხატება სავალდებულო კურსების მოსმენა-შეთვისებაში სასწავლო გეგმების მიხედვით, ხოლო სამეცნიერო მუშაობა პედაგოგიური პერსონალის დამოუკიდებელს კვლევა-ძიებაში.

ა. პედაგოგიური მუშაობა

ფაკულტეტებზე მეცადინეობა სწარმოებს გარკვეული სასწავლო გეგმებით, რომლებიც უკანასკნელად გადასინჯულ და შესწორებულ იქნა 1926—27 აკადემიური წლის დამდეგს იმ მიზნით, რომ მათ მისცემოდა პრაქტიკული გაზრა და მეტი სიახლოვე და კავშირი ჩვენი ცხოვრების საჭიროებებსა და სინამდვილესთან. პედაგოგიური მუშაობის მეთოდი, რომელიც შეადგენს ერთ-ერთ მთავარ საგანს საგნობრივი კომისიებისა და ფაკულტეტთა საბჭოების ზრუნვისას, არის ლექციური, სემინარული და ლაბორატორულ-პრაქტიკული. გამგეობა და ფაკულტეტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პედაგოგიური მუშაობის ცენტრი გადმოტანილ იქნეს სემინარულ-ლაბორატორულ ვარჯიშობაში; ამ მხრივ, რაც დრო გადის, მეტი მიღწევები გვაქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლექციური მეთოდი მაინც სჭარბობს ჯერ-ჯერობით, ვინაიდან ჯგუფური მუშაობა ლაბორატორია-სემინარებში თხოულობს მეტს ხარჯებს, შენობებს და თავისუფალ დროს მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების მივლინებას საზაფხულო-საწარმოო პრაქტიკაზე; ამ მივლინებისას სტუდენტი უშუალო მონაწილეობას ღებულობს იმ მუშაობაში, რომლისთვისაც ის სპეციალურად ემზადება, ეცნობა იმ წრესა და გარემოს, რომელშიაც მას მოუხდება მერე მუშაობა. მივლინების წინ ხელმძღვანელი აძლევს სტუდენტს მუშაობის გეგმას, ხოლო დაბრუნების შემდეგ კონტროლს უკეთებს მის ნამუშევარს.

უნივერსიტეტში თავდაპირველად შემოღებული იყო საგნობრივი სისტემა, რომელიც მერე შეიცვალა კურსობრივად; ამა თუ იმ კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი აბარებს ზეპირ ჩათვლებს, რომელთა საშუალებით ირკვევა მისი წარმატება მეცადინეობაში.

კურსდამთავრებულთა რიცხვი, ჯერ-ჯერობით დიდი არ არის. საქმე ისაა, რომ საერთოდ გამოშვება კურსდამთავრებულთა უნივერსიტეტში დაიწყო 1923 წლიდან, სოციალ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა პირველი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მასიური გამოშვება მოგვცა მხოლოდ გასულ სამოსწავლო წელს, პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე კი გამოშვება ჯერაც არ ყოფილა, რადგანაც ფაკულტეტი, რომელზედაც ხუთწლიანი კურსია, გაიხსნა მხოლოდ 1922 წელს.

უნივერსიტეტის სრული კურსი დაამთავრა სულ 1.266 კაცმა. ეს ციფრი დიდი არაა, მაგრამ, თუ მხედველობაში გვექნება ის მძიმე მატერიალური პირობები, რომელშიაც ჩვენს სტუდენტობას უხდება მეცადინეობა, ის გასაგებია.

ბ. სამეცნიერო მუშაობა

პედაგოგიური პერსონალის მეცნიერული მუშაობა მდგომარეობს: სავალდებულო კურსების და სამეცნიერო გამოკვლევების შედგენაში, სამეცნიერო მივლინებასა და ექსკურსია-ექსპედიციებში, ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებაში, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობაში და სხვადასხვა დაწესებულებებსა და წარმოებებში სამეცნიერო კონსულტაციაში.

1. თუ სავალდებულო კურსების შედგენა და ჩამოყალიბება საზოგადოთ ძნელია, ეს მით უფრო ძნელია ჩვენს ახალგაზრდა უნივერსიტეტში, სადაც ჯერ-ჯერობით არც მეცნიერული ტრადიციაა შექმნილი, არც საჭირო ხელშემწყობი პირობებია, მდიდარი წიგნთსაცავისა და მოწყობილი ლაბორატორიების სახით, და არც სამეცნიერო ენაა ჩამოქნილი. განსაკუთრებით მწვავედ სდგას ენის საკითხი; ჩვენს მეცნიერებს, რომელთაც განათლება უცხო ენებზე მიუღიათ, ქართულ ენაზე ჩამოყალიბება კურსებისა საგრძნობლად ურთულებს მუშაობას, მით უმეტეს, რომ მათვე უხდებათ სამეცნიერო ტერმინების ძებნა და უმეტეს შემთხვევაში შექმნაც. ამ სიძნელეს ადგილი აქვს მაშინაც კი, როდესაც მზამზარეულად სახელმძღვანელო ითარგმნება უცხო ენიდან. ამ მხრივ უნივერსიტეტის მეცნიერები კოლოსალურ მუშაობას აწარმოებენ და, რაც საყურადღებოა, ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოასწრო თავისი კურსების გამოცემა. მართალია, ქართულ ენაზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით უნივერსიტეტი ჯერ-ჯერობით 19 პროც. არაა დაკმაყოფილებული (არ არის ქართული სახელმძღვანელო 126 მთავარ საგანში: აგრონომიულ ფაკულტეტზე 20, საქიმოზე 16, პოლიტეხნიკურზე, 23, სოციალ-ეკონომიურზე 25, პედაგოგიურზე 42), მაგრამ ამ მხრივ დაკმაყოფილებული არაა ხშირად ისეთი უნივერსიტეტებიც კი, რომელთაც ხანგრძლივი ისტორია აქვთ; სახელმძღვანელოს შედგენა, ჩამოყალიბება და გამოცემა მეცნიერებს უძნელდებათ არამც თუ ათის, არამედ ათეული წლების განმავლობაში.

2. სამეცნიერო გამოკვლევები იწერება დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და გადასაჭრელად ამა თუ იმ საკითხისა, რომელიც მკვლევარს აინტერესებს. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი იყო ამ ათი წლის განმავლობაში 19 დისერტაცია, რომელიც ფაკულტეტობრივ ასე ნაწილდება: პედაგოგიურზე 7, საქიმოზე 11, სოციალ-ეკონომიურზე 1.

3. უნივერსიტეტის მუშაკები მეცნიერების ახალ მიღწევათა გასაცნობათ და თავისი ცოდნის შესავსებათ და გასაღრმავებლად ანდა სხვადასხვა სამეცნიერო კონგრესებზე დასასწრებლად დროგამოშვებით მიემგზავრებოდენ ხოლმე საზღვარგარედ და საბჭოთა კავშირში.

გარდა ამისა ჩვენი მეცნიერები აწყობდენ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის შესასწავლად და გამოსარკვევად.

4 ერთი მთავარი საზრუნავი საგანი უნივერსიტეტის მეცნიერებისა არის მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდა. იმ უნივერსიტეტს, რომელიც არ ზრუნავს ახალი მეცნიერული თაობის აღზრდისა და მეცნიერულ ძალთა გამრავლებისათვის, მათი შერჩევის შესაძლებლობის მიზნით, მომავალი არა აქვს. 32 კაცი, რომელიც დღეს უნივერსიტეტში დატოვებულია სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად, ფაკულტეტობრივ ასეა დანაწილებული: პედაგოგიურზე 14, აგრონომიულზე 6, საქიმოზე 6, სოციალ-ეკონომიურზე 5, პოლიტეხნიკურზე 1.

5. უნივერსიტეტთან არსებობს სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის წრეები, რომლებშიაც სტუდენტები პროფესორების, დოცენტებისა და ლექტორების ხელმძღვანელობით და დახმარებით აწარმოებენ მეცნიერულ მუშაობას მოხსენებებისა და რეფერატების სახით ამა თუ იმ საკითხზე თავიანთი სპეციალობიდან. ასეთი წრეები არის თვითეულ ფაკულტეტებზე, სულ მათი რიცხვი უდრის ათს.

გარდა წმინდა სამეცნიერო წრეებისა, უნივერსიტეტის კლუბთან არსებობს სხვადასხვა წრეები, როგორიცაა ფიზიკური კულტურის. რადიო-წრე, დრამატიული, ჭადრაკის, მომღერალთა გუნდი, ჩასაბერი და სიმებიანი ორკესტრი. აქ, ამ წრეებში, სტუდენტობა ჰპოულობს ჯანსაღსულიერ და ფიზიკურ გასართობს და რაციონალურად ატარებს დროს.

გ. სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებანი

უნივერსიტეტს აქვს თავისი სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებანი, როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო, ისე კერძო ფაკულტეტობრივი მნიშვნელობისა.

ზოგადი საუნივერსიტეტო მნიშვნელობის დაწესებულებაა უნივერსიტეტის წიგნთსაცავი, რომელიც მთავარი ძარღვია უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობისა და საქმიანობის. უნივერსიტეტის წიგნთსაცავს საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის დაარსებისთანავე. საზოგადოებრივმა ენტუზიაზმმა აქაც იჩინა თავი, შემოწირულება შემოწირულებას მოჰყვა, საჩუქარი საჩუქარს, და მალე უნივერსიტეტის კედლებში თავი მოიყარა საკმაოდ დიდმა კოლექციამ, რომლისათვისაც საკმაო აღარ შეიქნა ის დარბაზი, რომელშიაც ის მოთავსებული იყო თავდაპირველად მეოთხე სართულში ამიტომ ის მალე გადმოტანილ იქნა სულ ძირს, პირველ სართულში, სადაც მან დაიჭირა მთელი მარჯვენა ფრთა. წიგნთსაცავის გამდიდრებაში კერძო პირები და სხვადასხვა დაწესებულებანი თითქოს ეჯიბრებოდენ ერთმანეთს, ამ მხრივ უნივერსიტეტს ხელს უწყობს თვით მთავრობა, რომელსაც არა ერთი და ორი კოლექცია გადმოუცია მისთვის ამა თუ იმ საზოგადოების ან დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ.

უნივერსიტეტს მეცნიერული კავშირი აქვს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან როგორც საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ, რომელნიც მას თავიანთ გამოცემებს უგზავნიან; რიცხვი ასეთი დაწესებულებისა უდრის სამოცდახუთს. აქედან 34 დაწესებულება გზავნის თავის გამოცემებს უნივერსიტეტის გამოცემებზე გასაცვლელად.

საჭირბოროტო საკითხს უნივერსიტეტის წიგნთსაცავის ცხოვრებაში შეადგენს მისთვის საგანგებო შენობის აგება.

ფაკულტეტობრივი მნიშვნელობის სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებებია: ლაბორატორიები, კლინიკები, კაბინეტები, მუზეუმები, სადგურები და ინსტიტუტები. თვითეული ფაკულტეტი, მის განკარგულებაში არსებული თანხების ფარგლებში, სცდილობს მოაწყოს ასეთი დამხმარე დაწესებულება, შეაიარაღოს იგი როგორც საჭირო ხელსაწყოებით, ისე სპეციალური წიგნთსაცავებით, რადგანაც მხოლოდ თეორიული, ლექციური მუშაობა, თუ მას არ ახლავს პრაქტიკული ვარჯიშობა ამ დაწესებულებებში, საკმარისი არაა; არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ულაბორატორიოთ შეუძლებელია წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიება, რაც მთავარი დანიშნულებაა უნივერსიტეტისა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია სასურველი და გასაკეთებელი უნივერსიტეტის დაწესებულებათა შორის განსაკუთრებულს მდგომარეობაშია საქიმიო ფაკულტეტის კლინიკები; კლინიკები შეადგენს საკუთრებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის ჯან. განყოფილების და ამიერ კავკ. რკინის გზ. ჯან განყოფილებისას, ისინი გადმოცემულია, როგორც სასწავლო მასალა, უნივერსიტეტისადმი, რომელიც ამ მასალაზე აწარმოებს თავის პედაგოგიურ-მეცნიერულ მუშაობას სასწავლო-სამეცნიერო ხარჯების გაწევით. ამ მდგომარეობას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს, ყოველ შემთხვევაში ავადმყოფების შერჩევის მხრივ. მაგრამ ჯერ-ჯერობით საკუთარი კლინიკების შექმნა უნივერსიტეტისათვის განუხორციელებელია.

გარდა ამისა აგრონომიული ფაკულტეტის განკარგულებაშია მუხრანის სასწავლო მამული, როგორც მთავარი ბაზა სტუდენტთა პრაქტიკული ვარჯიშობისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობისა; კერძოდ ამ მამულთან არის მოწყობილი საცდელი ცხვრის ფარეხი და ხელექტურ-ბოტანიკური ნაკვეთი. ამავე ფაკულტეტთან მიწათმოქმედების კომისარიატი აწყობს ფართო მასშტაბის ზოოტექნიკურ ინსტიტუტს, რომელშიაც ფაკულტეტი აწარმოებს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას. სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებანი მოთავსებულია ნაწილობრივ უნივერსიტეტის საკუთარ შენობაში, ნაწილობრივ დაქირავებულში, ნაწილობრივ სხვა უწყების დაწესებულებებში.

დ. საგამომცემლო კომისია

უნივერსიტეტს ჰყავს საგამომცემლო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მეცნიერულ შრომათა გამოცემას; ამ შრომებს ის აქვეყნებს როგორც ცალკე წიგნებად, ისე უნივერსიტეტის პერიოდულ ორგანოში, რომელსაც „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე" ეწოდება და, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის 20—25 თაბახის რაოდენობით; დღევანდელ დღემდე გამოვიდა სულ რვა წიგნი ამ „მოამბისა". ნაწილი უნივერსიტეტის გამოცემებისა იბეჭდება უნივერსიტეტის კუთვნილ ლიტოგრაფიაში, რომელიც გადმოეცა უნივერსიტეტს 1923 წლის მაისში და, მოუწყობლობის გამო, ჯერ-ჯერობით ვერ შლის ფრთებს ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. მომეტებული ნაწილი გამოცემებისა იბეჭდება ქალაქის სხვადასხვა სტამბებში.

1926 წლის შემოდგომამდე უნივერსიტეტის გამომცემლობის მატერიალურ ბაზას შეადგენდა პედაგოგიური პერსონალის ყოველთვიური ჯამაგირიდან ოთხპროცენტიანი ანარიცხი, მას შემდეგ კი ამ საქმისათვის გამომცემლობას ეძლევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან—500—1000 მანეთამდე ყოველთვიურად. ასეთი თანხით ბევრის გაკეთება ძნელია, მაგრამ გამომცემლობას შეღავათს აძლევს თვით ავტორები ერთგვარი თვითდაბეგვრის გზით.

ე რა უშლის ხელს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის წარმატებას.

არ შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა უნივერსიტეტში იდეალურ სიმაღლეზეა დაყენებული. ამას, რასაკვირველია, ობიექტიურად თუ მიუდგებით საკითხს, ვერც მოვთხოვთ ახალგაზრდა უნივერსიტეტს, რომელიც რევოლიუციის ქარცეცხლში იშვა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიურად გარდაქმნის პროცესში ყალიბდებოდა. ჩვენ შევეცდებით აღვნიშნოთ ძირითადი მიზეზი მაინც, რომელიც ხელს უშლის უნივერსიტეტის ნორმალურ მუშაობას. ასეთებია:

1. არასაკმარისი მომზადება საშუალო სკოლიდან უნივერსიტეტში შესასვლელად. 1923 წლამდე უნივერსიტეტში იღებდენ ყველას, ვისაც კი საშუალო სკოლის გათავების მოწმობას როგორმე ჩაიგდებდა ხელში, აღნიშნული წლიდან შემოღებულია საკონკურსო გამოცდები, რამაც, უეჭველია, ხელი შეუწყო მსმენლების მაღალის შერჩევას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საქმე საბოლოოდ გამოსწორებული არაა. როგორც ვიცით, საშუალო სკოლის სტაბილიზაცია ჯერ არ მომხდარა, ის ცოდნა, რომელიც გამოაქვთ იქიდან ზოგიერთებს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ შეისმინონ უნივერსიტეტის კურსი და შეითვისონ ის.

2. წარმოუდგენელი სიღარიბე ჩვენი სტუდენტობისა. ამის შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ზედმეტია ხანგრძლივი შეჩერება. უდიდესი ნაწილი სტუდენტობისა განიცდის უბინაობას, არის ისეთები, რომელთაც არავითარი ბინა არ მოეპოვებათ და ღამეს ათევენ, სადაც მოუხდებათ; თუ ვისმე ბედმა გაუღიმა და ოთახი იშოვა, მას უმეტეს შემთხვევაში, არც სინათლე აქვს საკმაოდ, არც სითბო, რომ იქ მეცადინეობა შესაძლებელი იყოს. არ აქვთ მათ არც საკმარისი საჭმელ-სასმელი; ბევრია ისეთი, რომელსაც საჭმელ-სასმელი პროვინციიდან მოაქვს, გამოელევა თუ არა ჩამოტანილი სურსათი, კვლავ პროვინციისაკენ მიეშურება და მეცადინეობას სწყვეტს. არ აქვთ მათ საშუალება შეიძინონ ჯეროვანი ტანისამოსი და შეიძინონ საჭირო სახელმძღვანელოები და ხელსაწყო. უნივერსიტეტი, მთავრობა და თვით სტუდენტთა ორგანიზაციები შეძლებისდაგვარად ებრძვიან სიღატაკეს; ასე, მაგალითად, ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა სტუდენტებს საზოგადო საცხოვრებელი სახლები, რომელშიაც 130 კაცია დაბინავებული. სტუდენტთა აღმასრულებელი ბიურო აძლევს უფასო სადილს დღეში 110 სტუდენტს, გასულ წელს გასცა მან 2.319 მანეთი დახმარების, ხოლო 4.704 მანეთი სესხის სახით. მთავრობა ნიშნავს სტიპენდიებს, მაგრამ მათი რიცხვი მინიმალურია.

3. სტუდენტების გადატვირთვა, სამსახური; ეს შედეგია მათი სიღარიბისა და მატერიალურად შევიწროებული მდგომარეობისა. მართლაც, სტუდენტი იძულებულია, რომ როგორმე თავი ირჩინოს, ეძიოს რაიმე სამსახური, თუგინდ სულ მცირეც. რაც დრო გადის, თანდათან მცირდება რიცხვი სამსახურში მყოფ სტუდენტებისა, მაგრამ 20—25 პროც. მათი მაინც იქნება კიდევ ჩაბმული სამსახურში.

4. ენების უცოდინარობა სტუდენტების მიერ. 95 პროცენტმა სტუდენტობისამ არ იცის არც ერთი უცხო ენა. მათ შორის არც რუსული, რომ შესაძლებელი იყოს მათთვის უცხო ენაზე ლიტერატურით სარგებლობა. ქართულ ენაზე კი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით სახელმძღვანელოებიც კი არა გვაქვს საკმაო რაოდენობით და სამეცნიერო ლიტერატურაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

5. შენობების სიმცირე და სივიწროვე. უნივერსიტეტი იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ის აღარ ეტევა იმ შენობებში, რომელსაც თანდათანობით გადმოდიოდა მის ხელში. საქიმიო ფაკულტეტი მთლიანად თითქმის მოთავსებულია ქალაქისა და ჯან. სახ. კომ. კლინიკებსა და დაწესებულებებში, ხოლო აგრონომიული ფაკულტეტი ყოფ. სასულიერო სემინარიის შენობაში, რომელიც 1927 წლის ზაფხულზე გადმოეცა საბოლოოდ უნივერსიტეტს. მიუხედავათ იმისა, რომ, გარდა მთავარი კორპუსისა, რომელშიაც გაიხსნა უნივერსიტეტი (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია), უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს კიდევ ოთხი შენობა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. შეუძლებელი ხდება გაშლა იმ მცირერიცხოვანი დაწესებულებებისაც კი, რომელიც ეხლა არსებობს უნივერსიტეტში.

6. სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა დაფანტულობა. უნივერსიტეტის დაწესებულებანი მობნეულია ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში ნავთლუღიდან ვაკემდე, სოლოლაკიდან დიდუბემდე; სტუდენტებს უხდებათ სირბილი ერთი დაწესებულებიდან მეორეში, მაშასადამე ქალაქის ერთი განაპირიდან მეორეში, ეს კი ართმევს მათ დიდ დროს და უზომოდ ფქანცავს მათ.

7. სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა მოუწყობლობა. სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი ისედაც მცირეა უნივერსიტეტში. არის მთელი რიგი კათედრებისა, რომელთაც არავითარი დაწესებულება არ მოეპოვება, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. ის დაწესებულებანი, რომელნიც არსებობენ, არსებობენ თითქმის ნომინალურად, ხშირად არავითარი მოწყობილობა მათ არ გააჩნია. საჭიროა ერთდროული საგრძნობი თანხა დაწესებულებათა მოსაწყობად და რეგულიარული ყოველთვიური დაკმაყოფილება მინიმალურ მოთხოვნილებათა მაინც. თორემ იმ ოთხი ათასი მანეთით რომელიც ყოველთვიურად ეძლევა უნივერსიტეტს საორგანიზაციო ხარჯთა დასაფარავად, დიდს ვერას გავაკეთებთ.

8. თავისუფალი კათედრების არსებობა. მიუხედავათ იმისა, რომ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამოწურულია მარაგი ქართული სამეცნიერო ძალებისა, გამოყენებულია და საქმეში ჩაბმული არაქართული ძალებიც და მიღებულია ზომები ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებისათვის, შევსება ყველა კათედრებისა ჯერ მაინც ვერ მოხერხდა.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი

უნივერსიტეტის არსებობის წყაროს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განკუთვნილი თანხა და სხვადასხვა ხასიათის შემოსავალი, რომელთა შორის პირველი ადგილი სასწავლო გადასახადს უკავია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნივერსიტეტი ღებულობს თანხას ხარჯთაღრიცხვისა, ხელფასსა და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავ თანხას. რაც შეეხება სასწავლო გადასახადს, ის მეტად უმნიშვნელო თანხას იძლევა (არა უმეტეს 40—50 ათასი მანეთისა წლიურად), რადგანაც ორთაშუა რიცხვით 60 პროც. სტუდენტობისა განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან (1926—27 ს. წ. 70 პროც., მიმდინარე წელს 55 პროც.). ამ თანხის დანიშნულებაა გაძლიერება სახელმწიფო ბიუჯეტით მოცემული თანხებისა და ის იხარჯება წინასწარ შედგენილი გეგმით, უნივერსიტეტის სხვადასხვა საჭიროებათა, გარდა ხელფასისა, დასაკმაყოფილებლად. საერთოდ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ძალიან მცირეა და მისი სიმცირეა მთავარი მიზეზი იმ დეფექტებისა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, რომელიც ზემოთა აღინიშნულა.

სასწავლო - სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი პროფ. კ. კეკელიძე.

ჩვენი ანკეტა

სახ. უნივერსიტეტის 10 წლ. თავის გამო

ამხ. დ. კანდელაკი

(საქ. განათლების სახ. კომისარი)

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი წარმოადგენს არა მარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ მოვლენასაც. ჩვენ აღფრთოვანებას გვგვრის ის გარემოება, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიზარდა, განვითარდა და გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ: მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საძირკველი იმ მრავალ ფაკულტეტებს, რომელთა საქმიანობა საამაყოდ ხდის ჩვენს სახ. უნივერსიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა შორის. არასრულყოფილ და შინამრეწველურ დაწესებულებიდან, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტი წარმოადგენდა მენშევიკების ბატონობის ხანაში, საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით იგი გარდაიქცა მეცნიერების თვალსაჩინო კერად და მოწოდებულია სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

მისი არსებობის პირველი ათეული წელი, რომელიც უფრო ორგანიზაციულ პერიოდს წარმოადგენს, უკვე დასრულდა. მეორე ათეული წელი უნდა დახასიათდეს არსებულ მიღწევათა გაღრმავება - განვითარებით, მის მომავალ აღმშენებლობაში უფრო მტკიცე მყარი სამეცნიერო საძირკვლის ჩაყრით და მეცნიერულ - კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაძლიერებით.

მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, თბილისის სახ. უნივერსიტეტს დიდი მიღწევები აქვს სამეცნიერო დარგში. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე მან გამოაჩინა მთელი რიგი მუშაკებისა, რომელთა მუშაობით იწყება ეროვნული კულტურის აღორძინების ხანა საბჭოთა საქართველოში.

საქართველოს სახ. უნივერსიტეტს მისი არსებობის მეორე ათეულ წელზე ვუსურვებ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, რომ ამ უახლოეს წლებში მის კედლებში შექმნილიყოს და აღზრდილიყოს საბჭოთა სამეცნიერო მუშაკების ახალი კადრები. ვუსურვებ მომავალში მეტი ყურადღება მიექცეოს ახალი თაობის სამეცნიერო ძალთა გამოჩენის საკითხისათვის, რათა შექმნას ასეული და ათასეული საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერებისა. რომელთა საქმიანობაში შევხვდებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით დაგვირგვინებას.

ჩემი სურვილია, სახელმწიფო უნივერსიტეტი მატერიალურ ნიადაგზე მდგარი და ახალი ლაბორატორიებით შეიარაღებული.

დასასრულ, ვისურვებ მისი არსებობის მეორე ათეული წლის საზეიმო აღნიშვნას პროლეტარულ სტუდენტთა მატერიალურად გაუმჯობესების ნიშნის ქვეშ.

აი, მოკლედ ის, რაც მინდა ვსთქვა საქართველოს სახ. უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავის იუბილეს გამო.

ამხ. მარიამ ორახელაშვილი

(საქ. გან. სახკომის მოადგილე)

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება-აღორძინებისათვის სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე მდგარ საბჭოთა საქართველოს ესაჭიროება უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი და მომზადებული სპეციალისტები. ასეთი კადრების შექმნა კი უპირველესი ამოცანაა სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელიც მოწოდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტს, მისი არსებობის პირველი ათეული წლის თავზე, ვუსურვებ კვლავ ენერგიულად განეგრძოს თავისი სამეცნიერო მუშაობა საბჭოთა საქართველოს კულტურის ამაღლება - აღორძინებისათვის და მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ა. რაზმაძე

(სახ. უნივერსიტეტის პროფესორი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განვლო თავისი განვითარების პირველი ეტაპი. მან აამეტყველა ქართულ ენაზე უმაღლესი მეცნიერება. მეორე ათეულ წელში უნივერსიტეტს მოუხდება უფრო ღრმა, უფრო დაკვირვებული მუშაობა, რომ იგი თავისი მეცნიერული შინაარსით და ღირსებით დაუახლოვდეს დასავლეთ ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებს.

ჩემი სურვილია, რომ მთავრობამ და საზოგადოებრივმა წრეებმა გააფართოვონ მატერიალური ბაზა ამ მიზნების განსახორციელებლად, რომ ჩვენ შევძლოთ შევქმნათ ახალი ლაბორატორიები, ახალი დამხმარე დაწესებულებანი იმ სახით, როგორსაც მოითხოვს მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა.

პროფ. კ. კეკელიძე

(სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი)

ათი წლის თავზე უნივერსიტეტს ვუსურვებ, რომ განვლილი საორგანიზაციო პერიოდის შემდეგ იქ შექმნილიყოს საუკეთესო პირობები სასწავლო - სამეცნიერო საქმის წარმატებისათვის, სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებათა მოწყობისა და შეიარაღების სახით, რათა უნივერსიტეტმა გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალა და ნიჭი, რომლითაც ის პოტენციურად მდიდარია.

ამხ. ს. კიკაბიძე

(სტუდენტთა აღმასბიუროს თავმჯდომარე)

სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს სურვილია უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავზე პროლეტარულ სტუდენტთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, პროლეტარულ სტუდენტთა აკადემიური უნარიანობის უფრო აწევა და განმტკიცება, რომ უნივერსიტეტის კედლებიდან გამოსული ახალი გაზრდობა წითელი სპეცების სახით გვერდში ამოუდგეს მუშებს და გლეხებს და აქტიურად ჩაებას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

მოწოდება განათლების მუშაკებს

დიდი ოქტომბრის ქარტეხილის შემდეგ გახდა შესაძლებელი თბილისში უნივერსიტეტის დაარსება; ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის არსებობის ზეიმი—ეს ოქტომბრის რევოლიუციის კულტურული ზეიმია. უნივერსიტეტთან ერთად ზეიმობენ საბჭოთა ხელისუფლება, საქართველოს კომუნისტური პარტია, მშრომელი მასები, მშრომელი ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა—ყველა, ვისაც კი გულწრფელად არის დაინტერესებული მშრომელთა საქართველოს დაწინაურებით, ვინც მისი სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ერთგული მონაწილეა.

მაგრამ ჩვენი ზეიმი არასოდეს არ განისაზღვრება მარტო კმაყოფილებით, არ თავდება მიღებული მიღწევების დაფასებით, არამედ ბრძოლით მოპოვებული შედეგების სწორი შეფასების საფუძველზე ჩვენ ყოველთვის მორიგ ამოცანებს ვისახავთ გადასაწყვეტად; შრომის ამა თუ იმ ფრონტზე მოპოვებული გამარჯვების ზეიმი ჩატარებული მუშაობის სწორი შეფასებას და მომავალი მუშაობის გეგმის ამოყენებას წარმოადგენს.

ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის ზეიმის შესახებაც იგივე უნდა ვთქვათ.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით და ხელმძღვანელობით, თავის არსებობის ათი წლის თავზე, სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ მომაგრებულ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს, ამის შემდეგ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ და იმედიც ვიქონიოთ, რომ უნივერსიტეტი სწრაფად განვითარდება, მისი მეცნიერული მუშაობა გაფართოვდება და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს გაუმკლავდება.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული მთელს ჩვენს განათლების სისტემას, მასში შემავალ ყველა საფეხურის და ტიპის საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებას და განსაკუთრებით კი სახელმწიფო უნივერსიტეტს: მეურნეობის სწრაფი განვითარება ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალისტურ მშენებლობის საფუძველზე; სოფლის მეურნეობის წვრილი ერთეულების კოლექტივიზაცია; სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის რაციონალიზაცია და ყველა ამისათვის, დაჩქარებული წესით ჩასატარებელი კულტურული რევოლიუცია, როგორც დასმული ამოცანების გადაწყვეტის ერთი უმთავრესი პირობა—საშუალებათაგანი—აი, მშენებლობის დიდი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო განათლების მიმართულებას, მის მუშაობის შინაარსსა და ორგანიზაციას.

მეურნეობის რეკონსტრუქციის აუცილებლობამ გამოძახილი უნდა ჰპოვოს სახალხო განათლების საქმეში მთლიანად. პედაგოგიურ მუშაობაშიც აუცილებელია რეკონსტრუქცია, მუშაობის ნაყოფიერების გაზრდა და შრომის რაციონალიზაცია, რათა იდეოლოგიურმა ფრონტმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სოციალისტური მშენებლობის ყველა დანარჩენი ფრონტების სიმტკიცე უზრუნველჰყოს.

განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ სახელმწიფო უნივერსიტეტის მოვალეობა: სოციალისტური მშენებლობის ყოველი დარგის პრაქტიკული მოთხოვნილებით უნდა განისაზღვროს მისი მეცნიერული მუშაობის მიმართულება, რაოდენობა და რაობა; მან უნდა შესძლოს თავის მუშაობის მთლიანად დამყარება თანადროულობაზე, სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების საფუძველზე; სოციალისტური მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის გზით, წარმოებასა და საზოგადოებრივ-კულტურულ მშენებლობაზე დაყრდნობით, მან უნდა მოამზადოს, კომუნისტურად აღზრდილი, მაღალხარისხოვანი სპეციალისტები—ინჟინერები, აგრონომები, ეკონომისტები, მასწავლებლები, ექიმები და სხვ. რომლებიც შეგნებულად და ერთგულად ჩაებმებიან ახალ ცხოვრების მშენებლობაში, თავის ცოდნით და პრაქტიკული საქმიანობის უნარით დააჩქარებენ სამეურნეო კულტურული მშენებლობის განვითარებას. ამის გარეშე უნივერსიტეტი ვერ გახდება კულტურული რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, ვერ გახდება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა სამჭედლოდ.

ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობის გზაზე უნივერსიტეტს ბევრი დაბრკოლების დაძლევა მოუხდება და აქ მას ესაჭიროება არა მარტო ბასრი იდეოლოგიური იარაღი არამედ მძლავრი ნივთიერი ბაზაც, რათა მან შესძლოს სამეცნიერო მუშაობის პროდუქციის გადიდება მუშაობის აქტიურ მეთოდებზე გადასვლით, რაც სათანადო მოწყობილ ლაბორატორიებს, კაბინეტებს, კვლევითი ინსტიტუტებს და ბიბლიოთეკებს გულისხმობს. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

საბჭოთა ხელისუფლება არ ზოგავდა და არც მომავალში მოაკლებს მზრუნველობას სახელმწიფო უნივერსიტეტს. მაგრამ მისი ნივთიერი შესაძლებლობა ვერ დაფარავს ამ დიდ მოთხოვნილებას, რასაც უნივერსიტეტის განვითარების გადაუდებელი ამოცანები გვიყენებს. აქ მასების მგრძნობიარე და ენერგიული გამოძახილია საჭირო. სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმული მასების სულისკვეთებაში და დახმარებაში უნდა ჰპოვოს უნივერსიტეტმა საიმედო საყრდენი თავის მუშაობის განვითარების საქმეში სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით. სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მომქმედ მასებში განათლების მუშაკთა თორმეტათასიან კულტურულ ლაშქარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; ეს ლაშქარი სხვაზე ნაკლებად არ გრძნობს მშენებლობის ფრონტის ახალი ძალებით შევსების აუცილებლობას; მას კარგად ესმის უნივერსიტეტის მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობა. ახალი ძალების საჭირო რიგების მოსამზადებლად, ესმის უნივერსიტეტის დიდი მოვალეობა მშენებელთა წითელი საქართველოს სამეურნეო-კულტურული განვითარების წინაშე, ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ განათლების მუშაკნი სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავს ფართოდ გამოიყენებენ კულტურული რევოლიუციის საკითხების წამოყენება-გაშუქებისათვის, პრაქტიკულად დასვამენ საკითხს ადგილებზე პედაგოგიურ-კულტურული მუშაობის გაღრმავება-გაძლიერების მიმართულებით, თავის მუშაობის წარმოებაში შეიტანენ უნივერსიტეტისათვის შეუწყვეტელი დახმარების მოწყობის ამოცანას განათლების დაბალ და მაღალ დაწესებულებათა შორის მუდმივი კავშირის გაბმით. მითითებებით და, სადაც საჭიროა, სათანადო მოთხოვნის წაყენებით; ამას გარდა, განათლების მუშაკნი უნივერსიტეტის ათი წლის თავზე თაოსნობას აიღებენ ფართო მასების შემოსაკრებად უნივერსიტეტის გარშემო, შესაძლო წვლილის შეტანის მის ნივთიერ საშუალებათა გაძლიერების საქმეში და ამ გადაუდებელი ამოცანის გარშემო მასების ყურადღების გაძლიერებას. უნივერსიტეტის ყოველმხრივად გაძლიერების საკითხი ფართო მასების წინაშე პრაქტიკულ ამოცანად უნდა დაისვას. ამ დიდ საქმეში განათლების მუშაკთა ლაშქრის მძლავრი კოლექტიური ხმა უნდა გაისმას.

ამისაკენ მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, განათლების სახ. კომისარიატი და თქვენი კავშირის ცენტრალური გამგეობა.

მარიამ ორახელაშვილი.
შალვა გეგენავა.

მისალმებები უნივერსიტეტს

სულით და გულით ვუსურვებ საქართველოს უნივერსიტეტს გახდეს მეცნიერების ნამდვილ გამავრცელებლად მუშების და გლეხების შორის.

ს. ორჯონიკიძე

—:—

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმება, ათი წლის არსებობის თავზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენი უნივერსიტეტი პირმშო შვილია ოქტომბრის რევოლიუციის, რომელმაც გაანთავისუფლა რუსეთის იმპერიალიზმით დაჩაგრული ერები და სხვათა შორის, ქართველ ერსაც მისცა შეძლება გაეჩინა უმაღლესი განათლების კერა. მთავრობა იმედოვნებს, რომ საბჭოთა კავშირის ჩვენ ფრონტზე ჩვენი უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო კულტურის ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი ემსახურება ოქტომბრის რევოლიუციის იდეებს და ფართო მასაში შეიტანს სამეცნიერო სოციალიზმის საფუძველზე უმაღლეს ცოდნას.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ათი წლის თავზე ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმი ძმურ სალამს უძღვნის ამიერ - კავკასიის მშრომელთა კულტურულ კერას. გამოვთქვამთ მწუხარებას იმის გამო, რომ შეუძლებელი გახდა წარმომადგენლის გამოგზავნა ზეიმზე დასასწრებლად. გისურვებთ შემდგომ წარმატებას და აყვავებას.

ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ჩერვიაკოვი.

—:—

სახ. უნივერსიტეტის არსებობის 10 წ. შესრულების გამო პოლონეთის მოსკოველ ელჩის—ბ. სტ. პატეკისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო პოლონეთის გენ. კონსულმა თბილისში:

„ჩემს მეხსიერებაში ღრმად არის აღბეჭდილი ჩემ მიერ 1927 წელში საქართველოს უნივერსიტეტის ნახვა. გთხოვთ თქვენ, ბატონო კონსულო გადასცეთ ჩემგან უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს ჩემი საუკეთესო სურვილები ამ დაწესებულების ნაყოფიერ განვითარებისა მისი არსებობის ათი წლის თავის გამო.

სტანისლავ პატეკი".

კრაკოვიდან:

პოლონეთის სამეცნიერო აკადემია უძღვნის საქართველოს უნივერსიტეტს თბილისში თავის მილოცვას და სურვილებს quod felix, faustum fortunatumque sit.

პროფესორი დ-რი იან როზვადოვსკი, პოლონეთის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი.

—:—

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ათი წლის თავზე პატივი მაქვს პოლონეთის გენერალურ საკონსულოს სახელით ვუსურვო საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის უმაღლეს კერას ნაყოფიერი მუშაობა ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ და უძვირფასესი განძის შეტანა კაცობრიობის ცოდნათა საერთო საგანძურში.

მე ბედნიერი ვარ, რომ ამასთან ერთად შემიძლია გადავსცე საქართველოს Alma mater-ს მისალმება და მილოცვა მის სახელზე, რომელიც გადმოგზავნილია პოლონეთის საგანგებო ელჩის და სრულუფლებიან მინისტრ ბ. ს. პატეკის და პოლონეთის უმაღლეს სამეცნიერო ორგანოს — პოლონეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ.

მოსტოვსკი
პოლონეთის გენ. კონსული თბილისში.

—:—

სომხეთის სახკომსაბჭო ესალმება თბილისის უნივერსიტეტს მისი სახელოვანი იუბილეს გამო. საქართველოს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ცხოვრების რეკონსტრუქციის პირობებში უნივერსიტეტის როლი უდიდესია. მხოლოდ მტკიცე კავშირით მეცნიერებასთან ქართველი მუშა და გლეხი შესძლებს განამტკიცოს თავის მეურნეობა და კულტურის ყველა დარგები და დაადგეს სწორ გზას სოციალიზმისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელთა ცოდნის კერას — თბილისის უნივერსიტეტს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—
მრავიანი

—:—

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი ესალმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკებს, სტუდენტობას და თანამშრომლებს უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავის შესრულების გამო და გულწრფელად უსურვებს მას შემდგომ განვითარებას და აყვავებას საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე
ხოდოროვსკი

ლენინგრადის სამთო ინსტიტუტი ესალმება თბილისის უნივერსიტეტს მისი არსებობის ათი წლის თავზე და უსურვებს მას შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას რესპუბლიკების კავშირის სასარგებლოდ.

გამგეობა

—:—

პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდად აფასებს თბილისის უნივერსიტეტის მოღვაწეობას, უძღვნის მას სალამს შორეულ კამის ნაპირებიდან და უსურვებს შემდგომ აყვავებას და ნაყოფიერ სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ განვითარებას.

რექტორი სტოიჩევი

—:—

ოდესის სახელმწიფო დერმატო - ვენეროლოგიური ინსტიტუტი ესალმება სამკურნალო ცოდნათა კერას. გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას.

დირექტორი ხოროშინი

—:—

გურიის მშრომელების სახელით მხურვალედ მივესალმებით ჩვენს უნივერსიტეტს მისი ათი წლის არსებობის გამო და ვუსურვებთ ათასობით აღზარდოს ახალთაობა, რომელიც ღირსეულად დაასრულებს ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს.

მახარამასკომის თავმჯდ. ბურბენიძე.

—:—

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნის პროფესორებს, დოცენტებს და უნივერსიტეტის ყველა უშუალო ხელმძღვანელთ. მეცნიერების აკვანის არსებობის ათი წლის თავზე სამაზრო აღმასკომი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტად მომზადებულ და პრაქტიკულ ცხოვრებისათვის გამოსადეგ მოქალაქეებს მისცემს ჩვენს მხარეს ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ დარგის სოციალისტურად აღორძინებისათვის,

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი

—:—

ქუთაისის სამაზრო კომიტეტი მხურვალედ ესალმება მეცნიერების კერას — სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავს. ჩვენი ორგანიზაცია ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი, აგებული კლასიურ საფუძველზე, მისცემს ქვეყანას მეცნიერული და ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილ საუკეთესო მოქალაქეთ სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ქუთაისის სამაზრო კომიტეტი ბზახალია.

წითელი არმიის ათი წლის თავი

ათი წლის იუბილე

10 წლის წინად საფუძველი ჩაეყარა წითელი არმიის ორგანიზაციას.

მრავალი კრიტიკული მომენტი გამოიარა წითელმა არმიამ, მრავალი გამარჯვება მოიპოვა, დიდი რევოლიუციონური ენტუზიაზმი გამოიჩინა მან და პროლეტარიატის ბევრი საუკეთესო შვილი დაიღუპა თავისუფლებისათვის და ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცებისათვის გაწეულ გმირულ ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა მთავრობა უარმიოდ დარჩა, აუცილებლად საჭირო იყო, რომ რევოლიუციონური ქვეყნისათვის შექმნილიყო სამხედრო დამცველი ძალა.

ძველი არმიის დემობილიზაცია კი არ მოხდა, არამედ იგი სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდა, დიდძალი ქონება და იარაღი ბედის ამარად იქნა მიტოვებული. გერმანელებმა თავისუფლად გაიარეს მთელი ის მიწა-წყალი, სადაც ეს ქონება დარჩა და, როგორც იტყვიან ხოლმე, შიშველი ხელით დაიჭირეს იგი და განაგრძეს შეტევა და წინსვლა.

რა შევუძლით დაგვეპირდაპირებია ამ შეტევისათვის? და აქ, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დაისვა საკითხი: როგორ მოქცეულიყო?

და აი, მტრის შემოტევის მუქარის ქვეშ, ყველაფერი, რაც ძველი არმიისაგან დარჩა, დასავლეთისაკენ იქნა გადატყორცნილი ერთგვარი საფარის შესაქმნელად. ამ ძალას წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ თავშენახული ლატვიელთა პოლკები და ახლად საფუძველჩაყრილი წითელგვარდიელთა პატარა ნაწილები.

ამავე მუქარის ქვეშ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა, რომ მოკლე ხანში შეექმნა თავისი ახალი არმია. ამ მიზნით 1918 წლის 15 იანვარს (გამოქვეყნდა 23 თებერვალს) გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ.

„მუშურ-გლეხური წითელი არმია იქმნება შრომელი კლასების ყველაზე უფრო შეგნებული და შეკავშირებული ელემენტებისაგან".

ასე ჩაეყარა საძირკველი მუშათა და გლეხთა არმიას!

ჯერ ნავარაუდევი იყო არმიის შექმნა მოხალისეობის საფუძველზე, მაგრამ ეს გამოუსადეგარი გამოდგა და შემოღებულ იქნა სავალდებულო სამხედრო ბეგარა.

ბრესტის ზავი თითქოს საშუალებას გვაძლევდა, რომ არმიის ორგანიზაციის გეგმის განხორციელება ასე თუ ისე დამშვიდებით მოგვეხერხებინა.

მაგრამ ამ დროს ატეხილმა ამბებმა სრულიად ჩაგვიშალა ეს მუშაობა. საქმე ისაა, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ რუსეთში მოგროვდა ბევრი ტყვე ჩეხო-სლოვაკი, რომლებიც ჩვენც დავრაზმეთ ამერიკის გზით საფრანგეთში გასაგზავნად. ისინი მიემართებოდენ ციმბირში ტამბოვის, პენზის და სიმბირსკის გზებით.

პენზის რაიონი ეშელონებით გაიჭედა, გაჩნდა უკმაყოფილება ცხელი წყლის, სურსათ-სანოვაგის და სათბობის ნაკლებობის გამო; რადგან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქ თავმოყრილი გამოქცეული კონტრ-რევოლიუციონერები აგიტაციას ეწეოდენ, ეს უკმაყოფილება ამბოხებად გადაიქცა. ჩვენ ამას ჯერ სერიოზულ ყურადღებას არ ვაქცევდით, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩეხო-სლოვაკელებმა დაიჭირეს პენზა, სიზრანი და სამარა, სადაც მათ დიდძალი საარტილერიო ქონება ჩაიგდეს, ჩვენ დავინახეთ, რომ ვოლგაზე გაგვიჩნდა მტრის შეიარაღებული ძალა.

შემდეგ ეს ძალა გადაიქცა იმ ცენტრად, რომლის გარშემო დარაზმვა იწყო თეთრგვარდიელთა არმიამ, ხოლო ამ არმიამ მოკლე ხანში დაიჭირა ეკატერინბურგი და ჩელიაბინსკი და მით კავშირი გაგვიწყვიტა ციმბირთან, სადაც ამის შემდეგ შეიქმნა მენშევიკურ-ესერული მთავრობა, მერე კი გამოჩნდა „უმაღლესი მმართველი" კოლჩაკი.

ასე წარმოიშვა აღმოსავლეთის ფრონტი.

იძულებული გავხდით უკუგვეგდო არმიის შექმნის დალაგებული გეგმები. ისეთ მდგომარეობაში ჩავცვივდით, რომ საჭირო იყო სახელდახელოდ შეგვეკრება ნაწილები და რაიმე ძალა დაგვეპირდაპირებინა მტრის შემოტევისთვის. ყველას კარგად ახსოვს, რომ ეს ნაწილები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდენ და იხევდენ შუა რუსეთისაკენ. ამავე დროს ცნობა მოვიდა, რომ სამხრეთით დენიკინის ძალები იყრიდენ თავს, ხოლო დასავლეთით—იუდენიჩისა.

„ობივატელმა" დაილაპარაკა, მას სწამდა, რომ ჩვენი დღეები დათვლილია. ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ მთელი თეთრგვარდიელობა ზეიმობდა და დაგვცინოდა ჩვენ და დასცინოდა „ბოლშევიკურ არმიას".

და აი, ამ დროს გადმოსროლილ იქნა ლოზუნგი: „ყველაფერი არმიისათვის"; გადავწყვიტეთ სამმილიონიანი არმიის შექმნა და საქმეს ხელი მოვკიდეთ. მშრომელმა ხალხმა თავისი რიგებიდან გამოჰყო ყველაფერი, რაც კი მას საუკეთესო რამ გააჩნდა, და არმიას მიუძღვნა. შეიქნა საგანგებო კომუნისტური რაზმები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს სამოქალაქო ომის დროს. სამმილიონიანი არმიის ლოზუნგი სწრაფად ისხამდა ხორცს.

მტრები გვიტევდენ, მაგრამ მათ იგრძნეს, რომ ჩვენს ფრონტებზე გაჩნდა ხალისი და სიმტკიცე.

ჩვენ გადავწყვიტეთ ციმბირის დაჭერა და მთელი ჩვენი გულისყური მივაქციეთ აღმოსავლეთის ფრონტს. ამ დროს კი დონზე გენერალმა კალედინმა შექმნა კონტრ-რევოლიუციის ახალი ბუდე იქ თავმოყრილი გაქცეული თეთრგვარდიელებისაგან. გაჩნდა ახალი ფრონტი, რომელმაც მოგვკვეთა კავკასია და თურქესტანი.

ჩრდილოეთით ინგლისის ჯარების დესანტი გადმოვიდა და შეტევა დაიწყო.

სამხრეთით მოიმართება დენიკინი თავისი შვიდ-კორპუსიანი არმიით, დასავლეთით—იუდენიჩი.

საბჭოთა რესპუბლიკას კონტრ-რევოლიუციონურ არმიათა სალტე შემოერტყა.

დაიწყო ულმობელი, უთანასწორო ბრძოლა და ამ მკაცრ ბრძოლაში ჩვენი არმია დღითი-დღე კაჟდებოდა. წინააღმდეგობა მტრის მიმართ იზრდებოდა; ჩვენმა არმიამ მალე ისწავლა მტრებთან გამკლავების ხერხი და თეთრგვარდიელების შეტევა შეაჩერა.

ჩამოვარდა დროებითი სიწყნარე, ჩვენი არმიის საბოლოოვე თეთრგვარდიელთა რიგებში რღვევა შეიტანა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი არმიები შეტევაზე გადავიდენ. კოლჩაკის წინააღმდეგ გაილაშქრეს 1-მა, მე-4 და მე-5 არმიებმა, რომლებმაც დიდი ბრძოლისა და დროებითი მარცხის შემდეგ შეავიწროვეს იგი ყველა მიმართულებით. 1919 წლის დეკემბერში წითელმა ნაწილებმა დაიჭირეს ტომსკი და „უმაღლესი მმართველობის" სატახტო ქალაქი—ომსკი.

1920 წლის იანვარში დაიჭირეს კრასნოიარსკი, ხოლო მარტში ჩვენი ნაწილები უკვე ირკუტსკში იყვნენ.

ირკუტსკის დაჭერით კოლჩაკიადას ბოლო მოეღო. ბოლო მოეღო თვით კოლჩაკსაც. სამი თვის განმავლობაში წითელმა ნაწილებმა 2.000 ვერსზე მეტი განვლეს.

მარტის თვეშივე წითელმა ნაწილებმა მოსპეს ეგრედ წოდებული დუტოვიადა, რომელიც წარმოიშვა ორენბურგში იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი გულისყური მიქცეული გვქონდა ჩეხო-სლოვაკელებისაკენ. ეს—აღმოსავლეთით.

ჩრდილოეთით მე-6 არმიამ, ინგლისელებთან და თეთრგვარდიელებთან გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ზღვაში გადაჰყარა ისინი და მოსპო ჩრდილოეთის ფრონტი.

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე გენერალი იუდენიჩი შეტევას აწარმოებდა ჩვენი რევოლიუციის ციხე-სიმაგრის—ლენინგრადის მიმართულებით. მის წინააღმდეგ გადატყორცნილ იქნა არმიისა და ფლოტის შერეული ნაწილები. ამ ნაწილებმა ერთი თვის შემდეგ მოსპეს გენერალ იუდენიჩის არმია.

სამხრეთით—დენიკინი მიემართებოდა მოსკოვისაკენ. მან უკვე დაიჭირა კურსკი, ორიოლი და უახლოვდებოდა ტულას. ტულის დაკარგვა იქნებოდა ტულის იარაღის ქარხნების დაკარგვა, ხოლო რადგან ურალზე ასეთივე ქარხნები კოლჩაკმა მოათხრა და ამის გამო იქ მუშაობა დიდის შეფერხებით სწარმოებდა, ამიტომ ტულის დაკარგვა ჩვენ დიდის ხნით მოგვაყენებდა მძიმე ჭრილობას. ამიტომ დენიკინის წინააღმდეგ საჩქაროდ ვყრიდით თავს ყველა ძალებს, რომლებიც კი შეგვეძლო გამოგვეყვა სხვა ფრონტებიდან, სამხედრო სკოლებიდან და სხვ.

მარტო ამ ნაწილებით კი არ დავამარცხეთ დენიკინი, არამედ იმითაც, რომ—როგორც ლენინმა გაითვალისწინა—„უკრაინის გლეხობის ძალა დაამხობს დენიკინის ძალას" და „დენიკინის არმიაში თავმოყრილი გლეხები იმავე მოახდენენ, რაც ციმბირის გლეხებმა კოლჩაკის არმიაში მოახდინეს,— სრულიად გახრწნეს იგი". (ტ. 16, გვ. 263—64).

მართლაც, უკვე 1919 წლის შემოდგომაზე მოხდა გლეხობის სულიერი განწყობილების გარდატეხა, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი არმიის ახალ-ახალი გამარჯვება.

ჩვენმა ცხენოსანმა არმიამ დაიჭირა ვორონეჟი და ამით გააქარწყლა ის გარღვევა, რომელიც მოახდინა დენიკინმა.

ამის შემდეგ მდგომარეობა ჩვენდა სასარგებლოდ შეიცვალა; ჩვენი შემტევი ნაწილებისა და მოწინააღმდეგის რიგებში დაწყებული გახრწნის ზეგავლენით დენიკინის ნაწილებმა უკან დახევა იწყეს. შემდეგ დენიკინი სრულიად განადგურებულ იქნა, იგი დაეცა შავი ზღვისაკენ, სადაც ჩვენმა არმიამ გადაჰყარა მისი ჯარები.

მაგრამ ფრონტი ჯერ კიდევ არსებობდა. რადგან გამოჩნდა ანტანტის ახალი კაცი—გენერალი ვრანგელი; იგი იჯდა ყირიმში და ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოელაშქრა. ეს მომენტი მართლაც დადგა.

ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში ანტანტა მთავარ იმედს ამყარებდა პოლონეთზე; იგიც მუდამ ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის და აი 1920 წლის აპრილში ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრა. პოლონეთის ჯარებმა ისარგებლეს იმით, რომ უკრაინაში ჯარები არა გვყავდა და თავისუფლად გაიარეს მარჯვენა მხრის უკრაინა, დაიჭირეს კიევი, ზვენიგოროდკი და მაისში გავიდენ დნეპრზე. ხელახლა გაგვიჩნდა ფრონტი—დასავლეთისა. ხელახლა იყრიან თავს ჩვენი ჯარები სხვადასხვა ფრონტიდან, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ და გადადიან შეტევაზე.

ჩვენი ჯარები, რომ დასავლეთის ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ, ამ დროს ვრანგელმა შემოგვიტია სამხრეთის ფრონტზე. ჩვენი ძალების სიმცირის გამო, ვრანგელმა პირველ ხანებში გამარჯვება მოიპოვა, ხოლო როცა ომი გავათავეთ პოლონეთთან, ჩვენ გადავედით კონტრ-შეტევაზე. ამ შეტევამ ისეთი გამარჯვება მოგვანიჭა, რომ ნოემბერში ვრანგელის კონტრ-რევოლიუციონური არმიის ნაშთები ზღვაში გადავყარეთ.

ასე შეიქმნა წარსულში, ბრძოლის ქარსა და ცეცხლში, წითელი არმია, ასე გადალახა მან უდიდესი დაბრკოლებები და გაიზარდა. იგი დავაჟკაცდა ამ ბრძოლის პროცესში, რომელსაც აწარმოებდნენ 1917 წლიდან, და მოუპოვა ჩვენს ქვეყანას მშვიდობა და მშენებლობის შესაძლებლობა.

მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ კაპიტალისტური ქვეყნებით ვართ გარემოცული; ვიცით, რომ მსოფლიო კაპიტალი ისევ უდიდესი ბოროტებით შესცქერის იმას, თუ როგორ ძლიერდება საბჭოთა კავშირი და რომ მსოფლიოში ისევ იყრება მომავალი გრანდიოზული ომების მრისხანე ღრუბლები.

ამიტომ ათი წლის თავზე კიდევ უფრო მეტის მზრუნველობითა და ენერგიით შეუდგეთ იმ მუშაობას, რომელმაც უნდა განავითაროს და განამტკიცოს ჩვენი მამაცი, სახელოვანი წითელი არმიის ძლიერება.

ა. ბ.

წითელ ლაშქარს

წითელ არმიელს
მხედრობას წითელს,
წითელ მოლაშქრეს
მედგარს და ფხიზელს
მივესალმები
მუშური გრძნობით,
მუშა და გლეხი
მათ უცქერთ ნდობით,

თავისუფლების
მტკიცე დამცველი,
პროლეტარული
სამშობლოს მცველი
„ინტერნაციონალს"
საქვეყნოდ მღერის,
და ეს მხნეობა
მათ სახეს შვენის.

საკაცობრიო
დიად საქმისთვის,
ათი წელია
ბრძოლებში იწვით;
ახალ ცხოვრებას,
ახალ მომავალს
უყრით საფუძველს
შრომით და იღწვით...

ჩვენ, ძმებო, გვახსოვს
ძველი მხედრობა
ვისთვის იბრძოდა,
ვის ემხრობოდა,
სისხლს სხვისთვის ღვრიდა
შეუგნებლად
სიბნელის მწუხრში
სული ხდებოდა...

დღეს ახალ მხედარს,
ვხედავთ გაწვრთნილებს,
შეგნებულს, მცოდნეს,
რიგზე აღზრდილებს
ძველი წესები
არ უხშობს სულსა,
უცქერთ მხიარულს
ტრფობით ალესილებს!..

ვაშა თქვენს ზეიმს
ბრძოლას ათი წლის
ვაშა თქვენს სახეს
დიდებას რომ მკის!
ჩაგრულ ერების
პროლეტარიატს
იცავს მტრებისგან...

მუშა სიო ხიდისთაველი.

ცხენოსან საარტილერიო დივიზიის დაჯილდოება

ა.-კ. ცაკის დადგენილება

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად, ა.-კავკასიის მშრომელთა სახელით რევოლიუციონური წითელი დროშით აჯილდოებს ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელობის კავკასიის მეორე ცალკე საკავალერიო ბრიგადის ცხენოსან საარტილერიო დივიზიონს.

ათი წლის წინეთ სამოქალაქო ომის გამწვავების მომენტში შექმნილი ცხენოსანი საარტილერიო დივიზიონი თავისი ჩასახვის პირველ დღიდანვე ჩაება მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან. და თავისი სახელოვანი არსებობის მთელს მანძილზე მედგრად იდგა რევოლიუციის სადარაჯოზე. თეთრი გენერლების წინააღმდეგ ომებში და შეუწყვეტელ ბრძოლაში საბჭოების უფლების დასამყარებლად. დივიზიონმა გამოიჩინა ფოლადისებური სიმტკიცე ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად მაშინ, როდესაც უდიდესი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი მოუხმობს მას მშრომელთა ქვეყნის დასაცავად.

უძღვნის რა დივიზიონს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა სახელით წითელ დროშას, როგორც ჯილდოს და ნდობის სიმბოლოს, ა.-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას, რომ როგორც მტრებთან ბრძოლაში და მშრომელი კლასის მონაპოვართა დაცვაში, აგრეთვე მშვიდობიან სწავლაში ცხენოსანი საარტილერიო დივიზიონი ყოველთვის იდგომება კავკასიის წითელ დროშიან არმიის პირველ რიგებში.

ა. კ. ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა. კ. ცაკის მდივანი შავერდოვი.

ძველი და ახალი ყაზარმა

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მე შევიქენ მოწამე ერთი პატარა, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ამბის. სოფლიდან ჩამოვიდა თავისი შვილის, წითელი არმიელის სანახავად, ერთი ხანში შესული გლეხი. მეცადინეობა ყაზარმაში გათავებული იყო, წითელარმიელებმა მიიპატიჟეს თავისი ამხანაგის მამა ყაზარმაში, გააცნეს მეთაური, დაათვალიერებინეს ყაზარმა, საწოლი ოთახები, კლუბი, სამკითხველო და ბოლოს ავახშმეს კიდეც. როდესაც მამა ეთხოვებოდა თავის შვილს და მის ამხანაგებს, მას მოადგა თვალზე ცრემლები და წარმოსთქვა: „შვილებო! ბედნიერები ხართ, რომ არ მოესწარით ძველი დროის სალდათობას, ეხლა რა გიშავთ: გაცმევენ, გაჭმევენ, გასწავლიან, კაცებათ გხდიან. წყალ-წაღებული უნდა იყვეს ის, ვინც არ დააფასებს მთავრობის ამ ამაგს".

როდესაც შევდივარ წითელ ყაზარმაში, ყოველთვის მაგონდება მოხუცის ეს სიტყვები. მართლაც-და, კაცს არ შეუძლიან შეადაროს ძველი და ახალი ყაზარმა: ციხე, ცემა, პიროვნების აბუჩად აგდება, მოქალაქისაგან უსულო მანქანის გამომუშავება და სად ახალი ყაზარმა: სკოლა, ლაბარატორია, სადაც იზრდებიან ახალი ცხოვრების მშენებლები, სადაც ახალგაზრდობა იძენს სამხედრო ცოდნასა და გაწვრთნასთან ისეთსაც, რომელიც საჭიროა მშვიდობიან შრომის პირობებში.

ათი წელიწადია, რაც არსებობს მუშურ-გლეხური არმია. სამი წელიწადი ამ ათი წლიდან წითელ არმიამ გაატარა უმაგალითო ბრძოლებში საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების დასაცავად უამრავ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან.

წითელი არმიის ისტორია სავსეა გმირული ამბებით, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავთ ყოველი მოქალაქე.

შიშველი, ტიტველი, მშიერი წითელარმიელები იბრძოდნენ თავდაუზოგველად და იმარჯვებდნენ.

წითელი არმიის ბრძოლების ისტორიას ახსოვს ისეთი ამბები, როდესაც უიარაღო წითელარმიელები ცარიელი ხელებით მიდიოდნენ იერიშით მტერზე, ართმევდენ მათ არა მარტო თოფებს, არამედ ტანკებსაც.

გადახედეთ ბრძანებას. სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო აჯილდოებს გმირობისათვის წითელი დროშის ორდენით, საბრძოლო დროშებით ცალკე წითელარმიელებს, ლეგიონებს, დივიზიებს, არმიებს.

იმიტომ, რომ იგი ემსახურებოდა მშრომელთა საქმეს, იმიტომ, რომ მთელი ქვეყნის მშრომელთა სიმპატიები იყო მის მხარეზე.

ამით ვერ დაიკვეხებს არა მარტო ძველი რუსეთის არმია, არამედ ვერც ერთი სახელმწიფოს არმია.

წითელი არმია ბრძოლების შემდეგ შეუდგა მშვიდობიან შრომას.

დაიწყო წითელარმიელთა ნორმალური აღზრდა-სწავლება.

ახალმა წითელმა ყაზარმამ დაისახა მიზნად მომზადება მებრძოლის და მოქალაქის. ამოცანა ფრიად მძიმე და პასუხსაგები.

ეს ამოცანა ისევე ბრწყინვალედ იქნა შესრულებული წითელი ყაზარმის მიერ, როგორც განადგურება დენიკინის, კოლჩაკის და სხვათა.

წითელი ყაზარმა ზრდის თავის კედლებში ისეთ მებრძოლებს, რომლებმაც კარგათ იციან იარაღის ხმარება და იციან, თუ ვის წინააღმდეგ უნდა მოიმარჯვონ იგი.

ამით ვერ დაიკვეხებს ვერც ერთი ქვეყნის არმია. ეს არის წითელი ყაზარმის უდიდესი დამსახურება.

კომუნისტური პარტია—წითელი არმიის ბელადი და ხელმძღვანელი, რომელსაც მიჰყავს იგი გამარჯვებიდან-გამარჯვებამდე—უდიდეს ყურადღებით ეპყრობა წითელ ყაზარმას. იგი ზრუნავს წითელ ყაზარმაზე, ზრუნავს, რომ წითელ არმიელებმა იცოდნენ თუ ვინ არიან ისინი, რას ემსახურებიან, ვის უნდა ებრძოლონ საჭირო დროს.

და ამიტომაა არის, რომ საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმია უძლეველი ძალაა მშრომელთა ხელში. იგი თავზარს სცემს ყველა ჩვენ მტრებს და, თუ საჭირო იქნება, სალი კლდესავით აღიმართება მშრომელთა ქვეყნის დასაცავად.

ამის თავდებია წითელი არმიის მიერ განვლილი სახელოვანი გზა.

ე. ხ—ლი.

წითელი არმია მადლობას უხდის ხელოვნების მუშაკებს

სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის ხელმძღვანელობით ა. წ. 22 თებერვალს თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების კლუბში კულტშეფო მუშაობის სახით ჩატარებულ იქნა კონცერტი სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალების და სხ. კონსერვატორიის უფროსი კლასის მოწაფეთა მონაწილეობით. წითელარმიელთა და უფროსთა შემადგენლობამ აღტაცებით შეხვდა შემოსაზღვნილ ძალების გამოსვლებს კლუბში; ამხ. ფრუნზის სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზიის პოლ.-განყოფილება მხურვალე და გულითად მადლობას უძღვნის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე—ამხ. დ. ქიასამიძეს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ადგილებზე კონცერტების ჩატარებას, სახ. კონსერვატორიის რექტორს დ. არაყიშვილს, სახელმწიფო ოპერის ცნობილ დახელოვნებულ მსახიობებს ს. ინაშვილს და ნ. ქუმსიაშვილს, სახელმწიფო ოპერის დირექტორს ა. ხოფერიას, რომელმაც პირადად მიიღო მონაწილეობა კონცერტში, ამხ. პუმპურიძეს და სახ. კონსერვატორიის იმ მოწაფეთა და მასწავლებლებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონცერტში. დივიზიის პოლიტ-განყოფილება დარწმუნებულია, რომ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირი, როგორც კულტშეფი, მომავალშიაც განამტკიცებს თავის მუშაობას ამ მიმართულებით.

პოლიტგანყოფილების დავალებით
დ. ღოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
მარტისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის თავი

აჭარისტანის მშრომელთა სალამი საქართველოს მუშებს და გლეხებს

დღეს მუშები და გლეხები ზეიმობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის თავს.

მენშევიკური საზიზღარი რეჟიმის წინააღმდეგ დაიწყო შეტევა ყველა კუთხეებში. მუშები და გლეხები გამოვიდნენ და დაიწყეს ბრძოლა განთავისუფლებისათვის.

აჯანყებულთა ენერგია მიმართული იყო საქართველოს დედა-ქალაქზე—თბილისზე, სადაც გამაგრებული იყო მენშევიკების ბანდიტების ხროვა. კოჯორთან ბრძოლის შემდეგ ჟორდანიამ აუწყა ყველას, რომ „თბილისთან გაეთხრება საფლავი ბოლშევიკებსო". არ გასულა ორი დღე, რომ თვით მენშევიკებს გაეთხარა საფლავი და თბილისის სასახლეზე აფრიალდა აჯანყებულთა დროშა.

რა გაკეთდა ამ შვიდი წლის განმავლობაში?

პირველი—მოისპო ეროვნული შული სრულიად და მშვიდობიანობა დამყარდა.

აბა გავიხსენოთ მენშევიკების ბატონობის სამი წლის ხანა: აუარებელი, დაუსრულებელი ფრონტები ქვეყნის სხ. და სხ. კუთხეებში მუდმივი დამსჯ. ექსპედიციები და მზადება ომისთვის ან თვით ომი. მენშევიკურ აუტანელ, გარყვნილ რეჟიმს აუჯანყდნენ სამხრეთოსეთის გლეხები, დუშეთის მშრომელნი, აფხაზეთის მუშები და გლეხები, აჭარისტანი, ლეჩხუმი და სხვადასხვა კუთხეები.

მენშევიკურმა მთავრობამ მოკლე ხნის ბატონობის დროში სომხეთთან ომის წარმოებაც კი მოასწრო და არა ერთი საუკეთესო მუშა და გლეხი შეაკლა თავის და დაშნაკელების პროვოკაციას. და განა ყველა ის დამსჯელი ექსპედიციები, რომლითაც „დემოკრატიული მთავრობა" უმასპინძლდებოდა აჯანყებულ—არსებითად ომი არ იყო?

აბა, შეადარეთ ეს შვიდი წელი, როდესაც საქართველოს განაგებს საბჭოთა ხელისუფლება და ნათელი გახდება, რომ ამ ხნის განმავლობაში არ გავარდნილა არც ერთი თოფი მუშების და გლეხების წინააღმდეგ არ ყოფილა არავითარი ომი, ხალხი სრულიად დამშვიდებულია. მენშევიკების დროს მშრომელმა არასოდეს არ იცოდა ხვალ დილით ის სამუშაოზე წავიდოდა, თუ მოძმეს მოსაკლავად გაგზავნიდნენ მას.

დღეს სრული მშვიდობიანობაა, სრული სიწყნარეა და, მიუხედავად ათასგვარი პროვოკაციისა, საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვა, ომის თავიდან აცილება და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ტერიტორიიდან გარეკილი ვაჟბატონები ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების ჩათრევას ომში—ჩვენ განაგრძობთ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის და მხოლოდ მაშინ ამოვიღებთ ხმალს, როდესაც ჩვენს წითელ საზღვრებს მოადგებიან.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოფხვრილია ყოველგვარი ეროვნული შული და უთანხმოება და არასოდეს არ დაიღვრება მოძმე ხალხთა სისხლის ერთი წვეთი.

მეორე მომენტი არის არაჩვეულებრივი აღმშენებლობითი მუშაობა აჭარისტანში და ჩვენი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდით, რომ აჭარის წყალზე მოეწყობოდა ვეებერთელა ელსადგური, რომელიც აამოძრავებს და გაანათებს არა მარტო ბათომს, არამედ მთელ რიგ სოფლებსაც. ეს კი უახლოესი ხნის საქმეა. ამავე დროს ჩვენში აშენდა და კიდევ შენდება მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნებისა, რომელშიაც საკმაოთ იქნება აჭარელი ფუხარა. ეს არის საუკეთესო ძალა, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს აჭარისტანის შემდგომი განვითარებისათვის. აჭარისტანის ფუხარა გლეხობის ჩაბმა ჩვენს მრეწველობაში და მისგან კვალიფიკაციური მუშების მომზადება—ეს არის სრულიად ახალი ფურცელი განთავისუფლებულ აჭარისტანის ისტორიაში.

ამ შვიდი წლის განმავლობაში აჭარისტანის სოფელში მოხდა დიდი გარდატეხა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი მუშაობისათვის.

ჩვენი სოფლები დღეს, მოფენილია სკოლებით, სამკითხველოებით, ხმამაღლა მკითხავ წრეებით, საექიმო პუნქტებით, ახალი გზებით, კოოპერატივებით, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებით და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა სოფლებში დაარსებულია ქალთა წრეები, სადაც დიდი მუშაობა სწარმოებს აჭარელ ქალთა განვითარების საქმისათვის.

ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს განაგებენ თვით მშრომელი ხალხის მიერ არჩეული პირები და არა ზევიდან გაგზავნილი მოხელეები, როგორც ეს იყო მენშევიკების „საგანგებო კომისრების" თარეშის დროს.

დღეს საქართველოს მუშებისა და გლეხების სიხარულთან ერთად, ვზეიმობთ ჩვენც, აჭარლებიც, რომლებიც გაგვანთავისუფლა საქართველოს ოქტომბერმა— 25 თებერვალმა.

მიიღეთ აჭარისტანის მშრომელთა მხურვალე სალამი!

გაუმარჯოს 25 თებერვალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის შემოქმედებას!

მემედ გოგიბერიძე.

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

წითელი არმიის ათი წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავის გამო

ოპერის თეატრთან

გუშინ, საღამოს თბილისის პროლეტარიატმა სახელმწიფო ოპერის თეატრში ზეიმით გადაიხადა ორი მნიშვნელოვანი წლის თავი—ათი წლის შესრულება მუშურ-გლეხურ წითელი არმიის არსებობისა და შვიდი წელი მშრომელთა საქართველოს განთავისუფლებისა.

საღამოს 6 საათისათვის ოპერის თეატრის წინ თავი მოიყარეს კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილებმა, რომელნიც რევოლუციონური სიმღერებითა და აღფრთოვანებული ყიჟინით საზეიმო იერს აძლევდენ ათასფრად გაჩირაღდნებულ ქუჩებს.

სხდომის გახსნის წინ

7 საათისთვის თეატრი უკვე გაჭედილი იყო თბილისის საბჭოს წევრებით, წითელი არმიის, პროფკავშირების და მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. თეატრი შემკობილი იყო მრავალი პლაკატებით, რომელნიც კიდევ ერთხელ მოაგონებდენ თბილისის პროლეტარიატს საუკეთესო წარმომადგენლებს წითელი არმიის დიად ღვაწლს და საქართველოს გასაბჭოების უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

7 საათზე აიხადა ფარდა და მშრომელთა წარმომადგენლებით გაჭედილ დარბაზის წინაშე გამოჩნდა იშვიათი სანახაობა: ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევლებით, დროშებით მორთული და მხედართა შუბებზე დაკიდულ ბაირაღებით აფერადებული სცენა, რომლის შუაშიც აღმართული იყო დიდი ბელადის—ლენინის ქანდაკება, გამოსახავდა ჩვენი წითელი არმიის და მასთან ერთად მთელი მშრომელთა კავშირის ძლევამოსილებას.

საზეიმო სხდომის გახსნა

თბილისის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მეზღვაურთა საბჭოს საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. [illegible] ბოლქვაძე, რომელიც შემდეგი სიტყვით მიმართავს თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებს: „ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ათი წლის და საქართველოს განთავისუფლებისათვის შვიდი წლის თავის სადღესასწაულოდ. მუშათა და გლეხთა არმიამ, რომელიც იშვა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, ფეხ დაუდებელი ღვაწლი დასდო არა მარტო ყოფილ რუსეთის იმპერიის, არამედ მთელი კაცობრიობის დაჩაგრულ კლასებს და დამონავებულ ერებს. იგი არის პროლეტარიატის დიქტატურის უძლიერესი პოლიტიკური ძალა, რომელიც დარაჯად უდგას ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას, ჩვენი გლეხობის მშვიდობიან შრომას. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სიმტკიცეს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაისმის მქუხარე ტაში და მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით,—ამბობს ხნოვანი ბელადი მიხა ცხაკაია, — ჩვენი ქვეყნის მშრომელთ ვულოცავ ამ ორ დიად დღესასწაულს. წითელი არმია და საბჭოთა საქართველო ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ერთი ბედით. წითელი არმიის გამარჯვებამ, მისმა ძლევამოსილმა წინსვლამ, მისმა შეუდარებელმა მარჯვენამ შექმნა მშრომელთა თავისუფალი საქართველო. წითელი არმია პირმშო შვილია ოქტომბრის რევოლიუციის, რომელმაც ჩაგვრისა და მონობის უღელი აიცილა კისრიდან დაჩაგრულ კლასებს და მეფის იმპერიალიზმისაგან გაწამებულ ხალხებს. ოქტომბრის რევოლიუციამ ეს დიდი საქმე შეასრულა წითელი არმიის დახმარებით, მისი მედგარი ბრძოლით. მრავალი მსხვერპლი. მრავალი თავდადებული მებრძოლი შესწირა მან მშრომელთა კლასების და დამონებულ ერების განთავისუფლებას. ჩვენი ვალია მოვიგონოთ მათი დამსახურება და ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ბრწყინვალე ხსოვნას.

მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს და მთელი დარბაზი ფეხზე დგება.

წითელი დროშის ორდენის გადაცემა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილებისათვის

დარბაზიდან სცენაზე გადის კავკასიის წითელდროშოვან არმიის კავალერიის № დივიზიის წარმომადგენელი.

— ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია, — გამოსთქვამს თავის აღფრთოვანებას კავკასიის წითელდროშოვან არმიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილის — კავალერიის № დივიზიის გმირული წარსულით, ადგენს წითელი დროშით დააჯილდოვოს იგი და გადასცეს წითელი დროშა. დეე, ეს დროშა წითელი არმიის ხელში ლაღად ფრიალებდეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი შრომის ზევით და წითელ არმიის მომავალ თავგანწირულ ბრძოლების დროს! (მქუხარე ტაში).

ამხ. ცხაკაიასაგან დროშას იბარებს № ცხენოსანთა დივიზიის წარმომადგენელი, რომელიც საზეიმო სხდომას მოახსენებს შემდეგს: „ამ დროშის ქვეშ მთელ წითელ არმიასთან ერთად ჩვენი ნაწილი მედგრად დაიცავს მშრომელთა დიად საქმეს! (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

— № საპიორთა ბატალიონმა, — აცხადებს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, — უდიდესი სამსახური გაუწია სვანეთის მშრომელ მოსახლეობას. ორი წლის განმავლობაში მეტად მძიმე პირობებში იგი დაუღალავ შრომას აწარმოებდა სვანეთის მიუვალ მთებში გზატკეცილის გასაყვანად. ამ მუშაობის დროს მან არ იცოდა დასვენება, არ იცოდა დაღლა. სვანეთის გლეხობა ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამ სამხედრო ნაწილის მიერ გაწეულ სამსახურს. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს მის მიმართ ღრმა მადლობას და აჯილდოვებს მას წითელი დროშის ორდენით. ცაკმა დაადგინა აგრეთვე, რომ აღძრას შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ ნიშნად სვანეთის ხალხის წითელი ჯარისადმი ღრმა პატივისცემისა და მადლობისა მიეკუთვნოს ამ ბატალიონს სვანეთის სახელწოდება. (მქუხარე ტაში).

ამხ. ფილიპე მახარაძისაგან დროშას იბარებს № საპიორთა ბატალიონის წარმომადგენელი ამხ. ლებედევი, რომელიც ამხ. ფილიპეს საპასუხოდ ამბობს შემდეგს: „წითელი ჯარი, რომელიც შესდგება თავისი მოვალეობის მცოდნე და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მშრომელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისგან, შემდეგისათვისაც არ დაზოგავს თავის ძალას, თავის ცოდნას და თავის სიცოცხლეს სოციალისტური აღმშენებლობისა და პროლეტარული ქვეყნის თავდაცვისათვის.

წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენლებისათვის წითელი დროშების და წითელი დროშის ორდენის სიგელების გადაცემას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

თბ. საბჭოს დელეგაცია წითელი არმიის ნაწილების მისასალმებლად

თეატრის შენობის წინ შეკრებილი წითელ არმიის ნაწილების მისასალმებლად სხდომა ირჩევს დელეგაციას, რომელშიდაც შედიან ამხ. ცხაკაია, გიორგაძე, ვასილიევი, დემეტრაშვილი, თაკაჯიანი, ვარო ჯაფარიძე, მარიამ ორახელაშვილი, ივანოვ-კავკაზკი, სტეფანოვი, დემეტრაძე, ჩირგიშვილი, მესხი და დოლიძე.

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. ფილიპე მახარაძეს.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცეკასა და მთავრობის სახელით მივესალმები ჩვენი სახელოვან წითელ არმიის ათი წლის თავს. ჩვენი საზეიმო სხდომა მიძღვნილია, ერთი მხრით, ჩვენი მუშურ-გლეხური არმიის არსებობის ათი წლის თავისა და მეორე მხრივ, საქართველოს განთავისუფლების შვიდი წლის თავისათვის. ამ ორი დღესასწაულის შეხვედრა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება შემთხვევითი არ არის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტი საქართველოში განუყრელია წითელი არმიის სახელთან. მენშევიკებისაგან შევიწროებულს, იმპერიალისტების რკალით გარშემორტყმულს, საქართველოს აჯანყებულ მშრომელ ხალხს მან პირველად გაუწოდა ხელი ან საბოლოოდ იხსნა იგი საუკუნო ჩაგვრა-მონობისაგან. იგი მტკიცე დარაჯათ ამოუდგა მის მშვიდობიან შრომას, მის კულტურულ და სამეურნეო მშენებლობას. წითელი ჯარის რევოლიუციონური შეგნება, მისი იშვიათი სამხედრო მომზადება, მისი შეუპოვარი გმირობა თავდებია მთელი ქვეყნის მშრომელთა გამარჯვებისა, — რისხვაა საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრების, რომელნიც აშკარად ემზადებიან მშრომელთა ქვეყნის შესამუსრად. გაუმარჯოს წითელ ჯარს, მისი რიგების შემჭიდროებას, მის მთლიანობას მშრომელ გლეხობასთან და მუშათა კლასთან! (მქუხარე ტაში).

ამხ. აბელ ენუქიძის სიტყვა

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვის დამთავრების შემდეგ საზეიმო სხდომა მოსკოვიდან რადიოთი ისმენს ამხ. აბელ ენუქიძის შემდეგ მისალმებას: „საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით სალამი საქართველოს ხალხს — მუშებსა და გლეხებს. რომელთაც იმ თავითვე მტკიცედ შეგნებული ჰქონდათ, რომ საქართველოს ხალხის განთავისუფლება დამოკიდებულია ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა ხალხების საერთო განთავისუფლებაზე. ქართველი ხალხი რუსეთის პროლეტარიატთან ერთადერთ რიგებში მჭიდროდ გაერთიანებული მედგრად იბრძოდა თვითმპყრობელობის დასამხობად და მხურვალე მონაწილეობას იღებდა რუსეთის ხალხების განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ქართველმა ხალხმა თავისი მომავალი მჭიდროდ დაუკავშირა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობას. სასტიკად მოსტყუვდნენ ისინი, რომელთაც სცადეს ამ რევოლიუციონური წარსულით ერთი-მეორესთან დაკავშირებულ საქართველოს და რუსეთის ხალხების ერთი-მეორისაგან დაშორება. სასტიკად მოსტყუვდნენ ისინი, რომელთაც ზურგი შეაქციეს რევოლიუციონურ თანამებრძოლ ხალხს. ისტორიამ სასტიკად დასაჯა ისინი ამისათვის, ხოლო ქართველმა ხალხმა განაგრძო სიარული ნაცადი რევოლიუციონური გზით, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ქართველი ხალხი შესძლებდა თავის ნაციონალურ სახის გამოაშკარავებას, მხოლოდ მაშინ, თუ მჭიდრო კავშირი ექნებოდა მასთან, რომელთა გვერდით იგი იბრძოდა. მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში დაბრუნებით ქართველი ხალხი შესდგა თავისი ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებულ ქართველმა ხალხმა ადვილად დააღწია თავი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით გამოწვეულ ნგრევის შედეგებს, და დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ კულტურულ-სამეურნეო მშენებლობაში. მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველო არ ჩამორჩენია კავშირის სხვა რესპუბლიკებს და ბევრი რამ მიუძღვნა მუშებს და გლეხებს. გაერთიანებული ძალღონით, შეთანხმებული მუშაობით, მომავალში იგი მტკიცე დარაჯათ ამოუდგა მის მშვიდაიჭერს ერთ პირველ ადგილს მოძმე რესპუბლიკებს შორის. ჩვენი მოწოდებაა—ქართველი ხალხისადმი — გააძლიერეთ თქვენი ენერგია, გააორკეცეთ თქვენი ენტუზიაზმი, უფრო შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები და სხვა ერებთან ერთად გაცხოველებული მხნეობით აშენეთ საბჭოთა რესპუბლიკების დიადი კავშირი!

ამხ. აბელ ენუქიძის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში.

ამხ. შალვა ელიავას სიტყვა

ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მე წილად მხვდა მივესალმო ორ იუბილიარს—წითელი არმიის და თავისუფალ საბჭოთა საქართველოს. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ორი დღესასწაული ერთმანეთს დაუკავშირდა. წითელი არმია, რომელიც შექმნა დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ, არის მშობელი ყოფილ რუსეთის დამონებულ ერთა თავისუფლების. სამი დიდი ამოცანა დააკისრა გამარჯვებულმა რევოლიუციონურმა ხალხმა მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს: რევოლიუციის წინააღმდეგ მახვილამართულ გარეშე და შინაურ კონტრ-რევოლიუციის განადგურება, მეფის იმპერიის მიერ დამონებულ ერთა განთავისუფლება და მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობის დაცვა. სამივე ეს დავალება წითელმა არმიამ ბრწყინვალედ შეასრულა. და დღეს იგი სამედო ყავარჯენია ყველა იმ მებრძოლ მშრომელთა, რომელნიც სისხლსა ღვრიან იმპერიალისტურ უღლის გადასაგდებად. (მქუხარე ტაში).

ამხ. ლევანდოვსკის სიტყვა

ამხ. ლევანდოვსკი, რომელსაც დარბაზი ოვაციებს უმართავს, თავის სიტყვას ასე იწყებს: „ნება მიბოძეთ წითელი ჯარის სახელით გადმოგცეთ მხურვალე სალამი და მოგახსენოთ გულწრფელი მადლობა"!

შემდეგ ამხ. ლევანდოვსკი მოკლე მიმოხილვას უკეთებს კავკასიის წითელდროშოვან არმიის მიღწევებს და ამბობს, რომ ამ არმიის სხვადასხვა ნაწილებს თავისი სამხედრო მომზადებით პირველი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის არმიებს შორის. ჩვენი ჯარის შეგნება, მისი სამხედრო გაწვრთნა ყველას გასაგონად ლაპარაკობს, რომ ჩვენს აღმშენებლობას დარაჯად სამედო ძალა უდგას. (ტაში და ოვაციები).

საქართველოს პროფსაბჭოს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის წარმომადგენელთა მისალმება

შემდეგ ყრილობას საქართვ. პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ამხ. ბ. მახაიძე: ზეიმზე ცხადდება საკურორტო ყრილობის დელეგაცია, რომლის სახელით სიტყვას ამბობს ექ. ჯავახიშვილი. შემდეგ ყრილობა ისმენს წითელი არმიის წარმომადგენლების, რკინიგზის სახელოსნოს, მუშა-ქალების წარმომადგენლის ლურსმანიშვილის მისალმებას.

დასასრულ საბჭოს საზეიმო სხდომამ მიიღო თბილისის საბჭოს მიმართვა წითელი არმიისადმი. საზეიმო სხდომა დასრულდა ინტერნაციონალით. სხდომის შემდეგ დამსწრეებისათვის გაიმართა წარმოდგენა.

თბილისის საბჭოს მიმართვა წითელ არმიისადმი

ამხანაგო წითელ-არმიელნო, წითელფლოტელებო, მეთაურნო, კომისრებო და პოლიტ-მუშაკნო!

მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ათი წლის თავის დღესასწაულის ისტორიულ დღეს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭო, ქ. თბილისის პროლეტარიატის და მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით.

ათი წლის წინად, 1918 წლის 23 თებერვალს — საბჭოთა მთავრობის დეკრეტით ჩაეყარა საფუძველი მთელ მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა გლეხობამ მსოფლიო იმპერიალიზმის, მემამულეების, კაპიტალისტების და მენშევიკ-ესერების გაერთიანებულ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ბრძოლის ქარცეცხლში გამოსჭედა თავისი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც მემკვიდრეა მუშათა წითელ გვარდიის რაზმებისა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეშ წითელმა არმიამ, რომელიც გამსჭვალული იყო კლასიური სიძულვილით მშრომელთა საუკუნოებრივ მჩაგვრელების მიმართ, სისხლიან ბრძოლებში გადიტანა საზღაპრო გაჭირვება, სიმშილი, სიცივე და დაიცვა დიდი სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვარი.

მან მოსპო მეფის გენერლების თეთრგვარდიელთა ბრბოები, განდევნა საბჭოთა ქვეყნიდან იმპერიალისტ-მტაცებელთა ჯარები. მოიგერია თეთრ-პოლონელთა თავდასხმა და უზრუნველმყო მშრომელებს გადასვლა ძლიერ-მოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე.

მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატი და მისი წითელი არმია აწარმოებდა კლასიურ ბრძოლას პროლეტარულ რევოლიუციის უთვალავ მტრების წინააღმდეგ ა.-კავკასიის მშრომელი მასა, მსოფლიო იმპერიალიზმის და მისი აგენტების მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატების მძიმე უღელ ქვეშ გმინავდა. იმისათვის, რომ ჩაეღრჩოთ რევოლიუციონური მოძრაობა, მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატები აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს და შოვინიზმს ხალხთა შორის და პროვოკაციონური მეთოდებით აწყობდნენ სისხლის ღვრას.

საქართველოს პროლეტარიატის და რევოლიუციონურ გლეხობის გმირული ცდები მენშევიკურ მოძალადეების ჩამოსაგდებად—უშედეგო სისხლის ღვრით თავდებოდა.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მხოლოდ ბრწყინვალე წითელ არმიის დახმარების წყალობით და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით დაამხვეს საზიზღარი კონტრ-რევოლიუციონური მენშევიკები.

საქართველოს მშრომელები დიდათ აფასებენ და არასოდეს არ დაივიწყებენ მე-11, ეხლა უკვე კავკასიის წითელდროშოვან არმიის ძმურ დახმარებას, კლასიურ მონობიდან განთავისუფლების საქმეში.

საქართველოს მშრომელებმა — კავკასიის წითელდროშოვან არმიის გამოცდილ ხელმძღვანელობით შექმნეს ნაციონალური წითელი ჯარები, რომლებიც მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

წითელი არმიის 10 წლის თავზე და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე — ქართული დივიზიები — საბჭოთა ხელისუფლების მედგარ ძალას წარმოადგენს. მათ თავიანთი პოლიტიკური სიმწიფე და ერთგულება მუშათა კლასისადმი დაამტკიცეს ჯერ კიდევ 1924 წლის აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურის დროს.

წითელი არმია მთელი მსოფლიოს და ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელების მარტო შეიარაღებულ ძლიერებას კი არ წარმოადგენს, არამედ ის სკოლაა, რომელიც ამზადებს სოციალისტურ მეურნეობის და კულტურის აქტიურ მშენებლებს. წითელმა არმიამ მოგვცა შეგნებული და თავდადებული მუშაკები. ასეულები და ათასეულები მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში სამუშაოდ.

მუშათა და გლეხთა ფართე მასების ყოველმხრივ დახმარების წყალობით, წითელი არმია მუდამ მტკიცე, ძლიერი და ურყევი იყო, ის მუდამ იყო და იქნება ძმურ კავშირში ჩვენი სოციალისტურ ქვეყნის მშრომელებთან.

სამოქალაქო ომის წლებში მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა გლეხობამ შესძლეს მჭიდროდ დაკავშირება თავის შეიარაღებულ ავანგარდთან, ეხლა მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობის პირობებში არ ივიწყებს რა თავის რევოლიუციონურ ამოცანას, ხელახლად ამტკიცებს ძმურ კავშირს თავის არმიასთან.

თბილისის პროლეტარიატი და მთელი საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასა მუდამ დიდის ყურადღებით, სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობოდა მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და დღეს უფრო მეტად განამტკიცებს მასთან ძმურ კავშირს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები თავის წითელ არმიის იუბილეს აწყობენ იმ მომენტში, როდესაც მსოფლიო კაპიტალის იმპერიალისტები - მტაცებლები, სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალ ომს ამზადებენ.

დიდ საბჭოთა რესპუბლიკას სურს ზავი, საბჭოთა მთავრობა თავგამოდებით იბრძვის მშვიდობიანობისათვის და წითელი არმია იცავს სოციალიზმის მშვიდობიან მშენებლობას, მაგრამ თუ მსოფლიო იმპერიალიზმი გაბედავს მახვილის აღებას პროლეტარულ დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია ერთსულოვნად აღუდგება წინ.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს—კავკასიის წითელდროშოვან არმიას!

საუკუნო ხსოვნა სოციალისტურ რევოლიუციისათვის დაღუპულ გმირებს!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მე-7-ე წლის თავს!

გაუმარჯოს ბელადს და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის შეიარაღებულ რაზმების ორგანიზატორს — ს. კ. პ. (ბ)!

სამშაბათს, 28 თებერვალს დილის 11 საათზე
ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში
(რუსთაველის გამზირი, № 24)

შესდგება თათბირი

რომელზედაც უნდა გაირჩეს ფორმები და მეთოდები მომავალი ფართო (მასიურ) გამოკვლევისა:

„საბჭოთა (პროლეტარულ) დემოკრატიის განხორციელება"

თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

ამიერ-კავკასიის ცაკის, საქართველოს ცაკის, თბილისის საბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის, საკ. ლენ. ახ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენ. ახ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს და ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლები;

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 1, 2, 3 და 4 რაიონულ კომიტეტების წარმომადგენლები;

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მუშა ქალთა განყოფილებების წარმომადგენლები;

გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს, „რაბოჩაია პრავდა"-ს, „კომუნისტ"-ის, „ახალი სოფლი"-ს რედაქციების და მუშკორთა ბიუროების წარმომადგენლები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი**

მისალმებანი საქართველოს მშრომელთ

ა.-ქ. პროფკავშირთა საბჭოსაგან

პროფესიონალური კავშირების ამიერ-კავკასიის საბჭო პროლეტარულ სალამს უძღვნის საქართველოს მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის თავზე.

საქართველოს მშრომელი მასების მიერ გაძევებულნი ყოფილი მმართველნი,—მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკები,—იმპერიალისტებისა და მათი ერთგული ლაქიების სოციალ-გამცემლების დახმარებით განაგრძობენ თავის უმსგავსო საქმეს, ცდილობენ დაბრკოლება შეუქმნან მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას და ეროვნული შუღლი ჩამოაგდონ მრავალტომიან ამიერ-კავკასიის პროლეტარებს შორის.

მაგრამ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი მტკიცეთ სდგას თავის მონაპოვართა სადარაჯოზე!

განვლილი შვიდი წელი ეროვნული მშვიდობიანობის ნათელი მაგალითია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი ამიერ-კავკასიაში; იგი აშკარად ადასტურებს აგრეთვე იმ დიდ წარმატებას რომელსაც მუყაითი შრომით მიაღწიეს საბჭოთა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასების ინტერნაციონალურ სოლიდარობას!

ა.-ქ. პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმი.

აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლისა და მშენებლობის მერვე წლის მიჯნაზე აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭო უძღვნის მათ მხურვალე სალამს და შემდგომ წარმატებათა გულწრფელ სურვილებს საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

ყვითელ ინტერნაციონალის ბელადების მთელი ხროვის გააფთრებულ ღრიალის მიუხედავად საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შვიდი წლის წინად საბოლოოდ აიღეს საკუთარ ხელში თავისი ბედიღბალი და გააძევეს პატიოსან მშრომელ ოჯახიდან იმპერიალიზმის აგენტები და ამის შემდეგ მშრომელთა გმირული აღტყინება არაერთხელ იგერიებდა მსოფლიო ბურჟუაზიის დახმარებით შეტევაზე გადმოსულ მენშევიკებს, რომლებიც ეხლა საბოლოოდ დაადგნენ აშკარა ფაშიზმის გზას.

ბუნებრივ სიმდიდრით სავსე საქართველოს მუშები და გლეხები იცავდნენ პროლეტარიატის დიქტატურას ამ გაკოტრებულ ავანტიურისტების თავდასხმისაგან, ენერგიულად აწარმოებდნენ სახალხო მეურნეობის აღმშენებლობას და თავის ღონისძიებებს უკავშირებდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს. ბრწყინვალე მიღწევებმა სამეურნეო აღმშენებლობის ასპარეზზე უკვე ეხლა მნიშვნელოვნად შესცვალეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ეკონომიური სახე. მყვიდრო ენერგეტიული ბაზა — ზემოავჭალის ჰიდროსადგური ამოძრავებს ახალ-ახალ ფაბ-კებს და ქარხნებს, გლეხური მეურნეობა გადაჭრით გადადის რენტაბელურ ძვირფას კულტურების გზაზე და თანდათან იზრდება მისი საქონლიანობა. განაყოფიერებული დიდი ოქტომბრის განმათავისუფლებელი სითბოთ, საქართველოს ათასწლოვანი კულტურა დღეს გადაიფურჩქნა საუცხოვო თაიგულად. ქართულმა უნივერსიტეტმა, ლიტერატურამ, თეატრმა უკანასკნელ წლებში ფართოდ გაითქვა სახელი, ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეთ, რაც იწვევს მშრომელთა მეგობრების გულწრფელ აღტაცებას და მათი მტრების შურსა და ლვარძლს. შვიდი წლის საერთო ბრძოლის და ახალ საზოგადოების მშენებლობის შედეგად მიღწეული ჭეშმარიტი ინტერნაციონალობა შესაძლებელს ხდის უკვე ახლო მომავალში იქნას განხორციელებული გრანდიოზული სამეურნეო წარმოებანი, — ნავთის ახალ წყაროების დამუშავება და სხვ., საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები თამამად ფურცლავენ თავის განვითარების მეშვიდე ფურცელს და იმედიანად შედიან ახალ ცხოვრების ინტენსიურ მშენებლობის მერვე წელში. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხალხების კავშირი და ურყევ ნაციონალურ მშვიდობიანობის ყოველ წლობით განმტკიცება უზრუნველყოფს სოციალიზმის სწრაფ გამარჯვებას საბჭოთა რესპუბლიკებში.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მერვე წელს მისი სოციალისტური აღმშენებლობისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხალხების მეგობრულ ოჯახში!

აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მუსაბეკოვი.**

სომხეთის ცაკისაგან

სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა სახელით სომხეთის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მხურვალეთ ესალმება საქართველოს მუშებს და გლეხებს, საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიათა მთავრობის ჩამოგდების და მშრომელთა ფართო მასების მისწრაფებათა გამომხატველი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლისთავის შესრულების გამო.

7 წელია საქართველოს მუშები და გლეხები ა.-კ. სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ძმური კავშირის განმტკიცებით ხელს უწყობენ სოციალისტური აღმშენებლობის აღორძინებას მთელ ამიერ-კავკასიაში. 7 წელია საქართველოს მუშების და გლეხების ფოლადისებური რიგები კომპარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებას გამარჯვებაზე პოულობენ, საქართველოს სულთამხუთავ ნაციონალიზმის უკანასკნელ წარმომადგენლებთან ბრძოლაში.

სომხეთის მშრომელნიც, რომელთაც სულ ახლო წარსულში გამოსცადეს ნაციონალისტურ-დაშნაკურ პარტიების ბატონობა, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა მტრების ფრონტი მთლიანად მიმართულია ა.-კ. მშრომელთა რესპუბლიკების ფედერაციის წინააღმდეგ. საქართველოს გასაბჭოების დღესასწაული არის ამიერ-კავკასიის მთელ მშრომელთა დღესასწაული და იგი მომასწავებელია ახალი ხანის დაწყებისა. ა.-კ. ფედერაციის განმავლობაში. საქართველოს მუშებისა და გლეხების გამარჯვებანი, მიღწევანი სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე და გამარჯვებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საერთო მტრებთან ბრძოლაში — კიდევ უფრო აძლიერებენ რევოლიუციონურ ენტუზიაზმს სომხეთის მუშათა და გლეხთა რიგებში.

სომხეთის მშრომელნი აღფრთოვანებული არიან საქართველოში სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე მიღწეული გამარჯვებებით, რაც მოწმობს ამიერ-კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის საბოლოო განმტკიცებას.

გაუმარჯოს, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს ა.-კ. ფედერაციას.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირს!

სომხეთის ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **კარინიანი.**

ცაკის მდივანი — **დამტოიანი.**

სომხეთის სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავზე სომხეთის სახ. კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მოძმე რესპუბლიკის მშრომელთ. ყველასათვის უდავო მნიშვნელოვანი მიღწევები სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის სფეროში წარმოადგენს შემდგომი წარმატებების საუკეთესო გარანტიას და სილის გაწევას მუშურ გლეხურ საქართველოს ყველა მტრებისათვის. სომხეთის სახ. კომისართა საბჭო ღრმად არის დარწმუნებული, რომ საქართველოს მუშები და გლეხები სოციალისტური აღმშენებლობის მერვე წელში კიდევ მეტი ენერგიით და სიმტკიცით განაგრძობენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

სომხეთის სახკომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

აფხაზეთის მთავრობისაგან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავზე აფხაზეთის მშრომელები მხურვალ ძმურ სალამს უძღვნიან თავისუფალ საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომელთაც მოიშორეს მენშევიკების ჩაგვრის უღელი და ამით განთავისუფლეს აფხაზეთის მშრომელნიც. აფხაზეთის მშრომელნი, რომელთაც თავისი არსებობა დაუკავშირეს საქართველოს მოძმე ხალხს, აღფრთოვანებული ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, რომელიც მტკიცედ და შეურყევლად მიდის წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ჩანბა.**

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს მავ-

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლაკობა.**

გერმანელმა მენშევიკებმა ჩაშალეს მელითონეთა გაფიცვა

სპარსეთი უარს ამბობს ინგლისის მოთხოვნილებების შესრულებაზე

იტალია უარყოფს „უშიშროების გარანტიების" საფრანგეთის პროექტს

გერმანელ მელითონეთა ბრძოლა

მელითონეებმა გადასწყვიტეს სამუშაოზე დაბრუნება

ბერლინი, 24 თებერვალი. ჰალლეში მოწვეულ სადელეგატო კონფერენციასთან ერთად, რომელმაც 22 თებერვლის სხდომაზე დაადგინა გაფიცვის გაგრძელება, ანალოგიური სადელეგატო კონფერენციები შესდგა აგრეთვე მაგდებურგში, დესაუში და შტასფურტში. შტასფურტის კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის გაგრძელების შესახებ. მაგდებურგში და დესაუში რეფორმისტებმა აიყვანეს თავიანთი რეზოლიუციები გაფიცვის შეწყვეტისა და სამუშაოზე დაბრუნების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებამ დიდი მღელვარება გამოიწვია გაფიცულთა შორის. ვინაიდან საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ და ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გერმანიის მელითონეთა საოლქო კონფერენციამ და მაგდებურგ-დესსაუს სადელეგატო კონფერენციებმა, ამიტომ გაფიცვის გაგრძელება მიჩნეულია მიზანშეუწონლად.

დღეს მუშაობა განახლდა ყველგან. მაგდებურგ-დესაუდან იტყობინებიან, რომ მეწარმეებმა დაიწყეს ზოგიერთი მუშების დათხოვნა. (ადს).

ინგლის-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავება

სპარსეთი უარყოფს ინგლისის მოთხოვნილებებს

ლონდონი, 23 თებერვალი. „ტაიმსის" კორესპონდენტი დაწვრილებით იტყობინება იმ ნოტის შინაარსს, რომელიც ინგლისმა გაუგზავნა სპარსეთის მთავრობას და რომლის გამოც თემთა პალატაში ჩემბერლენს შეკითხვები მისცეს. (ჩემბერლენი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მოერიდა და განაცხადა რომ მან არ იცის, თუ რომელი ნოტის შესახებ ეკითხებიან, ვინაიდან ინგლისი და სპარსეთი ერთმანეთს „თითქმის მუდმივ უგზავნიან ნოტებს").

კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისმა თავის ნოტაში სპარსეთის მთავრობას შემდეგი ოთხი მოთხოვნილება წარუდგინა: ირაქსა და ინდოეთს შორის საჰაერო მიმოსვლის ნებართვა სამხრეთ სპარსეთის გზით; სპარსეთის მიერ ირაქის ცნობა; შეიხ მოხამერის უფლებათა აღდგენა (შეიხი მოხამერი ცდილობდა აჯანყება გამოეწვია ხუზისტანში); ორი მილ. გირვანქა სტერლინგის გადახდა იმ თოფებში, რომლებიც ინგლისმა მიაწოდა სპარსეთის არმიას.

სპარსეთმა საპასუხო ნოტაში უარყო ყველა ეს მოთხოვნილებები. პირველი საკითხის გამო სპარსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის სპარსეთის გზით ირაქსა და ინდოეთს შორის საჰაერო მიმოსვლის ნებას დართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმოსვლის ხაზი გაივლის თეირანზე. ისპაჰანზე და სპარსეთის სხვა დიდ ქალაქებზე, აგრეთვე თუ გერმანიის ფირმას „იუნკერსს", რომელიც საჰაერო მიმოსვლას აწარმოებს სპარსეთში, ნება ექნება, რომ საჰაერო მიმოსვლა მოაწყოს თეირანსა და ბაღდადს შორის (ირაქში).

ირაქთან ურთიერთობის გამო, სპარსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ირაქის ცნობა დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე, კერძოდ, სპარსეთის მთავრობა წინააღმდეგია, რომ ირაქის ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდეს შატელ-არაბი. სპარსეთის მთავრობა წინააღმდეგია აგრეთვე ირაქის კანონისა ქვეშევრდომობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ირაქში მცხოვრები სპარსელები ირაქის ქვეშევრდომებად ხდებიან. ბოლოს, სპარსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ სპარსელებს ირაქში ისეთივე უფლებები ჰქონდეთ სამოსამართლო საქმეებში, როგორიც ევროპის სახელმწიფოებისა და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს აქვთ.

მესამე საკითხის გამო, ე. ი. შეიხ მოხამერის საკითხის გამო, სპარსეთი აცხადებს, რომ ეს საკითხი სპარსეთის შინაური საქმეა და ინგლისს უფლება არა აქვს მასში ჩაერიოს.

ბოლოს, ინგლისთან ფულადი ანგარიშის გასწორების გამო სპარსეთის მთავრობა თავის საპასუხო ნოტაში კონტრ-მოთხოვნილებას უდგენს ინგლისს, სახელდობრ, მოითხოვს რომ ინგლისმა აუნაზღაუროს სპარსეთს ის ზარალი, რომელიც მიაყენა მას ინგლისის ოკუპაციამ სპარსეთში (ადს).

უშიშროების კომისიის სესია

იტალიის პრესა უშიშროების კომიტეტის სესიის შესახებ

რომი, 23, თებერვალი. იტალიის პრესა თავის აზრს არ გამოსთქვამს უშიშროების კომიტეტის სესიის მუშაობის შესახებ. მხოლოდ გაზეთი „ტრიბუნ" სწერს: „საფრანგეთის ფორმულა, რომ უშიშროების გარანტიების მიღება წინ უნდა უძღოდეს განიარაღებასო, ნიშნავს ცდას შეუმჩნევლად განხორციელდეს 1924 წლის ჟენევის ოქმი. ამიტომ ძალიან კარგად მოიქცა იტალიის წარმომადგენელი მარინოხი, როცა სთქვა, რომ იტალია უარყოფით უცქერის უშიშროების საყოველთაო გარანტიის შექმნის პრინციპსო. იტალია ყოველგვარი გარანტიის წინააღმდეგია ერთ წერტილზე, იგი საუკუნოდ დაუმკვიდრებდა და კოლონიალურ ტერიტორიებს იმ ქვეყნებს, რომლებმაც ისინი ხელში ჩაიგდეს, ხოლო ისეთ ერებს როგორიც იტალია, არა აქვთ თავისი საჭიროების შესაფერი ტერიტორიალური სამფლობელო და ამიტომ მათ მუდმივი სიღატაკე უნდა მოელოდეთ".

უნგრეთი აბუჩად იგდებს ერთა-ლიგას.

პარიზი, 23 თებერვალი. ბურჟუაზიული და სოციალისტური პრესა ერთა ლიგის გამოწვევად სთვლის იმას, რომ უნგრეთის მთავრობამ მოსპო იარაღის ტრანსპორტი, რომელმაც გამოიწვია სან-გოტარდის ინციდენტი. გაზეთები მოითხოვენ, რათა ერთა ლიგამ მიიღოს ენერგიული ზომები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მის პრესტიჟს დიდი საფრთხე ელის. (ადს).

ჟენევა, 23 თებერვალი. უნგრეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ აუქციონით გაიყიდება სან-გოტარდში დაკავებული ტყვიამფრქვევლები, მღელვარება გამოიწვია მცირე ანტანტის ქვეყნების დელეგაციების წრეებში. ეს წრეები ფიქრობენ, რომ უნგრეთის მთავრობას ამ ნაბიჯით სურს ცხადყოს, რომ იგი ანგარიშს არ უწევს ერთა ლიგის საბჭოს აზრს. ისინი აცხადებენ, რომ ერთა ლიგის საბჭომ უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილოს ეს საკითხი. ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დრუმმონდმა უნგრეთის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც წინადადებას აძლევს თავი შეიკავოს სან-გოტარდის ინციდენტის დამოუკიდებლად ლიკვიდაციისაგან. (ადს).

ამერიკელი მწერალი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა დრეიზერმა, რომელიც დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც იგი დაესწრო ოქტომბრის დღესასწაულს, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დიდის ქებით მოიხსენია საბჭოთა მთავრობის მიღწევანი: დრეიზერმა აღნიშნა, რომ იგი არ არის კომუნისტი, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ თუ „ამერიკის კაპიტალისტები არ უზრუნველყოფენ ამერიკელ მუშებს საჭმელით, სურსათით და ბინით, მათში გაღვივდება ისეთივე კლასობრივი შეგნება, როგორც რუსეთის მუშებშია". (ადს)

ერთა ლიგის სესიის წინ

ბრიანი ჟენევაში მიემგზავრება.

ბერლინი, 23 თებერვალი, გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგი"-ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიანი 4 მარტს გაემგზავრება ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 5 მარტს დაიწყება. ბრიანს თან გაჰყვება საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბერტელო, რომელიც დღემდე არც ერთხელ არ დასწრებია ერთა ლიგის საბჭოს და პლენუმის სესიებს. ბერტელოს გამგზავრებას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას მიაწერენ, მით უფრო, რომ ბერტელო ბრიანის პირადი მოთხოვნით მიემგზავრება. ფიქრობენ, რომ ბერტელოს გამგზავრება დაკავშირებულია მოლაპარაკებასთან, რომელსაც ბრიანი შტრეზემანთან აწარმოებს. (ადს).

სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია

პარიზი, 23 თებერვალი. ბრიუსელში გაიხსნა სამთამადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესია.

პირველ რიგში გაირჩა საკითხი ხელშეკრულების შესახებ შვეციის და საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირებს შორის. ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარემ გერბერტ სმიტმა აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების ცალკე დებულებები ეწინააღმდეგება ამსტერდამის ინტერნაციონალის „პრინციპებს". ფედერაციის აღმასკომმა მოისმინა შვეციის და ნორვეგიის სამთამადნო მუშათა წარმომადგენელთა განმარტებები და დაადგინა გადასდოს ამ საკითხის გადაჭრა შემდგომ სესიამდე. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა

გაფიცვის ჩაშლის წინააღმდეგ

პრაღა, 23 თებერვალი. მუშები ყველა რაიონებში იხილავენ გაფიცულ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. პროფკავშირთა გაერთიანებამ (მემარცხენე) მუშებს მიმართა წერილით, რომელშიაც მოუწოდებს აქტიური დახმარება აღმოუჩინონ გაფიცულთ და გააფართოვონ გაფიცვა.

კომუნისტმა სენატორმა ხლუმეცკიმ სენატში წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა, რომელშიაც მოუწოდებდა, რომ გაფიცვა გავრცელდეს ყველა სხვა რაიონებზე და შესწყდეს ქვანახშირის შეზიდვა. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ მთავრობა უსირცხვილოდ სდგება მწარმოებელთა მხარეზე და სცდილობს ჩაშალოს გაფიცვა (ადს).

რესპუბლიკანური კინო-თათბირი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან

მოწვეულია ა. წ. 28 თებერვალს, დილის 10 საათისათვის

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კინემატოგრაფიის შედეგები და პერსპექტივები.
2. საქართველოს კინო-წარმოების მდგომარეობა.
3. პარტხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები კინემატოგრაფიის დარგში მუშაობისათვის.
4. სოფლის კინოფიკაცია.
5. კინო და მუშათა კლუბები.

ჩინეთის ამბები

ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

შანხაი, 23 თებერვალი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა — ხუან-ფუმ გომინის ნანკინის სააგენტოს წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს სურვილი გამოსთქვა, რომ უცხო სახელმწიფოებმა მოლაპარაკება დაიწყონ ჩინეთთან, რათა რაც შეიძლება მალე გაუქმდეს უთანასწორო ხელშეკრულებანი, იგი ნანკინის მთავრობის სახელით კისრულობს ვალდებულებას, რომ ჩინეთი ყველა მოვალეობას შეასრულებს უცხოელთა მიმართ. (ადს)

კომუნისტური რაზმების წინსვლა

შანხაი, 23 თებერვალი. გონკონგიდან მიღებული ცნობებით, კომუნისტურმა რაზმებმა ქალაქ ხოპოს მახლობლად, გუანდუნის პროვინციის სამხრეთით, დაიჭირეს სოფლები გუანტანი, ჩანშა და ჩეიანი. (ადს)

გაფიცვა კოლორადოში

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. კოლორადოში 1927 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებული მემაღაროეთა გაფიცვა დამთავრდა. 11.000 გაფიცული მემაღაროე ბრუნდება სამუშაოზე. გაფიცულთ მათ მიაღწიეს დღიური სამუშაო ხელფასის მომატებას 1 დოლარით დღეში და ამასთანავე მიიღეს დაპირება, რომ განხორციელებული იქნება მუშათა კანონმდებლობა. ეს პირობები დროებითი ხასიათისაა, ვინაიდან მემაღაროეთა წინადადებებს უნდა განიხილოს ცალკე საარბიტრაჟო კომისიამ.

კოლორადოში გამოცხადებულ გაფიცვის წინააღმდეგ მიღებული იქნა მკაცრი საპოლიციო ზომები, რის შედეგადაც გაფიცვის გამოცხადებიდან მოკლულია 6 და დაჭრილია 20.

გუბერნატორ ადამსის თვითნებობა

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. კოლორადოს შტატის გაფიცულმა მემაღაროეებმა შტატის უზენაეს სასამართლოს წინაშე აღძრეს საჩივარი ხელისუფლების უკანონო მოქმედების გამო. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ გუბერნატორმა ადამსმა სავსებით უკანონოდ გამოაცხადა საგანგებო წესები გაფიცვის რაიონში და რომ ხელისუფლება სრულიად უკანონოდ ასახლებს შტატიდან გაფიცულებს და მათ თანამგრძნობთ. კოლორადოს შტატის უზენაესმა სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა ეს საჩივარი. (ადს).

4 მილიონი უმუშევარი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. „შრომის ბიუროს" გამოანგარიშებით, უმუშევართა საერთო რიცხვი ჩრდ. ამერიკის შეერ. შტატებში ამჟამად აღწევს 4 მილიონამდე. 1923 წლიდან 1927 წლის ბოლომდე სამრეწველო წარმოებათა მუშების რიცხვი შემცირდა 1.900.000 კაცით, უმთავრესად კაპიტალისტური რაციონალიზაციის გამო. (ადს).

ბელორუსთა გრომადის წევრთა საქმე

ვილნო, 23 თებერვალი. ვილნოს საოლქო სასამართლოში დაიწყო ბელორუსთა გრომადის 56 წევრის (მათ შორის 4 დეპუტატის) საქმის გარჩევა. გასამართლებაზე ორივე მხარეს გამოწვეული ჰყავს 660 მოწმე.

ბრალდებულთა დაკითხვიდან ირკვევა, რომ მათი უმრავლესობა უმიწაწყლო და ხელმოკლე გლეხები და მოჯამაგირეებია. ბრალდებულთა შორის არის სულ ათამდე ინტელიგენტი—უმთავრესად მასწავლებლები, ზოგიერთი საუნივერსიტეტო განათლებით. სასამართლოს დარბაზში ბილეთებით უშვებენ მხოლოდ ბრალდებულთა ახლო ნათესავებს.

პირველი დღის დამახასიათებელი მომენტი იყო ბრალდებულის დეპუტატ რაკ-მიხაილოვსკის განცხადება, იმის შესახებ, რომ ვინაიდან მას დაპატიმრების დროს ჩამოართვეს მცირედენი თანხა, რომელიც ჰქონდა ბელორუსიის ბანკში, მისი ოჯახი იძულებული გახდა გაეყიდნა ერთად ერთი ქონება ერთნახევარი დესეტინა მიწა. (ადს).

მუშათა მოძრაობა რუმინეთში

ვენა, 23 თებერვალი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთში, იმასთან დაკავშირებით, რომ მწარმოებლები ცდილობენ გაატარონ სამუშაო ხელფასის შემცირება და უარს ამბობენ ამჟამად მოქმედ სატარიფო ხელშეკრულებაზე, განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა ლითონის დამმუშავებელ, საფეიქრო და ტყავის მრეწველობაში. ამავე დროს იზრდება აგრეთვე უმუშევართა მოძრაობა.

მსხვილ სამრეწველო ცენტრებში იმართება უმუშევართა დემონსტრაციები. ტორგუმურეშში უმუშევართა დემონსტრაცია გაემართა ბურგომისტრის კანცელარიისაკენ, მაგრამ, ჟანდარმებმა გზა გადაუჭრეს დემონსტრანტებს და გარეკეს ისინი. დემონსტრაციის შემდეგ ოხრანკამ დახურა „მუშების სახლი" შენობა ტორგუმურეშში და აკრძალა მუშების ყოველგვარი გამოსვლა.

კლაუზენბურგში ოხრანკის აგენტები თავს დაესხნენ მუშებს, რომლებიც მიაცილებდნენ ამხანაგის კუბოს, წაართვეს წითელი დროშები და დააპატიმრეს ორი პროფმუშაკი, რომლებიც გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

უნიტარულ პროფკავშირების დელეგაციამ ინახულა პრემიერი ბრატიანუ და გადასცა მას მემორანდუმი, რომელშიაც მოითხოვდა პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას მუშათა კლასისათვის და პროფკავშირების მუშაობაში სამხედრო ხელისუფლების ჩარევის შეწყვეტას. ბრატიანუმ უპასუხა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა „აიძულოს პროფკავშირები შესწყვიტონ კლასობრივი ბრძოლა". დელეგაციის მიერ პრემიერის ნახვის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა ტატარესკუმ განაცხადა, რომ „მთავრობამ გადასწყვიტა ძირშივე აღმოფხვრას კომუნისტური მოძრაობა".

კამპანია საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევისათვის

გამოცხადებულია კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ანგარიშს აბარებენ თბილისის საბჭოს სექციები

განათლების სექცია

ამჟამად განათლების სექციაში, მიმაგრებულ აქტივთან ერთად მუშაობს 189 კაცი. დღემდე სექციას ქონდა 20-ზე მეტი სხდომა, რომელზედაც გარჩეულია 65-მდე საკითხი. სექცია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ გამომუშავებული გეგმით, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ განათლების განყოფილების საქმიანობასთან.

პირველ რიგში სექციამ მოისმინა და განიხილა განათლების განყოფილების საწარმოო გეგმა, რაც საფუძვლად დაედვა სექციის შემდგომ მუშაობას. იმ თავითვე სექციის წევრები განაწილებულ იქნენ სკოლებს შორის, სადაც ისინი ეცნობოდენ სკოლების სამეურნეო მდგომარეობას და იქ წარმოებულ პედაგოგიურ მუშაობას.

ყოველი მიმაგრებული წევრი შედის სკოლის სამეურნეო კომისიაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ სამეურნეო საკითხის გადაწყვეტაში.

განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილ მოხსენებათა უფრო უკეთ შესწავლის მიზნით, სექციამ გამოჰყო მუშათა კომისიები, რომელნიც აწარმოებდენ სკოლების ადგილობრივ გამოკვლევას და გამოდიოდენ თანამოხსენებლად ამა თუ იმ საკითხებზე.

მთავარი ყურადღება სექციამ მიაქცია სკოლების შეკეთებას. სარემონტო კომისიამ, რომელშიაც 17 წევრი შედიოდა, გამოიკვლია ასამდე სკოლა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სკოლების დიდი უმრავლესობა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. სახურავის, იატაკ-ჭერის გამოცვლას წვიმის სადენი მილების, ღუმელების შეკეთებას და სხ.

სარემონტო კომისიის მიერ გაკეთებულ მოხსენების მიხედვით სექციამ დადგინა: გადიდებულ იქნეს თანხები სკოლების შესაკეთებმცირეა და საჭიროა სათანადო ორგანოების ნისხსა იმ ანგარიშით, რომ ზაფხულის დამლევისათვის სრულიად დამთავრდეს სასკოლო შენობათა შეკეთება.

სექციის მიერ არა ერთხელ ყოფილა აღძრული საკითხი სასკოლო შენობებიდან კერძო მდგმურების გამოსახლების შესახებ. განყოფილებამ დღემდე შესძლო მხოლოდ 33 ოთახის განთავისუფლება, მაგრამ ეს რიცხვი ძალიან ლად და შეკეთება დაიწყოს არა უგვიანეს ივგანსაკუთრებული ღონისძიებები სასკოლო შენობების კერძო პირთაგან განსათავისუფლებლად.

მეორე საკითხი, რომელსაც სექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, არის საბავშვო ბაღები. ამჟამად ქალაქში 25 საბავშვო ბაღია, რომლებშიაც 2.400 ბავშვია მოთავსებული. დღემდე დაუკმაყოფილებელი რჩება ორი ათასი მთხოვნელი. ამ საკითხის შესასწავლად სექციამ გამოჰყო მუშათა კომისია მუშათა აქტივის და დელეგატ ქალების მონაწილეობით, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო მუშაობას.

სექციის მიერ განხილულ საკითხთა შორის არა ნაკლები მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტ-განათლების მუშაობა, რომლის შესახებ სექციამ ერთ თავის სხდომაზე დიდი ინტერესით მოისმინა პოლიტ-განათლების განყოფილების მოხსენება. სექციის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თბილისის მუშათა თეატრის მუშაობამ, რომელსაც სექციის აზრით მიმდინარე წელს დიდი წარმატება ეტყობა: გაუმჯობესებულია რეპერტუარი, შერჩეულია მსახიობები, შემოღებულია მუშათა ზოლი, იდგმება პიესები მუშათა კლუბებში და სხვა. თეატრალურ მუშაობის ერთ ერთ ნაკლად სექციამ სცნო საბავშვო თეატრის და კინოს უქონლობა. სექციამ დაადგინა—დაწვრილებით შეისწავლოს და დაამუშაოს საკითხი საბავშვო თეატრ-კინოს მოწყობის შესახებ. უკანასკნელ ხანებში განათლების განყოფილება შეუდგა ამ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრას.

საქართველოს ცაკის საბავშვო კომისიასაც განზრახვა აქვს მოაწყოს საბავშვო კინო, საქმეს აბრკოლებს მხოლოდ სათანადო შენობის გამოუნახველობა.

პოლიტგანათლების მუშაობის დაწვრილებით შესასწავლად სექციამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელიც უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას და ამ მოკლე ხანში სათანადო მოხსენებით წარუდგება სექციას.

სექციის ერთ მორიგ საკითხს წარმოადგენს განათლების განყოფილების მოხსენების განხილვა 1927—28 წლის სასკოლო ბიუჯეტი შესახებ. სექციამ უკვე გამოჰყო მუშათა საბიუჯეტო კომისია, რომელიც, შეისწავლის რა ჩვენი სკოლების საბავშვო ბაღების და საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებათა ბიუჯეტს, სათანადო მოხსენებას წარუდგენს ჯერ საბიუჯეტო სექციას და შემდეგ თვით განათლების სექციას.

საბიუჯეტო კომისიას უკვე ქონდა ოთხი სხდომა, რომლებზედაც მოისმინეს მოხსენებები გამოკვლევის შესახებ. კომისიის გამოკვლევა ეხება 80 სკოლას. კომისიის მიზანია გამოარკვიოს როგორ ღებულობენ სკოლები სუბსიდიებს, რა ხასიათის არიან სკოლის მატერიალური ხელმოკლეობიდან გამომდინარე ნაკლულოვანებანი, აქვთ თუ არა სკოლებს სახელმძღვანელოები, ლაბარატორიები, სახელოსნოები და სხვა.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ დროებით კომისიებს, რომელთაც მინდობილი აქვთ საზოგადოების სასარგებლო შრომის, სანიტარიის და ჰიგიენის გამოკვლევა სკოლებში.

სწავლების ახალ მეთოდებთან გასაცნობათ სექციამ გამოჰყო მეთოდიური კომისია, რომელნიც ადგილებზე ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას და მოკლე ხანში სექციის სხდომაზე გააკეთებენ მოხსენებებს თავისი მუშაობის შედეგების შესახებ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ კომისიაში სამუშაოდ გამოყოფილი წევრები თავის დავალებებს კეთილსინდისიერად ეკიდებიან და მიცემულ შეკვეთას ასრულებენ თავის დროზე სკოლებზე მიმაგრებული სექციის წევრები თავისი პრაქტიკული მუშაობით, სკოლის ცხოვრების შესწავლით და მეთვალყურეობით სექციას საშუალებას აძლევდენ თავის დროზე მიეღო სათანადო ღონისძიებები იმ ნაკლთა გამოსასწორებლად, რომელნიც სკოლის ნორმალურ მუშაობას აფერხებდენ.

აქტივისტი.

საჭიროა კონტრ. გაძლიერება

ამხ. მირზა მირზოიანი

(26 კომ. სახ. სადურგლო საამქროს დაზგის მუშა, განათლების სექციის წევრი)

— როდესაც მე განათლების სექციაში მიმამაგრეს, სექციის სხდომაზე მიმაგრებულ ვიქენი სარემონტო კომისიაში. კომისიამ კონტროლი გაუწია თბილისის ყველა სასწავლებლებს და გამოარკვია რამდენად მიზანშეწონილად დაიხარჯა თბ. საბჭოს მიერ გაღებული თანხები სასწავლებლების შეკეთება - გაფართოვებაზე.

პირადათ მე უშუალო მონაწილეობა მივიღე მე-80 — 85 და 90 შრომის სკოლის შემოწმებაში. საერთოდ, ეს სასწავლებლები გეგმიანად არ იყო შეკეთებული. მაგ.: მე-85 შრ. სკოლაში ინჟ. ლოლაძემ ზედმეტი ხარჯები გასწია. როცა ჩვენ ამის შესახებ შენიშვნა მივეცით, მან გვიპასუხა: „ალმასკომმა ბიუჯეტი დაამტკიცა, შენობა შეკეთებულია, მიბრძანდით და იქ გამოარკვიეთ, —ჩვენ საკონტროლო კომისიაც გვეყოფაო".

ასე, რომ კონტროლის გაწევის საშუალება მან არ მოგვცა. ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ზოგიერთ სკოლებში მოწაფეებისაგან ფულს შეჩაურულად აგროვებდენ, ქვითარებს კი არ უწერდენ.

საერთოდ, მე ხაზი უნდა გაუსვა იმ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც განათლების სექციას ამხ. ნინა მახარაძე თავმჯდომარეობს, მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა.

ნაკლიც გამოვასწოროთ

ქალაქის საბჭოს განათლების სექციის მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერია. სექციამ განათლების საქმის გასაუმჯობესებლად დაარსა 6 სხვადასხვა გვარი კომისია და წევრები მიამაგრა შრომის სკოლებზე. ამით სექციამ გამოარკვია თბილისის შრომის სკოლების მდგომარეობა და შედეგი აცნობა სექციის წევრთა საერთო კრებას, რომელმაც გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები შრომის სკოლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სექციის წევრები, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ შრომის სკოლებზე, სექციის წევრთა საერთო კრებაზე აკეთებდნენ მოხსენებებს თავიანთი მუშაობის შესახებ. ასეთმა მუშაობამ შრომის სკოლების საქმიანობა საგრძნობლად წასწია წინ.

ამ მიღწევებთან ერთად განათლების სექციას ნაკლიც აქვს. მთავარი ნაკლი სექციას მუშაობისა იმაში გამოიხატება, რომ სექციამ ვერ შესძლო მუშათა ფართო მასის ჩაბმა განათლების სექციის მუშაობაში. გარდა ამისა, სექციის ზოგიერთი წევრი გადაჭარბებულად იყვნენ დატვირთული საქმეებით, ზოგიერთები კი თითქმის არაფერს აკეთებდნენ.

სექციის ბიურომ შრომის სკოლების გამოსარკვევად არავითარი დარიგებები არ მისცა თავის წევრებს. ბიუროს კომისიებზე მიმაგრებულ წევრებისათვის უნდა მიეცა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ ამ კომისიებში და რისთვის უფრო უნდა მიექციათ ყურადღება სკოლის მდგომარეობის შესწავლის დროს.

სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე მუშფაკებს, ტეხნიკუმებს, საფაბრიკო-საქარხნო და სხვა სპეციალურ სკოლებს.

სექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები მომავალში აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად.

კოტე გოგიბერიძე.

საბჭოს დეპუტატები სექციების მუშაობის შესახებ

ნაყოფიერათ ვმუშაობთ

ამხ. დანიელოვიჩი

(რკ. გზის მთავარ სახელოსნოს დაზგის მუშა, განათლების სექციის წევრი).

მე ვარ ბიუროს წევრი. განათლების სექციამ მიმამაგრა ქ. თბილისის ტრამვაის საფაბრიკო - საქარხნო სკოლაში, იმ მიზნით, რომ მოწაფეების გამოცდებს დავესწრობოდი და ვინც უკეთესად ჩააბარებდა გამოცდებს გადაგვეყვანა ზეინკლის თანაშემწეთ. ეს დავალება გავატარეთ ცხოვრებაში.

გარდა ამისა ბიურომ გამოჰყო კომისია რომელსაც დაევალა ყველა უპატრონო ბავშთა სახლების, თეატრების და საბავშვო ბაღების დათვალიერება.

ამ მხრივ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

აქტივობას ვერ ვიჩენთ

ამხ. ვ. სუხიშვილი

(რკ.-გზის მთავარ სახელოსნოს მუშა განათლების სექციის წევრი)

მე ვმუშაობ პედაგოგიურ საბჭოში, ხოლო მათი მოხსენების არაფერი გამეგება, რადგან პრაქტიკულად მუშაობაში არა ვარ გაწვრთნილი. ამიტომ მე არ შემიძლია ვიკისრო პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილებების რომელსაც სექცია ღებულობს.

უკეთესი იქნებოდა, რომ განათლების სექციამ, მუშები ჩაითრიოს თავის პრაქტიკულ მუშაობაში და ახსნა - განმარტება მისცეს ამა თუ იმ საქმისა და გადაწყვეტილების შესახებ.

ასეთი მუშაობა სექციას დღემდე არ ჩაუტარებია და ამიტომ ვერც მიმაგრებული დეპუტატები იჩენენ აქტივობას.

კონკურსის ქრონიკა

საკონკურსო ჟიურის შემადგენლობა

საქ. პროფსაბჭოს ცნობით, თბ. საბჭოს საუკეთესო სექციის შესაფასებლად ჟიურიში შედიან: ამხ. ამხ.: გოზალოვი, (საქართველოს პროფსაბჭოდან), კლევეცკი, (ქიმიკოსთა კავშირიდან), მაცკევიჩი (ტყავტრესტის № 1 ქარხნიდან), და სართანია (ა. კ. რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან).

კომუნალურ სექციის ანგარიში

დღეს, საღამოს 6 საათზე ტრამვაიის მუშათა კლუბში შესდგება ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოსმენილ იქნება მოხსენება კომუნალურ სექციის მუშაობის შესახებ.

სხდომის გაგრძელება

ორშაბათს, 27 თებერვალს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგება რკინისგზელთა კრების მეორე სხდომა, რომელიც მოისმენს კომუნალურ სექციის მოხსენების გაგრძელებას.

საკურორტო ყრილობა

მერვე სხდომა

სნეულებათა მკურნალობა წყალტუბოში

წყალტუბოს რადიო-აქტიური სამკურნალო წყლების მნიშვნელობის შესახებ მკურნალობაში ყრილობაზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება—ექ. თ. მამალაძის, ვ. ბოგატუროვის და ექ. ნ. ანდრიაძის. მომხსენებლებმა დახასიათეს კურორტ წყალტუბოზე ჩატარებული ცდების შედეგები, შეეხენ წყალტუბოს წყლის გავლენას სასრებით დაავადებაზე და სხ.

ექ. ნ. ანდრიაძე ვრცლად განმარტავს წყალტუბოს სამკურნალო წყაროების გავლენას სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების საქმეში და აღნიშნავს, რომ როგორც ცდებმა გამოარკვია, რევმატიზმით დაავადების დროს სრული სამკურნალო ეფექტის მისაღებათ საჭიროა მიღებულ იქნას 25-დან 30 ვანა.

ავადმყოფთა კვების საკითხი

ყრილობა ცალკე მოხსენებით ისმენს ექ. ი. ქშონძერის მოხსენებას კურორტებზე ავადმყოფთა კვების შესახებ. ექ. ქშონძერი აღნიშნავს, რომ დღემდე სანატორიუმებში და სხვა საკურორტო სამკურნალო დაწესებულებებში უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ იმას, რომ ავადმყოფისათვის მიეწოდებიათ რაც შეიძლება მეტი საჭმელი. კვების საქმეში ჩვენ ევარდებოდით უკიდურესობაში და ხშირად ზედმეტი კვებით ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ, უარესდებოდა. საზღვარგარეთის კურორტებზე კვების ასეთი სისტემა დიდი ხანია უარყვეს და შემოიღეს ე. წ. ინდივიდუალური კვება. კვების საშუალო ნორმათ ითვლება 3.000 კალორია. ჩვენ კურორტებზე კი ვაძლევდით ავადმყოფებს 5, 6, 7 და ხშირად 8 ათას კალორიის საჭმელს.

მომხსენებელი უარყოფს, რა კვების ასეთ სისტემას, წინადადებას იძლევა შემოღებულ იქნეს ინდივიდუალური კვება ყველა სანატორიუმებში. ინდივიდუალური კვების პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ ავადმყოფს მიეცეს ის საჭმელი და იმდენი რაოდენობით, რამდენსაც მისი ორგანიზმი აიტანს.

მეცხრე სხდომა

კურორტები წითელ არმიისათვის

კურორტებზე წითელი არმიის მუშაკებისა და პირადი შემადგენლობის ავადმყოფთა მკურნალობის შესახებ, ყრილობაზე მოხსენებით გამოდის სამხედრო სასანიტარო სამმართველოს წარმომადგენელი ექ. შახდინაროვი, რომელიც აღნიშნავს, რომ წითელ არმიელთაგან კურორტებზე გასაგზავნების რიცხვი ძალიან ცოტაა, ვინაიდან ახალი შეკრებების დროს, ან არმიაში გაწვევისას ხდება ახალგაზრდობის მკაცრი გადარჩევა და თუ ვინმეს რაიმე ავადმყოფობა აღმოაჩნდა—იგი წითელ არმიაში არ მიაყავთ. ავადმყოფთა კონტინგენტს იძლევა უმთავრესად არმიის პოლიტშემადგენლობა და კომანდირები. სამხედრო სასანიტარო უწყებას გადაწყვეტილი აქვს აგოს კურორტ აბასთუმანში სამხედრო სანატორიუმი, სადაც გაიგზავნებიან უმთავრესად წითელი არმიის მუშაკნი და მათი ოჯახის წევრები.

დოც. გ. შალამბერიძის მოხსენება

ყრილობა ცალკე მოხსენებით ისმენს აგრეთვე პრ. დოც. გ. შალამბერიძის მოხსენებას ბორჯომის მინერალური წყაროების შესახებ. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ბორჯომის წყაროები ვულკანური წარმოშობისაა და ეს გარემოება მათ აძლევს იშვიათ სამკურნალო თვისებებს.

23 ახალი ქარხანა

თბილისის ალმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ შეადგინა ახალ მშენებლობის ხუთ წლიანი გეგმა, რომლის მიხედვით უახლოეს 5 წლის განმავლობაში თბილისსა და მის მაზრაში აგებული იქნება 23 ახალი ქარხანა, ახალ ქარხნებს შორის აგებული იქნება სახელდობრ: ხის დამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ამუშავებული იქნება 1930 წლის დამლევს, ლუდის ქარხანა ამუშავებული იქნება 1929 წელში, კარაქის ქარხანა, მზათ იქნება 1929 წელში, გვლათის ქვის კუბიკების დამამუშავებელი ქარხანა ამუშავებული იქნება იმავე წელში, კირის ქარხანა—მზათ იქნება 1930 წელში, აგურის ქარხანა საგარეჯოში, კერამიკული ქარხანა მცხეთაში. მაკარონის, ვერმიშელის და კანფეტების ქარხანა, ცემენტის ნაკეთობათა ქარხანა და სხ.

ქარხნების ასაგებათ გადადებულია 9.144.000 მანეთი. ყველა ქარხანა აგებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ქარხნებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობათა ნაწილი შეძენილი იქნება საზღვარგარეთ, ნაწილი დამზადდება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამრეწველო ქარხნებში.

ახალ ქარხნებში წინასწარი ვარაუდით სულ იმუშავებს 2470 მუშა ხელი.

ახალი ქარხნების აგებასთან ერთად იწარმოებს არსებულ ქარხნების შეკეთება და გაფართოება, მათი რეკონსტრუქცია და სხ.

ქრონიკა

სამხედრო გამოფენა

წითელი არმიის სახლში (რუსთაველის გამზირი, № 10) წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად გაიხსნა სამხედრო გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია ავიაცია, არტილერია, ქიმიური „ომი", კავალერია და სხ. განყოფილებები.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა ყველა პროფკავშირებს, მუშათა კლუბებს და რკ. გზ. თბილისის საუბნო კომიტეტს მოაწყონ მუშათა ექსკურსიები სამხედრო გამოფენის დასათვალიერებლად. გამოფენის დათვალიერება შეიძლება საღამოს, 5 საათიდან 8 საათამდე.

კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა მიიღოს საჭირო ზომები, რათა ექსკურსიების მოწყობის საქმეს მიეცეს მასიური ხასიათი და ლა მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეს გამოფენის საშუალებით გაეცნონ წითელი არმიის მიღწევებს.

საექიმო დახმარება სტუდენტებს

პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ შუამდგომლობა აღძრა თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე, რათა უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინოს, როგორც სტიპენდიანტს, ისე არა სტიპენდიანტ სტუდენტებს.

ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ შუამდგომლობის თანახმად დაადგინა სტუდენტებისათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად ყველა უბანში გამოყოს თითო ექიმი

ავადმყოფ სტუდენტის ბინაზე ექიმის გაწვევა შეიძლება დაზღვეულთა საერთო წესით, მხოლოდ საჭიროა დასაზღვევი წიგნაკის ნაცვლად სტუდენტის მოწმობის წარდგენა. ამავე დადგენილებით ავადმყოფ სტუდენტს შეუძლია მიიწვიოს მხოლოდ ის ექიმი, რომელიც მიმაგრებულია მის საცხოვრებელ უბანზე.

სტუდენტებს, ისე როგორც დაზღვეულებს, წამალი მიეცემათ უფასოთ.

განათლების მუშაკთა კონფერენცია

ორშაბათს, 27 თებერვალს დღის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

საანგარიშო კამპანია

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა ქალაქში თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად დაარსა სპეციალური კომისია ამხ. ვ. ბოლქვაძის, თხილავას, აკოფოვის და ს. კ. პ. თბ. კომიტეტის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლობის შემადგენლობით.

საანგარიშო კამპანიის ჩატარება დაიწყება 10 მარტს და დამთავრდება 10 აპრილს.

კამპანიის ფართოდ ჩატარების მიზნით ცალკე რაიონებში შეიქმნება კამპანიის ჩამტარებელი კომისიები.

საორგანიზაციო განყოფილება საანგარიშო კამპანიისათვის გამოსცემს სპეციალურ კედლის გაზეთს: „თბილისის საბჭოს ანგარიში".

ნავთის გადაზიდვის საკითხი.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა გზათა კომისარიატის კომისიის მოხსენება ნავთის გადაზიდვის შესახებ.

შექმნილია განსაკუთრებული კომისია გზათა კომისარიატის კომისიის მოხსენებით აღძრულ ყველა საკითხების განსახილველად და დასამუშავებლად.

კომისიაში შედიან: ამხ. შ. ელიავა, ვ. პოზდეევი, კ. ივანოვი, ბაგიროვი, პ. საბაშვილი (ან მის ნაცვლად ნ. უსტიაშვილი), ბარინოვი, ბ. პიპინაძე, სამოილოვი, კუზმინსკი და ბეკზადინი.

1926 წლის უპროცენტო სესხის მეექვსე ტირაჟი

1 მარტს ქალ. კიევში დაიწყება 1926 წლის უპროცენტო მომგებიანი სესხის მეექვსე ტირაჟი. ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება: 850 მოგება—200 მანეთიანი, 250 მოგება—300 მანეთიანი, 79 მოგება—1.000 მაენთიანი, 10 მოგება—5.000 მანეთიანი, 5 მოგება—10.000 მანეთიანი, 3 მოგება—25.000 მანეთიანი, 2 მოგება—50.000 მანეთიანი და ერთი მოგება—100.000 მან.

დიდი თოვლი საქართველოს სამხედრო გზაზე

უკანასკნელ დღეებში გამუდმებულ თოვის გამო, საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე ღრმა თოვლი დასდო.

თოვლის სიღრმე იმდენად დიდია, რომ მოგზაურობა მლეთიდან ლარსამდე შეუძლებელია.

ავტომობილით მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ფასანაურამდე ფასანაურის იქით მანქანები ველარ მიდიან. ფასანაურიდან მლეთამდე შესაძლებელია მოძრაობა მარხილებით.

მლეთიდან გზა დაკეტილია. მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები ახერხებენ მარხილებით მგზავრობას.

თოვლი იმდენად ღრმა არის, რომ მისი გადნობა და გზის გახსნა მოსალოდნელი არაა უადრეს შუა მაისისა.

თბ. ალმასკომში.

◆ **თბილისის ალმასკომის პლენუმი** შესდგება ორშაბათს, 27 თებერვალს. პლენუმი განიხილავს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სავლეხო სესხის რეალიზაციის საკითხებს.

◆ **გარე უბნებში წყალსადენის** გასაყვანად წყალსადენის სამმართველომ ლითონ ტრესტს შეუკვეთა 10.000 მანეთის წყალსადენის მილები.

◆ **მიწათმოწყობის** ჩასატარებლად მაზრაში, საადგილ-მამულო განყოფილებას გადაეცა 56.442 მანეთი.

◆ **ხევების ნაპირების გამაგრება.** ქალაქში მდებარე ხევების ნაპირების გასამაგრებლად გადაიდო 11.000 მან.

◆ **სასკოლო აღწერა.** თბილისის და მისი მაზრის სასკოლო აღწერის მასალების დასამუშავებლად გადაიდო 3.500 მან.

◆ **ტრამვაისათვის** საჭირო მოწყობილობის შესაძენად ტრამვაის დირექციას გადაეცა 57 ათასი მან.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ახალგაზრდათა შორის** უმუშევრობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად შრ. სახ. კომისარიატს სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ გადასცა 13.000 მან.

◆ **შრომის დაცვის** განყოფილება შეუდგა მეწყემსების შრომის პირობების გაუმჯობესებას.

◆ **წითელი არმიის ათი წლის თავის** აღსანიშნავად გუშინ სხვადასხვა დაწესებულებებში სამუშაოთ განაწილებულ იქნა 60 დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელი.

◆ **საზოგადო სამუშაოები,** შრომის სახ. კომისარიატმა შეადგინა გაზაფხულზე საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმა.

სხვადასხვა

◆ **ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის** კლუბში რკინის გზელებისათვის ახლო ხანში გაიხსნება კოოპერატიული კურსები.

◆ **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების** წლიური სხდომა შესდგება სამშაბათს, 28 თებერვალს საღამოს შვიდ საათზე საქ. მუზეუმის აუდიტორიაში. სხდომაზე მოსმენილი იქნება: საბჭოს საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის მოხსენება, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები. შემდეგ მოსმენილი იქნება არ. ჩიქობავას მოხსენება: რა არის ზოგადი ენათმეცნიერება".

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა

კამათი განათლების კომისარიატის სახელოვნო პოლიტიკის შესახებ

მეხუთე და მეოთხე დღის სხდომებზე სწარმოებდა კამათი განათლების სახელოვნო პოლიტიკის შესახებ.

მსახიობი ზარდალიშვილი (ქუთაისის დრამა) ეხება უმთავრესად პროვინციის თეატრების რეპერტუარის საკითხს და ამბობს, რომ რეპერტუარის შერჩევას პროვინციალური თეატრებისათვის არავითარი პრინციპი არ უდევს საფუძვლად, რასაც თან სდევს სრული არევ - დარევა პიესების შერჩევაში, ხშირად იდგმება პიესები, რომელნიც იდეოლოგიურად და მხატვრულად მიუღებელია. მსახიობი ს. ინაშვილი (თბ. სახელმწიფო ოპერა) ეხება სახელმწიფო ოპერის საქმიანობას და მისი ჩამორჩენის და მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობას. ამით აიხსნება ის, რომ ხშირად ადგილი აქვს ნათლიმამობას, საქმის შინაურულად მოჭარაკებას, ისეთ ძალების სცენაზე გამოსვლას, რომელნიც სახელს უტეხენ საოპერო ხელოვნებას.

მსახიობი ა. ვასაძე უმთავრესად ჩერდება სახელმწიფო კინო - მრეწველობაზე, რომლის პროდუქციის უვარგისობას მიაწერს ამ დაწესებულების ხშირ რეორგანიზაციას, ხელმძღვანელთა ხშირ ცვლას და მსახიობთა ერთ მთლიან შემჭიდროებულ კოლექტივის არ ყოლას.

ა. ფაღავა (ბათომის ქართული დრამა) აღნიშნავს, რომ სახელოვნო ორგანოების ხელმძღვანელთა ხშირ ცვლას დიდი ზიანი მოაქვს საქმისათვის. გარდა ამისა, ორატორი ამბობს, რომ სეზონისათვის მზადება, მსახიობთა დასის შედგენა, პიესების დამუშავება დაიწყოს არა ორი კვირით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ რამოდენიმე თვით ადრე სეზონის წინ.

ილ. აბაშიძე (ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის გამგე) მიმოიხილავს უკეთეს ქუთ. მუს. ტეხნიკუმის 10 წლის მუშაობას და დაასკვნის, რომ იგი უკვე ნამდვილ სახალხო სასწავლებლად გადაიქცა.

სკულპტორი კანდელაკი (სამხატვრო აკადემია) ამბობს, რომ სამხატვრო აკადემია ვერ მოგვცემს საჭირო კვალიფიკაციის მუშაკებს, თუ არ მოეწყო მუზეუმები, სადაც ახალგაზრდობა შეისწავლის ხელოვნების კლასიკურ ნიმუშებს. სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე სახელმწიფომ უზრუნველჰყოს მხატვრები შეკვეთებით.

მაქსი (ცირკის წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ ცირკს არ ექცევა საკმარისი ყურადღება. ამით აიხსნება ის, რომ იქ, — განსაკუთრებით პროვინციის ცირკებში, — გამეფებულია ხალტურა და ცირკის მუშაკნი ხდებიან კერძო პირების საექსპლოატაციო საგნად.

ამხ. შენტოვი მოითხოვს აღებული იქნეს კურსი იქითკენ, რომ ხელოვნების საქმეთა მმართველობა გახდეს დამოუკიდებელ ცალკე უწყებად.

კამათი დამთავრდა ამხ. კანდელაკის სიტყვით, რომელიც შეიცავდა პასუხს აღძრულ საკითხებზე.

საშუამავლო ბიუროს მუშაობა

ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროს მუშაობა ყრილობას გააცნო ვ. პატარაიამ: ამჟამად კავშირს ჰყავს 400 უმუშევარი, რომელთაც კავშირი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდა. საანგარიშო პერიოდში მათ უმუშევართა ფონდიდან დახმარების სახით მიეცა 10 ათასი მანეთი. უმუშევართაგან მოეწყო კოლექტივები, რომელთაგან ორი მუშაობდა ზაფხულში და ერთიც მიმდინარე სეზონში მინიატურის თეატრში. მოეწყო აგრეთვე კურსები წევრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვა.

წაკითხულ მოხსენებათა მიხედვით რეზოლიუციების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

განათლების განყ. გამგეების კონფერენცია

მესამე სხდომა

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმა.

(მომხსენებელი ამხ. მარიამ ორახელაშვილი).

მესამე დღის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების ვადათ ამბობს მომხსენებელი,—დაწესებულია 1928—29 წ.—1934—35 სასწავლო წლები. მოსამზადებელი მუშაობა უკვე მაზრებში მიმდინარეობს და თავის დროზე დამთავრდება, გარდა ბორჩალო,-ახალციხ-ახალქალაქის მაზრებისა და სვანეთ-ხევსურეთ-თუშეთისა, სადაც საერთო ჩამორჩენილობის გამო სამზადისი ცოტათი დააგვიანდება.

1934—35 წლის დამლევს გამოქვეყნებული იქნება დეკრეტი საყოვ. სავალდ. სწავლის შესახებ. ამ დროისათვის უკვე სასკოლო ქსელი იმდენად იქნება გაფართოვებული, რომ სავსებით დაიტევს სასწავლო ჰასაკის ახალგაზრდობას.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გეგმა გამომუშავებული იყო ჯერ კიდევ 1925 წელს, მაგრამ ეს გეგმა არ იყო სწორ კონკრეტულ ცნობებზე აგებული და შეუფერებელი იყო დღევანდელი სინამდვილისათვის. ახალი გეგმა უფრო რეალურია, მას საფუძვლად უდევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ადგილობრივი პირობების შესწავლა. გეგმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სკოლის გარეთ მყოფ სასწავლო ჰასაკის 8—11 წლის ბავშვების აღრიცხვა და ამავე ჰასაკის ბავშვების რაოდენობის გამორკვევა სკოლებში. გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი სკოლების აგება და ძველი შენობების საფუძვლიანი შეკეთება, სკოლების მოწყობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარებით და ხელსაწყოებით საერთო საფინანსო გეგმის შედგენა და სხ. ეს გეგმა არის საფუძველი, რომელსაც უნდა დაემყაროს შემდეგი მუშაობა ადგილებზე. ადგილებიდან მოწოდებული ცნობებით უნდა შეივსოს და შესწორდეს წინასწარ გამომუშავებული გეგმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქაცარავამ, მენთეშაშვილმა, დ. კანდელაკმა, ჰოჭუამ, ქობულიამ და სხვ.

პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის გადიდება

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა განათლების კომისარიატის საბიუჯეტო განყოფილების წარმომადგენლის საინფორმაციო მოხსენება, რომლის თანახმად შრომის სკოლის პირველი ორი საფეხურის მასწავლებლებს ა. წ. პირველი აპრილიდან ემატებათ ჯამაგირი. ჯამაგირი უდიდდებათ აგრეთვე საბავშვო ბაღის გამგეებს.

დელეგაცია სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის ზეიმზე.

დასასრულ კონფერენციამ გამოჰყო დელეგაცია ამხ. ამხ. ქაცარავას, ეღენტის და ჭუმბურიძის შემადგენლობით სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის თავის ზეიმზე დასასწრებლად.

ამით დამთავრდა კონფერენცია.

ახალი საანგარიშო მანქანა

დოცენტ გ. ნიკოლაძის გამოგონება

ერთი თვის წინათ პარიზის ყველა დიდ გაზეთებში და კერძოდ პარიზის აკადემიის ყოველკვირეულ „ანგარიშებში" დაიბეჭდა ცნობა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის დოცენტის ინჟ. **გ. ნიკოლაძის** მიერ გამოგონებულ ელექტრონის საანგარიშო მანქანის გამოგონების შესახებ.

პარიზიდან განათლების კომისარიატში მიღებული ცნობით, ინჟ. **გ. ნიკოლაძის** გამოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშის მექანიზაციისათვის გ. ნიკოლაძის გამოგონება იძლევა ზედმიწევნით სწორ მექანიკური გამოანგარიშების საშუალებას სულ მარტივ ავტომატიურ მექანიზმის საშუალებით.

დღემდე საუკეთესოდ ცნობილი და ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ე. წ. ოდნერის არითმომეტრი. რომელიც იძლევა გამრავლების შედეგებს მხოლოდ თანდათანობით შეკრების შემწეობით .და არა უშუალოდ, რის გამო მისი მექანიზმი მეტად რთულია და შესდგება ძვირფას და ადვილად გასაცვეთ მექანიკურ ნაწილებისაგან.

გ. ნიკოლაძის მიერ გამოგონებული მანქანა კი არის ზედმიწევნით მარტივი და ოთხივე მოქმედებათა შედეგებს იძლევა უშუალოდ—აღებულ რიცხვთა სათანადო ელექტრო-ფოლაქებზე უბრალო თითის დაჭერით. მანქანა მოქმედებს ელექტრო მაგნიტების სისტემის საშუალებით და სწრაფად. გ. ნიკოლაძის მანქანა 5-ჯერ უფრო ზრდის ანგარიშის სისწრაფეს „ოდნერთან" შედარებით და ამავე დროს ათჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ოდნერის მანქანა. მაგალითად ელექტრომოტორიანი „ოდნერი" პარიზში ღირს 24.000 ფრანკი, ანუ 1920 მანეთ. გორგი ნიკოლაძის მანქანა კი დაჯდება დაახლოვებით 2.000 ფრანკი (160 მანეთი).

16 იანვარს საფრანგეთის ცნობილმა ინჟინერ -მათემატიკოსმა, აკადემიკოსმა **მორის დოკანმა** პარიზის სამეცნიერო აკადემიის სხდომაზე გააკეთა მოხსენება გ .ნიკოლაძის გამოგონების შესახებ და აღნიშნა მისი დიდ მნიშვნელობა და ორიგინალობა ანგარიშის მექანიზაციის საქმეში. აგრეთვე ამ გამოგონების უპირატესობანი „ოდნერთან" შედარებით. დოკანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნიკოლაძის გამოგონება დიდი ნაბიჯია საერთო „ანგარიშის მექანიზაცის პრობლემების გადამჭრელად".

ხელოვნება

კინო თათბირი

სამშაბათს, 28 თებერვალს, დილის ათ საათზე—საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია **კინო-თათბირი,** რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: სახკინმრეწვიდან—**გავაშელი, არუსტანოვი, ავაქოვი, ივანოვკავკასკი, ერისთავი** და თითო წარმომადგენელი მუშათა თითოეულ ცეხიდან. სამხატვრო საბჭოდან—**ს. თოხაძე, სუტირინი, დუდუჩავა და გოგინაშვილი,** მუშათა ახალ ცენტრალურ, ნარიმანოვის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბებიდან თითო წარმომადგენელი; **ბაქრაძე** (ქუთაისი), **ფარცხალაძე** (ბათომი), **ალიევი** (ბორჩალო), **ბრეგვაძე** (ჭიათურა), **ფირალიშვილი, მხითაროვი, იმედაძე, შალვა ოკუჯავა, ატომიანი, არუთინოვი, ქურიძე და ბუჯიაშვილი.**

კომკავშირის მწერალთა წრეში

კვირას, 26 თებერვალს, საღამოს ხუთ საათზე შესდგება კომკ. მწერ. წრის ბიუროს სხდომა (გაზ. „ახალ. კომუნ." რედაქც. ბინაზე) დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: **დ. რონდელი, ვ. ლუარსამიძე, დ. ვოლსკი, ს. წვერავა; ალ. სულავა, კ. ბობოხიძე, ილ. ხოშტარია და ფ. ნაროუშვილი.**

ამავე დღეს 6 საათზე შესდგება წრის მორიგი ლიტერ. სხდომა, დღის წესრიგი: 1) ამხ. **კ. ბობოხიძის** მოხსენება, „მხატვრული შემოქმედების პრაქტიკა", 2) მასალების განხილვა.

ჟურნალ „მნათობი"-ს თანამშრომელთა თათბირი

◆ ორშაბათს, თებერვლის 27-ს [illegible] საათზე ჟურ. „მნათობი"-ს რედაქციაში (ვოლოდარსკის ქუჩა № 11 „ახალი სოფელი"-ს შენობა) შესდგება „მნათობი"-ს თანამშრომელთა ლიტერატურული თათბირი. თათბირზე მოწვეული არიან: ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, ვ. გაბისკირია, ს. ეული, ნ. ზომლეთელი, კ. კალაძე, ი. ლისაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ვ. მალაქიაშვილი, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, გრ. რობაქიძე, ვ. რუხაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. ქუთათელი, გ. გურიშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ი. ტატიშვილი, ე. პოლუმორდვინოვი, დ. ზულიაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, კ. ჭიჭინაძე; მ. ჯავახიშვილი.

◆ შაბათს, 25 თებერვალს, საღამოს 8 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოხდება საქართველოს პროლეტარულ მწერლობის ლიტერატურული გამოსვლა წითელ-არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად. მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მწერლები: **ბ. ბუაჩიძე, კ. კალაძე, გ. კრეიტინი, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, პ. მაგერი, ა. ხიტკოვსკი, კ. ბობოხიძე, ი. ხოშტარია და ი. რიჟენკო.**

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი".

◆ **„ასე იყო".** მუშათა თეატრში ქართული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება ბუხნიკაშვილის პიესა: „ასე იყო".

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

თქვენი გაზეთის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილის გამო სადაც ლაპარაკია „რიონჰესის" შესახებ. რიონჰესის" სამუშაოთა სამმართველოს საჭიროთ მიაჩნია გთხოვოთ მოათავსოთ შემდეგი განმარტება.

თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლ. 6 მაისის დადგენილებისა „რიონჰესის" სამმართველოს 1927—28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამუშაოთა საწარმოებლად გადაწყვეტილი ჰქონდა 4.200.000 მან. მიცემა. თავისთავად ცხადია, რომ სამუშაოთა გეგმაც ამ თანხის მიხედვით იყო შედგენილი და დაარსებული იყო არა ორი სამასალო განყოფილება, როგორც წერილშია აღნიშნული, არამედ თბილისში სამუშაოთა სამმართველოსთან მომარაგების განყოფილება, რომლის მოვალეობას შეადგენდა რიონჰესის სამუშაობისათვის საჭირო ყოველგვარ მასალების მომარაგება და ქუთაისში გადაგზავნა, ხოლო ქუთაისში სამუშაოთა მთავარ მწარმოებლის კანტორასთან სამასალო განყოფილება, რომლის მოვალეობაში სრულიად არ შედიოდა მასალათა შეძენა, არამედ მას უნდა ეწარმოებია შეძენილ და ზაჰესიდან გადაგზავნილ მასალათა და აღმშენებლობისათვის ელექტრო-მოწყობილობის მიღება, მოვლა და სამუშაოებზე განაწილება, რომლის ფრონტიც ე. წ. ჭომადან რიონის სადგურამდე. ქ. ქუთაისზე გავლით, 9 კილომეტრს შეადგენს.

თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ მიზნისათვის დაქირავებული შტატი, რომლის მოვალეობას შეადგენს მხოლოდ მასალის შენახვა და სამუშაოზე განაწილება, ვერ განიზომება მხოლოდ შეძენილ მასალათა ღირებულების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა ჩვენ, მაინც ვაღიარებთ, რომ სამასალო განყოფილების შტატი გადამეტებული იყო და როგორც-კი მივიღეთ ცნობა მოსკოვიდან, რომ 31 იანვარს შრომის და თავდაცვის საბჭომ შეამცირა მიმდინარე საბიუჯეტო წლის თანხები 1.500.000 მან-მდე გადავწყვიტეთ არა თუ სამასალო განყოფილების შტატების შემცირება, არამედ ხარჯების საგრძნობი შემცირებაც, სამუშაოთა სამმართველოს თბილისიდან ქუთაისში გადატანა; ქუთაისში სამუშაოთა მთავარ მწარმოებლის კანტორის ლიკვიდაცია და მისი შეერთება სამუშაოთა სამმართველოსთან. რასაკვირველია, ასეთი ძირითადი რეორგანიზაციის შემდეგ, რაც ჩვენის მოხსენების თანახმად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით დავალებული აქვს მთავრობის განსაკუთრებულ კომისიას, სამასალო განყოფილების შტატის შესამჩნევი შემცირება მოხდება.

რაც შეეხება წერილის მეორე ნაწილს 16 პირის მიერ უკანონოდ 9.000 მან.-ის მიღებას ეს შენიშვნა ეხება გადასასვლელ დახმარების (под'емные) გაცემას რამოდენიმე სპეციალისტ - მოსამსახურეზე; არსებულ წესებს ზევით მიღებული ჰქონდათ რამოდენიმე პირს გადასასვლელი დახმარება ოჯახის წევრებზე საერთოდ არა უმეტეს 13.000 მანეთისა.

ეს გარემოება აღმოაჩინა რიონჰესის ადმინისტრაციამ ქუთაისში და უკვე გაცემულია განკარგულება არსებულ წესების ზევით და სამუშაოთა სამმართველოს ინსტრუქციის მიუხედავად მიღებულ თანხების უკანვე დაბრუნების შესახებ.

სმუს თავმჯდომარე და რიონჰესის მთავარი ინჟინერი **ბეს. ჟიჟინაძე.**

ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი-"ს გარშემო

ღია წერილი მოქ. ი. იმედაშვილისადმი

მოქ. იოსებ იმედაშვილო!

ვინაიდან:

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში თქვენ **სრულიად შეუსაბამოსა და განზრახ დამახინჯებულ ცნობებს** აწვდით მკითხველს ამ ლექსიკონის შედგენის შესახებ; მაგალ. თქვენ სწერთ, თითქოს: ა) **თქვენ** დაგეკმაყოფილებინოთ ქართველი მკითხველი; ბ) წინა გამოცემიდან ზოგი გამოგეშვასთ და ზოგიც შეგეტანოთ; გ) ყველა სიტყვა ისე გქონდესთ ჩაწერილი, როგორც ქართულს მწერლობაშია დამკვიდრებული; დ) **ამგვარად** ლექსიკონი გადაგემუშავებინოთ **ხუთის წლის წინეთ;** ე) თითქოს მე დამეწყოს მუშაობა თქვენთან შეთანხმებით წინასწარ თქვენს მიერ დასახული გეგმის მიხედვით და სხვა.., და ამას ამბობთ მაშინ, როდესაც კარგად იცით, რომ ამ ლექსიკონს (ა—ჰ)თქვენს ლექსიკონთან საერთო რამ გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე რომელსამე სხვა ამგვარ ლექსიკონთან, რომელიც კი არსებობს რომელსამე ენაზე. (სარედაქციოდ ჩემთვის წარმოდგენილი ლექსიკონის დედანი ინახება სამეცნიერო დაწესებულ. მთავარ-გამგის **ვ. ბერიძის** კაბინეტში);

2. თქვენ არ გაუშვებინეთ ჩემს „წინასწარს შენიშვნებში" (იხ. ლექსიკონი) მეცხრე შენიშვნა, სადაც მკითხველს ვთხოვდი ეხილა „მუშის" № 1370 (16. VI. 1927), რომელშიც მოთხრობილია თქვენთვის, ალბათ, არასასიამოვნო სიმართლე;

3. თქვენ გსურსთ გამოსცეთ რაღაც „საყოველთაო ჯიბის" და „ვრცელი უცხო სიტყვათა ლექსიკონი", რომელშიც, ალბათ, შეიტანთ ჩემს მიერ შედგენილი ლექსიკონის მასალას,—ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში, რომლის წევრებადაც ჩემის მხრით ვასახელებ მწერალს **თ. სახოკიას** და დოც. **ს. ყაუხჩიშვილს.**

უკეთუ ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში არ გამომიცხადებთ თქვენს თანხმობას და არ დაასახელებთ თქვენს მედიატორებს, იძულებული ვიქნები სინამდვილის აღსადგენად მივმართო სხვა გზას.

ვ. ახვლედიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენს გაზეთში მოვათავსოთ შემდეგი: 1927-1928 წ. განმავლობაში ჩვენ საფუძვლიანათ გადავამუშავეთ ი. იმედაშვილის „უცხ. სიტ. ლექს." შემდეგი ასოები: ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ც, ძ, ჯ, ხ და ჰ; რაც იოსებ იმედაშვილსაც ჰქონდა აღნიშნული თავის ხელნაწერ წინასიტყვაობაში. ვინაიდან ეს გარემოება არ არის აღნიშნული დაბეჭდილ წინასიტყვაობაში, საინტერესოა შევეკითხოთ: რათ ხელმძღვანელობდა ავტორი, როდესაც საბოლოო წინასიტყვაობაში, სტამბის ტეხნიკური პერსონალის დასახელების დროს ლექსიკონის უახლოესი გადამმუშავებელნი ყურადღების გარეშე დასტოვა.

შალვა ნაცვლიშვილი, ნინო თარიშვილი.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-13 ყრილობა

დღეს 25 თებერვალს საღამოს ექვს საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნება ცეკავშირის რწმუნებულთა მე-13-ე ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია:

1) საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია და „ცენტროსოიუზი"-ს საქმიანობა, 2) ცეკავშირის გამგეობის მოხსენება 1926—27 სამეურნეო წლის მუშაობის შესახებ, 3) საინფორმაციო მოხსენება გამგეობის 1927—28 წლის პირველი კვარტალის საქმიანობაზე, 4) ცეკავშირის საბჭოს ანგარიში, 5) ცეკავშირის სარევიზიო კომისიის მოხსენება, 6) 1926—27 წლის მოგების განაწილება, 7) ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოხსენება, 8) ს. ს. რ. კ. კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილების მოხსენება, 9) ცეკავშირის 1927—28 წლის გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება. 10) ცეკავშირის გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 11) „ცენტროსოიუზი"-ს და „ზაკსოიუზი"-ს ყრილობებზე გასაგზავნ რწმუნებულთა არჩევნები და 12) მიმდინარე საკითხები.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 25 თებერვალი

დღეს, 25 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი წითელი არმიის ათი წლის თავისათვის, ტრანსლიაცია მოსკოვიდან იწარმოებს საღამოს 6 საათიდან.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 13

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის შეცვლების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

აკრძალულ დროს ნანადირევის ყიდვა ან გაყიდვა გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით:

იძულებითი მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ას მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჟუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წლის თებერვლის 24
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ათი წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შვიდი წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია, ა. წ. 25 თებერვალს, დღის ათ საათზე დემონსტრაციის მონაწილეების მისალმებაზე ტრიბუნაზე (სახ. კომსაბჭოს წინ) იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

მ. ორახელაშვილს, ნაზარეტიანს, რუხაძეს, ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, მ. კახიანს, შ. ელიავას, ს. ჟუღელს, ლ. სუხიშვილს, ერ. ასრიბეკოვს, გეგეჭკორს, ლევანდოვსკის, ვასილიევს. ვ. ხტურუას, ბოლქვაძეს, დ. კანდელაკს, ს. თოდრიას, მათიკაშვილს, ბეჟანიანს, ბაგიროვს, მგალობლიშვილს,, ივანოვ-კავკასკის ლოსოვსკის, კაულს, ზერიას; იაშვილს; შავეროვს, რახმანოვს; გოგჩიას; მარიამ ორახელაშვილს, ვ. ჯაფარიძეს, [illegible] და იაკუბოვს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ქალ-ორგანიზატორების რუსული ჯგუფის მეცადინეობა შესდგება კვირას, 26 თებერვალს, დღის 12 საათზე.

ქართული ჯგუფის მეცადინეობა კი შესდგება 3 მარტს.

ორშაბათს, 27 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილების შენობაში (ოთახი № 10) შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

მიმღები კომისიის წევრთა თავის დროზე გამოცხადება აუცილებელია.

კიდევ ერთი ლოდი მენშევიზმის საფლავზე

(წერილი რაჭიდან)

ისტორიის არხივი ძლიერ ფართოა, ის ყველაფერს დაიტევს... ქალაქ ონსაც აქვს საკუთარი ისტორიის არხივი. შეიძლება ყველას არ ახსოვდეს იმისი ქექვა, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა მოვიგონოთ ზოგიერთი ეპიზოდები.

ქალაქი ონი თვით-მპყრობელობის დროს რომ მთლიანი სახურავით გადაგეხურათ, მიიღებდით სიმიკიტნოს... თავაშვებულ მებატონის და „ჩინოვნიკის" თავაშვებულ თარეშს. ტყუილათ არ ამბობდენ ჩვენი გლეხები.

თუ გსურს ნახო ხმლებით ბრძოლა,

მძიმეთ მიიზლაზნება ცემენტის არხში, კლდეებში გაჭრილ გვირაბში... ქვევით მაღალი სავარდნი... მოქცევა აუზში და ბრძოლა ტურბინის წინააღმდეგ... კიდევ ბრძოლა—ტურბინის გაცოფებული მოძრაობა, იქით მანქანები, დინამო და დღემდე უნაყოფო ჯოჯორი ქმნის 200 ცხენის ძალიან ელექტროენერგიას.

ოქროს ფრად გაჭიმულ მავთულებს მისდევს ელდენი, რომელიც იძლევა თვალ-გაუჩერებელ სინათლეს.

ონი გადასხვაფერებულია: აღარ ისმის ჩა-

სათავე საიდანაც წყალი გადადის ელსადგურის არხში

არ გვჭირდება წასვლა ომში—
თუ ძლიერ არ გვზარება—
შეიარე „ნახე ონში" და სხვა.

ასე იყო უწინ და ასე გრძელდებოდა დიდ ხანს.

არ უშველა არც 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ....



წყლის არხი გვირაბში შესავალთან

რა უმადურები არიან ეს კომუნისტები: ამბობენ თითქოს მენშევიკები არაფერს აკეთებდნენ: გასაოცარია! აკი ყოველ დღე ათასნაირ გეგმებს ადგენდნენ?

ნახეთ ონის არხივი: იქ ესეც ინახება.

ღვინოში იხრჩობოდა, უაზრო დროს ტარებაში ნადგურდებოდა ონის ბუნებით ჯანსაღი ორგანიზმი. მაგრამ დროულათ მოეშველა ექიმი—„საქართველოს გასაბჭოება".

ონმა იგრძნო მკურნალის ხელი: მოუშუშდა ტკივილები, იწყო ზრდა ახალმა და ჯანსაღმა კუნთებმა. მოისპო თავაშვებულობა, დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, ჩადგა ქალაქი ნორმალურ კალაპოტში: პედაგ. ტეხნიკუმი ცხრა-წლედი, გლეხ. ახალგ. სკოლა, საავადმყოფო, სტამბა—ბევრი რამ გაკეთდა. ყველა მიღწევების პატარა საგაზეთო წერილში ჩამოთვლა არ შეიძლება.

სადღაა ქუჩებში „მუხლამდე ტალახი", სადღაა ონის ძველი „მეგობარი"—უწესრიგობა, ღრიანცელი, ლოთობა, გახრწნილება და ვითომ რასიულად მოუშორებელი სიბინძურე ებრაელების უბანში...

მართალია გვავიწყდებოდა: „კუზიანი უკუბოთ გასწორდება, ხოლო ებრაელი ვაჭრობას, ჩარჩობის გავლენას და უკულტურობას თავს ვერ დააღწევსო". ასე იცოდენ წინედ თქმა.

აღარ გამოდგა ეს კრიტერიუმი: ძველმა წყობილებამ თავისი კრიტერიუმებიც თან წაიღო... ებრაელებში სკოლა, ებრაელი ბავშვები სკოლებში, პიონერთა ორგანიზაციებში, ახალგაზრდობა კომკავშირში, მოზრდილები და უფროსები „საწერმალო" დუქნების და თორას ნაცვლათ მინდვრებში და ყანებში ეწევიან პატიოსან შრომას.

რა სურათია ეს? პასუხი ყველას მზად აქვს ყველაფერი არ ჩაეტევა ჩვენს წერილში. არც ვცდილობთ ამას.

შევჩერდებით უკანასკნელზე. ვის უნახავს მდინარე ჯოჯორის ხეობა: მხოლოდ რიყე, მხოლოდ სიჩუმე, რომელსაც მარტო მდინარის ხმაური არღვევს. არავითარი ღირებულება, არავითარი ფასი, მხოლოდ მდინარე რიყიან კალაპოტში.

სულ სხვაა დღეს: მაღალ კლდეში მუშის კუნთებს გაუჭრია ფართო გვირაბი... ცოტა ზევით შეუჩერებია გიჟმაჟი ჯოჯორი, გადაუჭრია მისთვის ნაცადი გზა და ეხლა კი.. ოქროს ფრად გაჭიმულ მავთულებს მისდევს ელდენი, რომელიც იძლევა თვალგაუჩერებელ სინათლეს.

ონი გადასხვაფერებულია: აღარ ისმის ჩახხახა 30 ცხენის ძალის მატორიან სადგურის უსიამოვნო რახრახი, აღარ აღრჩობს ონს მაზუთის მძიმე ბოლი, აღარ ბჟუტავს აქა-იქ ჩამოკიდებული 25 სანთლიანი ელნათურები.... აღარ არის სიბნელე. ყველგან თვალ-მომჭრელი სინათლეა.... მაღლიდან დახედვით ონი დანთებული კოცონი ეგონება ადამიანს და ეს კი შედეგია ჯოჯორგესის მუშაობის და **ჯოჯორ-გესი ხომ ნაყოფია საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობის.**

საინტერესოა ჯოჯორ-გესის აგების მთავარი მომენტები.

მაზრის ხელმძღვანელი ორგანოები მალე დარწმუნდნენ, რომ საკმარისი არ იყო მატორიან პატარა ელსადგურის ენერგია. შემოშავდა აზრი ჰიდრო-ელსადგურის აგებისა, [illegible] დგა ორი პროექტი: ერთი უმჯობესათ სთვლიდა მის აგებას მდინარე ღარულაზე, მეორე კი ჯოჯორზე. სათანადო კომისიამ დაადასტურა უპირატესობა ჯოჯორის ვარიანტის. ეს იყო 1925 წელს. დაიწყო მუშაობა. რთული იყო პროცესი მუშაობის: არა საკმაო თანხები, მისი ძიება ყოველდღიურათ და სხვა მრავალი მაგრამ დასახულმა მიზანმა, რომ აგებულიყო მძლავრი სადგური, ყოველგვარი დაბრკოლება დასძლია. მცხოვრებლების უფასო შრომის უხვად და დაუზარებლად გამოყენებით შესრულდა სამუშევრების უდიდესი ნაწილი.



1. სამალმასკომის თავმჯდომარე ამხ. წულუკიძე; ელსადგურის სამუშაოთა ხელმძღვანელი ტეხნიკოსი—დუჩაიძე

დღეს უკვე დასრულებულია მუშაობა: 150,000 მან. დახარჯვით აშენდა 200 ცხენის ძალიანი ელსადგური, რომელიც დღეს-დღეობით იძლევა 80—100 ცხენის ძალას და აქედან მხოლოდ 40—45 ცხენის ძალის რაოდენობით იტვირთება იგი.

რას მოვახმაროთ დანარჩენი ენერგია? დაიწყებს მუშაობას ორი ტურბინა და მათგან ერთი მოხმარდება ქ. ონის და ახლო-მახლო სოფლების განათებას.

გლეხის ქვარტლიან სახლს გაანათებს იგი. ბაბუას დიდხანს მოუნდება დარწმუნება, რომ არ შეიძლება მასზე ყალიონის ანთება...

მეორე ტურბინი? შენდება და აშენდება წისქვილები, სახერხი ქარხნები, აგურ-კრამიტის ქარხნები და აქ გამოვიყენებთ დანარჩენ ენერგიას.

ასეთია ქალაქი ონი საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავზე. შემდგომი წლები უფრო უკეთეს მომავალს გვიქადის, მშრომელი ხალხი ღრმად არის დარწმუნებული, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მისი მარჯვენა აუცილებლად ააშენებს ახალ ქვეყანას.

დ. მარტელი.

სახალხო განათლების საქმე

თბილისის მაზრაში

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე. სხვა მრავალ მიღწევებთან ერთად, დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე განათლების დარგშიც.

განათლების საქმეზე თბილისსა და მის მაზრაში, 1927 წლის ბიუჯეტით გადადებული იქნა ნახევარმილიონ მანეთზე მეტი. წელს უფრო მეტია გადადებული ამ საქმეზე.

1927 წლ. განმავლობაში თბილ. ალმასკომის გამგებლობაში იყო: 87 შრომის სკოლა, 6 პროფსკოლა, ერთი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, მაღალი ტიპის სკოლა და 22 საბავშვო ბაღი, მაზრაში კი ითვლებოდა 181 შრომის სკოლა, 9 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და 3 საბავშვო ბაღი.

საქართველოს გასაბჭოებამდე თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი. დღეს კი მათი რიცხვი 22-მდე ავიდა. სკოლების მდგომარეობაც გასაბჭოებამდე უნუგეშო იყო. ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოსწავლე ბავშვების ყოფა-ცხოვრებას და საერთოდ მათ მდგომარეობას.

დღეს მთავარი ყურადღება მიპყრობილია სკოლების პროფესიონალიზაციისაკენ. სკოლებში საგრძნობლად გაფართოვდა საზოგადოებრივი შრომის შესწავლის საქმეც. როგორიცაა მაგალითად პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, ბრძოლა გადამდებ სნეულებასთან, სკოლებში სახელოსნოების მოწყობა, საქმეებს ანგარიშების და დიაგრამების შედგენა, სასკოლო ინვენტარის შეკეთება, წიგნების და სხვა. [illegible] კის ცენტრებში საბავშვო ბაღების მოწყობის საქმის გასაცნობად და შესასწავლად. ნაყოფიერად მიმდინარეობს აგრეთვე კულტგანათლების საქმე. თბილისში არსებობს 14 ბიბლიოთეკა—სამკითხველო. ბიბლიოთეკებისათვის გასული წლის განმავლობაში შეძენილია 4721 წიგნი. კლუბებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. გარდა ამისა ჩვენი გამასწორებელი სახლები დიდათ განსხვავდებიან მენშევიკების დროინდელ საპყრობილეებისაგან.

დღეს გამასწორებელ სახლებში და სპეციალურ იზოლიატორებში სწარმოებს სათეატრო და საბიბლიოთეკო მუშაობა. იმართება საუბრები, მოხსენებები, წერა-კითხვის შესწავლა და შესაფერისი გასართობები. ერთი სიტყვით პატიმრებში გაცხოველებული კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობა სწარმოებს. წინად კი ასეთებს არ ჰქონდა ადგილი.

დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი აგრეთვე მაზრის პოლიტგანათლებას. მაზრაში არსებობს 38 ქოხ-სამკითხველო, 5 ბიბლიოთეკა და 41 წითელი კუთხე. ტარდება მოხსენება-საუბრები, ხმა მაღალი კითხვა, კინო-წარმოდგენები, სალიტერატურო გასამართლება და სხ. გარდა ამისა არსებობს 32 სახალხო თეატრი და მოწყობილია 10 რადიო-სადგური.

ამრიგად მშრომელი მასის კულტურულგონებრივ ამაღლების საქმე სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ. საქართველოს გასაბჭოების მერვე წელში უფრო გაცხოველდება ამ მხრივ მუშაობა და გაფართოვდება სწავ[illegible] განათლების საქმე.

ჯ. ფ.

თავზარდაცემული და გულდათუთქული დედა თამარი, მამა კალენიკე, ანო, ივანე, მაქსიმე და ევგენი კირვალიძეები, ევა და ვანო ხოდელიძეები შვილებით: ქეთოთი, ციცკოთი და დეიდაშვილები: ილიკო და რამანი ურატაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელი

პატარა კარლოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან (აუზის ქ. № 2) კვირას, 26 თებერვალს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ე)

განსვენებულ

ალექსანდრე (ალიოშა) პლატონის-ძე მიქელაძის

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, 26 თებერვალს, ვერის ძველ სასაფლაოს ეკლესიაში ნაშუადღევის 1 საათზე, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილი მერი მიქელაძე-ბაგრატიონისა ქმრით. 1585

მწუხარებით აღსავსე დეიდა კესარია, დეიდაშვილები: მიშა, ვარლამი, ბუხუტია, დათიკო, თამარა და ლიუბა შავდიები, ქსენია შავდია-შენგელიასი, სიძე სერაპიონი ალექსის-ძე შენგელია, რძლები: თამარა და ტონია შავდიებისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 22 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მეხსიერებიდან წარუშლელი

შურა დავითის ასული ხოშტარია

გამოსვენება საკ. ბინიდან, ტროცკის ქ. № 10, კვირას, 26 თებერვალს, დღის 1 საათზე, დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე; სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე სალ. 6 საათზე. 1605

თბილისის საბაჟოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 22 თებერვალს, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის კეთილი და დაუვიწყარი მეგობარი, საბაჟოს თანამშრომელი

ალექსანდრა (შურა) ხოშტარია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაში ტროცკის ქ. № 10. გამოსვენება კვირას 26 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე. (ე)

ა.-კ. საბაჟო სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 22 თებერვალს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის კეთილი და დაუვიწყარი მეგობარი

ალექსანდრა (შურა) ხოშტარია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, ტროცკის ქ. № 10. გამოსვენება კვირას, 26 თებერვალს, 1 საათზე. 1594

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ლილოსი მურზაყან ფალავას ასული კორძაიასა, ვაჟი ბარდლა, ქალიშვილები: გუგულია გველესიანისა, ცაცა უზნაძისა და მეგი ჩხეიძისა, რძალი მართა ესტატე თარხან-მოურავის ასული, სიძეები: ზურაბ ივანეს-ძე გველესიანი, ვანო ნიკოლოზის-ძე უზნაძე და პორფილე სიმონის-ძე გოცირიძე მეუღლით ანა სიმონის ასულით; შვილიშვილი ვახტანგ (კუცა) პორფილეს-ძე გოცირიძე მეუღლით თინა პავლეს ასულით და სხვა შვილისშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 23 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

პლატონ ბექანის-ძე კორძაია

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (კეცხოველის ქ. № 11), მოხდება 26 თებერვალს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1587

გულდათუთქული დედა თამარი, დები: ელენე, ვერა, ტასო, ქეთო, ძმები: მიხეილი, სოსო, სიძე გიგო ბერძნიშვილი, რძალი რუსუდანი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებს, რომ თებერვლის 22-ს ღამის 10 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

შალიკო გიორგის-ძე ზაალიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ბინიდან, წყნეთის ქუჩა № 4, კვირას, 26 თებერვალს, ნაშუადღევის 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1591

ღრმათ დამწუხრებულნი: ალექსანდრა მიხეილის ასული ქართველიშვილისა შვილებით ნიკოლოზ, გიორგი თავის მეუღლით იულიათი და ნინო კარგარეთლები, ბებია ბარბარე, მამიდა სოფიო და ბიძა ევგენი კარგარეთლები აუწყებენ ყველა ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ და უსაყვარლეს შვილის, დის, შვილიშვილის და დისწულის

მარიკა ქართველიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 25 თებერვალს საღამოს 6 საათზე. ბინაზე ლერმონტოვის ქუჩა № 29, დაკრძალვა კვირას, 12 საათზე. 1604

გულდაწყვეტილნი: ქალიშვილი ნატალია, სიძე მიხეილ ელენტი, შვილისშვილები: მარუსია, ვანიჩკა, გრიშა, სონია, მუნიკა და რეზიკო, რძლები: იულია, ტუფა და ჩუტა, სიძე სანდრო დევიძე შვილისშვილისშვილები: მუშიკო, ბიჭიკო, ქეთინო და ქუცუხა უაცხობებთ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი ბებია

მადა ომაინის ასული ბერიძისა

დაკრძალვა მოხთება გურიაში ს. ერკეთში 25 თებერ. 1595

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა გაერთიანებული პროფკომი და ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა „ტეხნიკური წრის", „ტეხნიკური სექციის" ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მე-5-ე კურსის სტუდენტ ძვირფას

გოგიტა წერეთლის

უდროოდ დაკარგვას. 1590

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის ელექტრო-მექანიკურ დარგის სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობრის, სამთო დარგის მე-5 კურსის სტუდენტის

გოგიტა წერეთლის

უდროოთ დაკარგვას. 1589

ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სამთო დარგის უკანასკნელი კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვლა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი მეგობარი, სამთო დარგის სტუდენტი

გოგიტა წერეთელი

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 25 თებერვალს, შორაპნის მაზრის სოფელ მერჯევში. (შ)

მწუხარებაში მყოფნი, მეუღლე ნაპოლეონ სოფრომის-ძე იაშვილი და სიძე დავით ნიკოლოზის-ძე წერეთელი შვილებით მარგარიტა და შალვათი ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება პანაშვიდი

ოლიმპიადა მიხეილის ასული წერეთელი-იაშვილისა

მოსაგონებლად კვირას, ა. წ. 26 თებერვალს, კუკიის სასაფლაოზე ნაშუადღევის 12 საათზე. 1598

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ხარაკიზოვ - ხერაზინი — როგორ უნდა დაიცვა ჯანმრთელობა, გვ. 64 ფ. 30 კ.

ი. სტალინი—საკავშ. კომპარტიის (ბ) ც. კ. პოლიტიკური ანგარიში. (მე-15 პარტყრილობის მასალები) მეორე გამოცემა. გვ. 188, ფასი 40 კაპ.

„მოისაზრე" — (გასართობ ამოცანათა კრებული) გვ. 56, ფასი 55 კაპ.

ნ. 429
25—15

სახელმწიფო ოპერა

შაბათი 25 თებერვალი.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე

წარმოდგენილი იქნება ორიგინალური ქართული ოპერა

აბესალომ და ეთერი

მუსიკა—სახ. არტ. ზაქ. ფალიაშვილისა

მონ. რომანოვსკაია, მაყაშვილი, ბლანკმანი, ხუმაროვა, ბაუხი, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე, გაეცკი, ფროლოვი, სვანიძე.

დადგმა—კ. მარჯანიშვილისა და ა. ახმეტელის

დირიჟორობს სახ. არტ. ივ. პ. ფალიაშვილი.

ნ. 681

სახელმწიფო ოპერა

ფატმა მუხტაროვას გასტროლები

პირველი გასტროლი	მეორე გასტროლი
ოთხშაბათს 29 თებერვალს	პარასკევს 2 მარტს
კარმენ	**სამსონ და დალილა**
კარმენ—მუხტაროვა	დალილა—მუხტაროვა

დირიჟორობს სახ. არტ. ივ. ფალიაშვილი

ბილეთები იყიდება

ნ. 687.

სახქინმრეწვის თეატრებში

აპოლო	„50.000 ფრანკი" ს. ხაიაკავას მონაწილეობა, ორშაბათიდან, 27 თებერვლიდან „ბრძოლის და გამარჯვების დღეები"	
არფასტო	მგლების სასწაული (ცვლა ცხენით)	ორშაბათს 27 თებერვლიდან ქარი
სოლეი	ზნედიანი	ორშაბათს, 27 თებერვალს ტარას ტრიასილო
დარბაზი	სპიდ მე-5 და 6 სერია	ორშაბათიდან, 27 თებერვლიდან ზღვის ქორი
ოდეონ	მონასტრის კედლებში	ორშაბათიდან, 27 თებერვლიდან პოეტი და მეფე
პროლეტარი (ავლაბარში)	კაცი რესტორანიდან	ორშაბათიდან, 27 თებერვლიდან ჭრე

მალე

მხატვრული სურათი

„დრამა პოემერის ცირკში"

ერთსა და იმავე დროს კინო-თეატრებში

აპოლო--არფასტო--სოლეი

695 ნ

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტის, თბ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ.—კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 „ — „	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის.

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ — „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ — „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ — „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში		საზღვარ-გარეთ	
1 თვით.	1 მან. 50 კ.	1 თვით	1 ნახ. დოლარი
1 წლით	18 მანეთი	3 „	4 „
		6 „	8 „
		1 წლით	16 „

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34

0—3

მოითხოვეთ კატალოგები

საქ. პროფკავშირების გამომცემლობა

„შრომა"

წიგნის და საკანცელარიო მაღაზია

(რუსთაველის პრ. № 17).

1-ლ იანვრიდან ფასები დაკლებულია.

შეკვეთების შესრულება—სწრაფათ და კეთილსინდისიერათ

საქონელი იგზავნება ა. კ. ფ. რესპუბლიკის ყველა ადგილებში შეღავათიან პირობებში.

პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს—ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთები ფასდაკლებით.

■ ■ ■

მოთხოვნილებით მიმართეთ: ტფილისში, შრომის სასახლე, ტელ. პროფსაბჭოს ქვესადგური №№ 29, 30, 34, 43.

ქუთაისში და ჭიათურაში: „შრომა"-ს გამომცემლობა წიგნის მაღაზიაში.

ნ. 691

მოითხოვეთ კატალოგები

მიიღება წინასწარი ხელის მოწერა „ქართული წიგნის" გამოცემებზე:

1. ნიკოლ. ბარათაშვილი—ნაწერების სრული კრებული
2. გრიგოლ ორბელიანი— „ „ „
3. ვახტანგ ორბელიანი — „ „ „
4. ალექს. ჭავჭავაძე — „ „ „
5. გოეთე—„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი"
6. ქართველთა მოსახლეობა სპარსეთში—წერილთა კრებული
7. საბა-სულხან ორბელიანი—ლექსიკონი, რუსულ-ქართული სიტყვარის დამატებით.
8. უილ. შექსპირი—„ოტელო", „მაკბეტ", „იულიოს კეისარი", „რიჩარდ მე-3", „ანტონიუს და კლეოპატრა", „კორიოლანუს".
9. ილ. ჭავჭავაძის—დამატებითი ტომები.

„ქართული წიგნის" წევრებს უფლება აქვთ ისარგებლონ კრედიტით. მოითხოვეთ კატალოგები და დაკვეთის ბლანკები. ცნობებისათვის მიმართეთ კანტორას: ჯორჯაძის ქ. № 1. „ქართული წიგნი", ტელ. № 16—10.

ნ. 693

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

სხივებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ეკიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორ-ლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—9

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 13—1

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი

აცხადებს

კონკურსს

პროფ. პ. მელიქიშვილის ძეგლის პროექტზე

1) ძეგლი დაიდგმის ეზოში უნივერსიტეტის შენობის წინ, საფლავზე.

2) ძეგლი უნდა გამოხატავდეს პროფ. მელიქიშვილის მნიშვნელობას, როგორც პირველი რექტორის და გამოჩენილი მეცნიერის, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების საქმეში.

3) ძეგლი შეიძლება იყოს აგებული, როგორც ხუროთმოძღვრული, ისე ქანდაკებითი, მაგრამ არ უნდა იყოს მხოლოდ პორტრეტული.

4) ძეგლის მასალათ ხმარებულ უნდა იქნეს ქვა. დეტალებში შეიძლება დამზვებული იქნეს ბრინჯაო.

5) ძეგლის ღირებულება ყველა საამშენებლო მასალით არ უნდა აღემატებოდეს 20.000 მანეთს (პროექტს თან ერთვის საანგარიშო ნუსხა).

პროექტი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ნახაზებში, ისე მოდელით, ან მაკეტის სახით, ნახაზები და ნიმუშები დამზადებული უნდა იქნენ მასშტაბით 1:10 ბუნებრივი სიდიდისა.

ძეგლის ხასიათისაგან დამოუკიდებლათ (ე. ი. იქნება იგი ხუროთ-მოძღვრული თუ ქანდაკება) უნდა იქნეს წარმოდგენილი პერსპექტივა, რომელსაც ემჩნეოდეს, რომ ძეგლი შეფარდებულია უნივერსიტეტის შენობასთან და მდებარეობასთან.

პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნენ 1928 წ. 1-ლ ივნისამდე დღის 12 საათზე თბილისში ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებაში დევიზებით; პროექტთან თანდართულ კონვერტში დევიზის წარწერით, უნდა იქნეს აღნიშნული ავტორის სახელი, გვარი და მისამართი.

შედარებით საუკეთესო პროექტებისთვის დანიშნულია სამი პრემია:

1.	800 მ.
2.	500 მ.
3.	300 მ.

კონკურსის ჟიური:

თავმჯდომარე—დ. ვ. კანდელაკი —ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარი.

წევრები:
1. თ. ზ. ღლონტი—თბ. სახ. უნივერსიტეტის რექტორი,
2. დ. ი. შევარდნაძე—საქ. ეროვნული გალერეის დირექტორი,
3. ნ. პ. სევეროვი—საქ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი,
4. ა. ნ. კალგინი—საქ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი,
5. დ. ვ. კაკაბაძე—მხატვარი,
6. ლ. ს. ჯაფარიძე—ხელოვნების განყოფილების გამგე.

ყველა ცნობები კონკურსის შესახებ, აგრეთვე გენერალური გეგმა მდებარეობისა, უნივერსიტეტის შენობისა და ფოტოგრაფია პროფ. პ. მელიქიშვილისა შეიძლება მიღებული იქნეს 15 მარტიდან: ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებაში, თბილისში; მოსკოვის ხუროთმოძღვართა საზ.-ბა, მოსკოვი ერმოლაევის შესახვევი 17, ხუროთ მოძღვართა—მხატვართა საზ.-ბა, ლენინგრადი სამხატვრო აკადემია. 1603

ორშაბათიდან, 27 თებერვლიდან

კინო-თეატრებში:

პალასი-აპოლო

საიუბილეო ფილმი

„გოსვოენკინოს" დადგმა

„ბრძოლის და გამარჯვების დღეები"

5 თავი წითელ არმიის ისტორიიდან

სალარო ღიაა საღამოს 5 საათ. 45 წუთიდან

სიმფონიანი ორკესტრი.

ნ. 694

ორშაბათს, 27 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე

საინვალიდო სახლში № 1

ტრიბუნალის ქ. № 48 დანიშნულია

შეჯიბრება

ამავე სახლის შესაკეთებლად. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა გარანტიის უზრუნველსაყოფად 1.000 მ. შემოტანა განყოფილების სალაროში. 1593

ხუთშაბათს ამა წ. მარტის 1-ში დღის 12 საათზე, ქ. თბილისის სასაკლაოში შესდგება

ვაჭრობა

შენობების სახურავების სივრცით 1,500 კვ. საჟ. ტოლით და ასფალტით დახურვის სამუშაოს გაცემაზე. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სასაკლაოს კონტორაში ყოველდღე.

ნ. 685. სასაკლაოს ადმინისტრაცია.

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 9—12 2—6 ს. 1521 3—1

სახლი იყიდება

ენგელსის ქუჩაზე (ყოფ. ბებუთოვის ქუჩა) იკითხეთ პუშკინის ქუჩაზე რესტორან „ოლიმპია"-ში ბაგრატთან შუადღის 12-დან 2 საათამდე და 7-დან 9 საათამდე. 1557

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ჭელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცნობებს ბანკის აქციონერებს, რომ თანახმად ს.ს.რ.კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებისა 1927 წლის აგვისტოს 17-დან სააქციონერო საზოგადოებათა დებულების დამტკიცების შესახებ (ს.ს.რ.კ. კანონთა კრებული № 49, 499 მ., პუნქტი 7 დადგენილებისა) თბილისის ბანკის უსახელო აქციები (აქციები წარმდგენელის სახელზე) უნდა წარმოადგინონ ბანკის გამგეობაში ან ბანკის განყოფილებებში არა უგვიანეს 1928 წლის აპრილის პირველისა სახელობითი აქციებზე გადასაცვლელად.

აქციები, რომელნიც აპრილის პირველამდე არ იქნება წარმოდგენილნი და გამოცვლილნი, გაუქმებულად ჩაითვლებიან და მათზე დამყარებული ყოველივე უფლება გაბათილდება. ნ. 696 3—1

იყიდება

ვარგისი მანქანა „ზენცი"-ს სისტემის.

მიაკითხეთ მნეს

მისამართი: საქართველოს ფინსახკომი, კეცხოველის ქ. № 7. ნ. 692

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.

სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სააქციო სავაჭრო საზოგადოება „ქუთვაჭრობას"

აქვს ყოველთვის ყოველგვარი შეშუდი

რკინეულობის, საღებავების, ფართლეულობის, გალანტერეის, კოლონიალური, საქონლის, რეზინის ნაწარმოების, ტყავეულობის, დგამების და სხვა

ბ. 678 **ვაჭრობა სწარმოებს ნითუმათ**

ს. მ. უ. ს. ს. მ. უ. ს.

„ახალშენი"

ქუთაისში

აცხადებს რომ ა. წ. 25 თებერვალს

საფუძველი ჩაეყრება

მოწამეთის კირის ქარხანას

რომელიც

ა. პ. საჭიროებისათვის ყოველწლიურად დაამზადებს 10 მილ. ფუთ კირს

ამ ახლო ხანში დამთავრებული იქნება აბრეშუმ-ძაფსახვევი ფაბრიკა, უკვე მოთავებულია და მუშაობას იწყებს ძიმილის (ბარიტის) ქარხანა

ბ. 677.

აბრეშუმის მრეწველობა საქართველოში

„საქართველოს აბრეშუმი"

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა, სახ. № 7 ტელეფ. №№ 23-43, 10-97 და 18-54.

აქვს ძაფ-სახვევი, აბრეშუმის საქსოვი და ძაფის საგრეხი ქარხნები: თბილისში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ხონსა და თელავში

აგრეთვე აბრეშუმის თესლეულობის საგრენაჟო დამამზადებელი სადგურები:

ვანსა და ქუთაისში, დასამზადებელი წერტები მთელ საქართველოში

ამზადებს თესლს, პარკს და აბრეშუმის ქსოვილებს ყოველგვარი ხარისხისას

აქვს აგრეთვე ქსოვილის საკუთარი **სავაჭრო თბილისში**

ბ. 690 სასახლის ქუჩა ტელეფ. № 23—00

აჭარისტანის ა. ს. ს. რ. სახელმწიფო მრეწველობის სამმართველო

„აჭარმრეწველობა"

სახელმწიფო ძიმიური ქარხანა:	დაკლებულ ფასებში ბარიტი, სურიკი და სხვადსხვა ხმელი და ფხვნილი საღებავები.
ხეტყის დასამუშავებელი ცენტრალური ქარხანა:	ფირფიცარი, დიხტა, ყუთების დამზადება, ხეტყის ყოველგვარი მასალები იაფ ფასებში.
ხეტყის სახერხი ქარხნები:	ქობულეთში და ნანუზ-ოღლებში „ფუხარა".
თამბაქოს ფაბრიკა:	სოხუმის და ადგილობრივ თამბაქოების საუკეთესო ნაწარმები: ყველა ხარისხის თუთუნი და პაპიროსები.
სათუთავი ქარხანა:	პატენტიანი მოთუთული ეუსტი სახურავებისათვის, ციბარა, ვარცლი და ყოველგვარი მოთუთული ნაწარმოები.
თუჯის სასხმი და მექანიკური ქარხანა:	ავტომობილების და ყოველგვარ მანქანების შეკეთება. ჩამოსხმა თუჯიდან დაკვეთით.
პოლიგრაფიული განყოფილება:	სტამბა და ლიტოგრაფიულ სამუშაოების შესრულება.

საწვავ მასალათა განყოფილება: კეროსინი, ბენზინი, მაზუთი და სხვა მინერალური ზეთები.

კამოს ქუჩა № 5.

ბ. 673

ს.ს.ს.რ. ს.მ.უ.ს.

საფეიქრო ზეთ-საპნის ტრესტი

პირველი სახელმწიფო მაუდის ფაბრიკა

ქალ. ქუთაისში

თავის საკუთარი საწარმოო საამქროებით ამზადებს სხვადასხვა ფერების კარგი ღირსების მაუდეულობას: მაუდს და ტრიკოს უმაღლესი ხარისხისას, რჩეულ მატყლიდან, ნახევარ მსუბუქს და პალტოს ხარისხს.

ბ. 679 გამგე **ი. დევიძე**

აჭარისტანის ს.ს.რ. საპაიო სავაჭრო ამხანაგობა

„აჭარვაჭრობა"

(ქუთაისის ქუჩა № 2).

საცალო და საბითუმო სავაჭროები და საწყობები

იყიდება ყოველგვარი სამრეწველო საქონელი

შავი სახურავი თუნუქი მაჯიდა, ნახშირი,
ხარისხოვანი რკინა ლურსმანი, ანტრაციტი,
კარ-ფანჯრის გაწყობილობა ცარცი ფართალი და სხ.

სიმინდი და სიმინდის ფქვილი და შაქრის სალაყაფოები

საბითუმო ვაჭრობა: **საჭმელი ზეთით, თივით, ბრინჯით, ფქვილით და სხვ.**

წარმომადგენლობანი:

„საქსახვაჭრობის", სახელმწ. ელექტრო-ტრესტის, „საქართველოს ღვინის"

ბ 675

ქუთაისის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას „მუშკოოპს"

ყოველთვის მოეპოვება თავის სავაჭროებში

გალანტერეია, მანუფაქტურა, საოჯახო ავეჯეულობა, დგამები, ტყავეულობა და სხ.

აქვს საკუთარი საწარმოო წამოწყებანი

სახარატე, საძეხვე საყასპო, ფურნეები, სასადილოები და სხ.

ბ. 676

ღვინო კახური, იმერული,

მაგარი და სადესერტო,

„ზვანძარა" (ყიფიანისეული)

„საქართველოს ღვინო"

არაყი, ძველი სურნელოვანი კონიაკი, ლიქიორები და სასმელები

მთ. კანტორა და ღვინის სარდაფი — თბილისი, გოგოლის ქ. 63, ტელეფონი 4 65.

არაყ-კონიაკ-ლიქორის ქარხანა-საწყობი-თბილისი, კლ. ცეტკინის ქ. (ყ. ელისაბედის) № 133 ტელ. 15—19.

ღვინის სარდაფი ქუთაისში

განყოფილებები: ბათომი, სოხუმი, ბაქო, კრასნოვოდსკი, ტუაპსე, პიატიგორსკში, დონის-როსტოვში, ხარკოვში, ლენინგრადში და სვერდლოვსკში.

მოითხოვეთ

„მუშკოოპი"-ს, „ზაკტპო" ს და „ზაკვოენპო"-ს ყველა მაღაზიებში მთ. სარდაფის ფასებში. ბ. 684

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს**, და მის შედეგებს, **კანისა** და **ქირურგიულ** ავად მყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 15—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 28 თებერვალს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 23 დესიმონოვის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხ. ყაჭიაშვილის (სასადილო „დარიალი"-ს) მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, სპილენძის ქვაბებს, თეფშებს, ჭიქებს, ბოთლებს და სხვა შეფასებულს 480 მანეთად, სახკვების კავშირის, ჯიჩიაშვილის და გიორგი შოფაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 თებერვლის 1928 წ. თარიღით, № 392 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 689

აჭარისტანის საწარმოვო კოოპერატიული კავშირი

„აჭარწარმოკავშირი"

კამოს № 7.

აჭარწარმოკავშირი აწარმოებს ადგილობრივ თამბაქოს დამზადებას.

აჭარწარმოკავშირი აწყობს მანდარინების, ვაშლის, კაკლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას და რეალიზაციას.

აჭარწარმოკავშირი აერთიანებს 9 სას.-სამ. ამხანაგობას, რომელთა საშვალებით აწარმოებს დამზადებითი ოპერაციებს.

აჭარწარმოკავშირი აწოდებს ამხანაგობებს ავანსებს, ტარას, სატრანსპორტო საშვალებებს სას.-სამ. პროდუქციის რეალიზაციისათვის.

აჭარწარმოკავშირი აწარმოებს სოფლის მეურნეობის მომარაგებას სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანებით.

ბ. 674 **აჭარწარმოკავშირის გამგეობა.**

ბორჯომის მინერალური წყალი

გასასყიდი ფასები:

საწყობებიდან—არა ნაკლებ 40 ბოთლისა ჰურჭლიანათ 30 კაპ. კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებებს ადგილზე მიტანით.

მაღაზიიდან—არა უმეტეს 10 ბოთლისა მუშა-მოსამსახურეებისათვის უბოთლოდ 20 კაპიკი.

ცარიელი ბოთლები მიიღება მხოლოდ სუფთა, ბორჯომის წყალისათვის ნახმარი.

საწყობები: პლეხანოვის ქ. № 93

რუსთაველის პროსპექტი № 10. ბ. 686

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს ამ საზოგადოების აქციების მეპატრონეთ რომ თანახმად ს.ს.ს.რ. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 17 აგვისტოს დადგენილებისა, **აღნიშნული საზოგადოების ყველა უსახელო აქციები არა უგვიანეს 1928 წ. პირველი აპრილისა წარმოდგენილ უნდა იქნენ გამგეობაში (ჭიათურა, ზდანოვიჩის ქ. № 5), სახელიან აქციებათ გადასაკეთებლათ.** აქციები, რომელნიც აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი არ იქნებიან გამგეობაში, გაბათილებულათ ჩაითვლებიან. 1577

ბათომის მუშათა კოოპერატივი „მუშკოოპი"

მუშკოოპს შეძენილი აქვს ზამთრის სეზონისათვის პირველ საჭიროების და სხვა საგნების დიდი მარაგი.

მუშკოოპი უხსნის მუშა-მოსამსახურეებს

გრძელვადიან და მოკლევადიან საწვრილმანო კრედიტს.

ყველა მუშა-მოსამსახურემ უნდა ივაჭროს მხოლოდ

კოოპერატიულ სავაჭროებში:

№ 1 საბაყლო, გასტრონომული და პურპლეულობის სავაჭრო—ინტერნაციონალის ქ. № 16.
№ 2 საბაყლო. გასტრონომიული, პურპლეულობის და საფართლო—კოოპერაციის ქ. № 33.
№ 3 საბაყლო, პურპლეულობა—ახალი ნურია.
№ 4 საბაყლო, პურპლეულობის და საფართლო გოროდოკი.
№ 5 საბაყლო და პურპლეულობის -ჭაობა.
№ 6 საბაყლო, პურპლეულობის და საფართლო—კოოპერაციის ქუჩა № 1.
№ 7 საბაყლო, პურპლეულობის და საფართლო -ბარცხანა.
№ 8 საბაყლო და პურპლეულობის—ნავთსინდიკატში.
№ 9 საბაყლო, გასტრონომიული და პურპლეულობა—ძვ. ნურია.
№ 10 სპეციალური საფართლო და გალანტერეია—ინტერნაციონალის და ლენინის ქ. კუთხე.
№ 11 საბაყლო და პურის—„აზნავთშენი".
პურის საცხობი—კოოპერაციის ქ. № 33.

პურის, მწვანილეულობის, ნავთის და ხორცის სავაჭროები ქალაქის ყველა რაიონებში.

ბ. 680 **მუშკოოპის პრეზიდიუმი.**

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

დაიკარგა: საბინაო დავთარი დიღომის შესახვევი № 21 გიორგი ადამიძეს სახელზე, ჩ. გ. 1596

დაიკარგა: გორის კომუნალური ბანკის მიერ გაცემული აქციები №№ 532 და 677. 50 მანეთის ღირებულების ორთავე, გაცემული ილია პეტრესძე ქაფიანიძის სახელზე, ჩ. გ. 1600

დაიკარგა: საპენსიო წიგნაკი № 158, ოზურგეთის მაზრის დამზღვევ სალაროდან მიღებული დიმიტრი კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 1601

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი გიორგი გერმანესძე კვაჭაძის სახელზე, ჩ. გ 1599

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 28845 განათლების მუშაკთა კავშირის მიერ მოცემული თამარა სიმონის ასული ნაზაროვის სახელზე ჩ. გ. 1602

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის რეგისტრაციო ბარათი პორფილე ტინიასძე ჯელაძეს სახელზე, ჩ. გ. 1597

დაიკარგა: პირადი წიგნაკი (სამხედრო) ხიდირ მაბაბოვის სახელზე, ჩ. გ. 1588

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში

(გაგრძელება № 40)

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს დასახელება	ვის მიერ არის დამტკიცებული წესდება და როდის	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედების რაიონი	ძირითადი თანხა	საპაიო	სპეც.	საწევრ.	საწარმ. სარეწ მომწ. ხარ
1059	17 იანვარი 1928 წ.	გორის სასოფლო მეურნეობის და სამრეწველო ტრესტი, „გორსმეტრესტი"	გორის სამაზრო აღმასკომ. პრეზიდიუმის მიერ 1927 წ. 5 ნოემბერს.	ქ გორი	კულტურულ მამულთა გამგეობის გაერთიანება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და გასაღება	გორის მაზრა და მისი მიდამოები	357.787,61	—	—	—	—
1060	26 დეკემბერი 1927 წ.	საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო მრეწველობის ტრესტი „სამთოტრესტი"	საქ. სახალხო მეურნეობ. უმაღლ. საბჭ. პრეზიდიუმის მიერ 9 დეკემბ. 1927 წ.	ქ. თბილისი პუშკინის ქ. № 3.	აღმოჩენა და დამუშავება სასარგებლო მადნეულობის საქართველოში	საქართველო	1.244.241,93	—	—	—	5
1061	26 იანვარი 1928 წ.	საკავშირო სააქციონერო საზოგადოება „სოვკინო"-ს განყოფ. საქართველოში.	საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ 1924 წ. 10 დეკემბ.	ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. № 11	სურათების გაქირავება	საქართველო	—	—	—	—	3
1062	4 თებერვალი 1928 წ.	საკავშირო მეტალურგიის სინდიკატის თბილისის განყოფილება.	საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ 22 დეკემბერი 1925 წ.	ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. № 9	ვაჭრობა	საქ. ს.ს.რ. და სომხ. ს.ს. რ.	—	—	—	—	6
1063	23 თებერვალს 1928 წ.	სასოფლო სამეურნეო ტრესტი „ს.მ.ს."	ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ 4 თებერვალი 1928 წ.	ბორჩალ. მაზრა დაბა ლიუქსემბურგი	გადამუშავება სასოფლო სამეურ. ხასიათის ნაწარმ.	ბორჩალოს მაზრა	47.208,23	—	—	—	—
1064	22 თებერვალი 1928 წ.	ქ. ზესტაფონის ინვალიდთა სავაჭრო საწარმოო კოოპერატიული ნადი „საშუალება"	საქ. სოც. უზრუნველყ. კომისიის მიერ 1927 წ. 28 იანვარს.	ქ ზესტაფონი	სხვა-და-სხვა ნივთებით ვაჭრობა	ქ. ზესტაფონი	4.768,58	—	—	—	—
1065	6 თებერვალი 1928 წ.	კუზანოვი გეურქა არტემის-ძე	—	ქ თბილისი მაიურაძის ქ. № 2	სასადილო	—	500	—	—	—	4
1066	„	მეტონიძე, შალვა გრიგორის-ძე	—	ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. № 18	სასადილო	—	400	—	—	—	4
1067	7 „	ციხისელი, რომანოზ ნესტორის-ძე	—	ქ. თბილისი წყნეთის ქ. № 13	ღვინის სარდაფი	—	1.200	—	—	—	4
1068	7 „	ხელაშვილი, ლუკა და ხვთასიაშვილი ნინა	—	ქ თბილისი ორჯონიკიძის ქ. № 6	„	—	2.000	—	—	—	4
1069	8 თებერვალი 1928 წ.	ეპიტაშვილი, ტატო მიხეილის-ძე	—	ქ. თბილისი არაყის ქ. № 6	სასადილო	—	500	—	—	—	4
1070	11 „	მიხაშვილი, ალექსანდრე ქრისტეფორის-ძე	—	ქ. თბილისი ანანიევის ქ. № 6	გასტრონომიული მაღაზია	—	1.000	—	—	—	4
1071	13 „	ჩაჩანაშვილები ელო შალომის-ძე და იოსებ ეუშვაკის-ძე	—	ქ. თბილისი სიონის ქ. № 13	ფართლეულობის მაღაზია	—	4.000	—	—	—	4
1072	„	გძელიძე ტრიფონი, არჩვაძე გრიგოლი და სხირტლაძე ევგენი	—	ქ. თბილისი კახეთის ქ. № 2	სასადილო	—	1.000	—	—	—	4
1073	15 „	პინას ბაბაოღლი	—	ქ თბილისი სიონის ქ. № 13	ფართლეულობის მაღაზია	—	1.200	—	—	—	4
1074	17 „	პირზადოვი, კარაპეტა არტემის-ძე	—	ქ. თბილისი ყორესის ქ. № 26	სასადილო	—	300	—	—	—	4
1075	21 „	მინაგაროვი, ივანე ალექსანდრეს-ძე	—	ქ. თბილისი საბჭოს ქ. № 59	„	—	670	—	—	—	4

ა.-ქ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველის მაგიერ **ბახტაძე.**

ბ. 688 სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68